პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

**რედაქცია**
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში ხაქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14–76
რედაქტორის მოადგ. 23–17
მდივნის . . . . 10–58
მასიური განყოფილ. 22–44

**მთავარი კანტორა** თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8–81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5–43

შაბათი, 7 ივნისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 131 (2779)

## დღიური

- საქ. კომპარტიის (ბ) ყრილობა გადადებულია 25 ივნისისათვის.
- ნანკინის წრეებში მდგომარეობას კრიტიკულად სთვლიან.
- ამერიკის მუშათა დელეგაციის მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა პროლეტარებს.
- ზაჰესის ძალოვნობის გაფართოება 37.000 კილოვატამდე.

# ა.-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-VI ყრილობა

# ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის

## კამათი ამხ. მ. ტომსკის მოხსენების გარშემო

### მეორე სხდომა

### ამხ. ბარინოვი

(აზნავთი)

ამხანაგებო, ბაქოს პროლეტარიატმა საანგარიშო პერიოდში, პარტიის ლენინური ხელმძღვანელობით, შესძლო დიდი მუშაობის ჩატარება, მას აქვს მთელი რიგი მიღწევა. ამხანაგმა ტომსკიმ აღნიშნა, რომ ჩვენი მძიმე მრეწველობის ზოგიერთმა დარგებმა ჯერ კიდევ ვერ მოაწესრიგეს მუშაობა, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ნავთის მრეწველობაზე. მართალია, შეცდომები ჩვენც გვქონდა, ჩვენი მრეწველობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი კიდევ მთლიანად არ ამოგვიწურავს, მაგრამ ის წარმატებანი, რომელიც ჩვენ 1913 წელთან შედარებით ამჟამად გვაქვს, უსათუოდ დიდია. 1913 წელთან შედარებით ბაქოში ნავთის ამოღება გაიზარდა 44,5 პროცენტით, ნავთის პროდუქტების გადამუშავება —80 პროცენტით. 1924—25 წელთან შედარებით ტონა ნავთის თვითღირებულება შემცირდა 9 მან. და 13 კაპეიკიდან 3 მანეთამდე. ექსპორტის დარგშიაც ჩვენი მიღწევები დიდია. მიმდინარე წელს დასავლეთ ევროპის და ამერიკის ბაზარზე ჩვენ გავიტანთ ნავთის პროდუქტებს 3 ნახევარჯერ მეტს, ვიდრე 1913 წელში გაჰქონდათ.

მოკლე ხნის განმავლობაში ჩატარებულია უდიდესი მუშაობა მრეწველობის რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციისათვის. ჩვენი მუშაობის ახალი მეთოდები თითქმის იგივეა, რაც ამერიკის ნავთის მრეწველობის მეთოდები.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის ამოცანა, რომელიც მთელი სიგრძე სიგანით არის დასმული დღეს პარტიის წინაშე, დიდ მოვალეობებს აკისრებს ნავთის მრეწველობას. ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს საწვავი მასალით ტრაქტორები, რომლებიც განდევნიან სოფლიდან ცხენს. მიმდინარე წელს უნდა უზრუნველყოთ საწვავი და საზეთავი მასალით 70 ათასი ტრაქტორი, 5 წლედის ბოლოს კი—800.000 ტრაქტორი.

5 წლედის 4 წლედში შესრულების ამოცანა ავალებს ნავთის მრეწველობას შეასრულოს თავისი 5 წლიანი გეგმა 2 წელიწად ნახევარში, რადგან ტრაქტორები და ახალი ქარხნები მოითხოვენ ნავთის პროდუქტებს სულ მეტ და მეტ რაოდენობას. ბაქოს პროლეტარიატმა აღუთქვა აზერბეიჯანის პარტიულ ყრილობას, რომ ნავთის მრეწველობის 5 წლედი მართლაც იქნება შესრულებული 2 ნახ. წელიწადის განმავლობაში. 5 წლედის ბოლოს ჩვენ უნდა მივცეთ ქვეყანასათვის 12.800.000 ტონა ნავთის პროდუქტი, მომავალ წელს კი ჩვენ უკვე შეგვიძლია 13 მილ. ტონა პროდუქტის გამოშვება. ეს იმას ნიშნავს, რომ 5 წლიან გეგმას უკვე გადაჭარბებით შევასრულებთ მომავალ წელსვე. 10 წლის განმავლობაში ნავთის ამოღება ჩვენ გავადიდეთ 18 პროცენტით, ე. ი. 151 მილ. ფუთიდან 1921—22 წელში მიმდინარე წელს იგი 630 მილიონ ფუთამდე ავსწიეთ. 1932—33 წლისათვის ნავთის ამოღება 1 მილიარდ 300 მილიონ ფუთამდე უნდა ავიდეს.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ განვითარების დღევანდელი ტემპი, საჭიროა მთელ რიგ ღონისძიებების განხორციელება. პირველყოვლისა აუცილებელია გარკვეული მითითება მოგვცეს ხელმძღვანელმა ორგანომ იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით უნდა ვაწარმოოთ ნავთის წიაღის დამუშავება. დღემდე ჩვენ „კუსტარულად" ვმუშაობდით. ასეთი მუშაობა დღევანდელი ტემპის პირობებში უკვე არ გამოგვადგება. ეხლავე საჭიროა საგამოკვლევო მუშაობის გაშლა ახალი ნავთიანი ფენების აღმოსაჩენად. თუ ჩვენ შევასრულებთ ამ ამოცანას, მაშინ აუცილებლად სულ ახლო მომავალში გაიშლება მუშაობა სურახანისა და ბიბიეიბათის ნავთით მდიდარ რაიონში.

მეორე მთავარი საკითხი ჩვენი ნავთის მრეწველობისათვის არის ნავთის პროდუქტების დამამუშავებელ ქარხნების აგება. ამ დარგში ჩვენ საქმე გვაქვს ორ, ასე ვთქვათ, თეორიასთან. ერთის მიხედვით ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები იქ უნდა აშენდეს, სადაც იღებენ ნავთს. მეორის მიხედვით კი ქარხნები ნავთის პროდუქტების მომხმარებელ რაიონში უნდა აიგოს. ჩვენ გვეჩქარება 100 ასეთი ქარხნის აგება, ამ საქმეზე სულ ახლო ხანში 50 მილიონი მანეთი უნდა დაიხარჯოს. საჭიროა ამ ამოცანის საჩქაროთ გადაწყვეტა.

ბაქოელების შეხედულებით, ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები უნდა აიგოს ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, სტალინგრადში და სხვ. მომხმარებელ ადგილებში, ეს განგვათავისუფლებს ბენზინის გადაზიდვიდან, რომელიც შედარებით მეტი ძნელი საქმეა.

ჩვენს მუშაობაში დიდ როლს თამაშობს იმპორტი. დღემდე ჩვენ შემოგვქონდა ნავთის მრეწველობის მოწყობილობა. უკანასკნელ ხანებში ვახერხებთ ზოგიერთი მოწყობილობის საბჭოთა ქარხნებში დამზადებას, საჭიროა ჩვენი ლითონის ქარხნებმა გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით.

რამდენიმე სიტყვა ექსპორტის შესახებ. ექსპორტს ჩვენთვის ორმაგი მნიშვნელობა აქვს: ერთი ის, რომ ექსპორტი გვაძლევს დიდ მოგებას—ვალუტის სახით, მეორე მხრივ კი ნავთის ექსპორტს აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან ნავთის პროდუქტების გაყიდვით ვაიძულებთ კაპიტალისტებს ანგარიში გაგვიწიონ ჩვენ და ჩვენს მრეწველობას. საერთაშორისო ბაზარზე უნდა გავიდეთ ისეთი საქონელი, რომელიც არ უნდა ჩამოუვარდეს მსოფლიო სტანდარტს. ჩვენ ამის მიღწევა შეგვიძლია. ჩვენი ნავთის პროდუქტები იყიდება მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასებში. გამონაკლისს შეადგენენ ზოგიერთი მცირე რაოდენობის პროდუქტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის გარდა არსად არ მზადდება.

აზნავთის ტრესტმა გაიყვანა ნავთსადენი ბაქო-ბათომს შორის, მაგრამ ამ ღონისძიებას სრულიად არ განუტვირთავს ამიერ-კავკასიის რკინის გზა, რადგან ბათომში აგებული ნავთის ქარხნები დღითი-დღე შედიან ექსპლოატაციაში და ითხოვენ ნავთის მეტ რაოდენობას. ეს გარემოება ჩვენს წინაშე აყენებს ახალი ნავთსადენის გაყვანის ამოცანას, რომელიც ახლო ხანში უნდა გადაიჭრას.

ეხლანდელი ტემპების შენარჩუნების აუცილებელი პირობაა აგრეთვე კადრების პრობლემის გადაწყვეტა. ამ მხრივ ნავთის მრეწველობაშიაც არ არის კარგი მდგომარეობა. ჩვენ განვიცდით კვალიფიციურ, სამეურნეო და ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ მუშაკების ნაკლებობას. ამხანაგმა ტომსკიმ გუშინ აღნიშნა, რომ სამეურნეო მუშაკები დღემდე მხოლოდ კომისარის როლს ასრულებდნენ. ასე იყო ჩვენს მრეწველობაშიაც, აქაც სამეურნეო მუშაკები უშუალო ტეხნიკურ მუშაობას არ აწარმოებდნენ. დღეს-დღეობით კი ბაქოში საქმეში არის ერთგვარი გარდატეხა. ბაქოში გაიხსნა სამრეწველო აკადემია, რომელიც გამოუშვებს მომზადებულ კადრებს სამეურნეო სამუშაობისათვის. აქვე არის ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პროლეტარულ სპეციალისტების აღზრდა. არის მოსამზადებელი სკოლა, კურსები და სხვა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ეს სასწავლებლებია საკმაო. არ არის საკმაო იმიტომ, რომ ჩვენი მეურნეობის განვითარების ტემპები უაღრესად ჩქარობს. ჩვენ რაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა დავაჩქაროთ ამ ამოცანის გადაწყვეტა.

მე ვფიქრობ, რომ ბაქოს პროლეტარიატი, რომელიც დღემდე შეუხრელად ატარებდა ცხოვრებაში პარტიის ყველა ამოცანებს, შესძლებს მომავალ წელში მისცეს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას 13 მილიონი ტონა ნავთი.

ის შესძლებს ამ ამოცანის გადაწყვეტას იმიტომ, რომ ლენინის პარტიის ხელმძღვანელობა სწორია, იმიტომ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი განვითარების სწორ გზებს უსახავს ჩვენს მეურნეობას.

### ამხ. ხანჯიანი

(სამხ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი)

ამხანაგმა ტომსკიმ თავის ვრცელ მოხსენებაში შეაჯამა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მუშაობა უკანასკნელი ორნახევარი წლის გასწვრივ. ეს პერიოდი ჩვენი პარტიის ისტორიაში შევიდა, როგორც უდიდესი სოციალისტური გარდატეხის ხანა მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ჩვენ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ცეკა ატარებდა უაღრესად სწორ ხაზს საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ პოლიტიკას საფუძვლად ედო საერთაშორისო მდგომარეობის ლენინური შეფასება, რომელიც გამოიტანა მე-15 პარტყრილობამ და მას შემდეგ კომინტერნის მსოფლიო კონგრესმა. პარტიის ხსოვნაში წარუშლელია იმ გადამწყვეტი ბრძოლის ისტორია, რომელსაც აწარმოებდა ცეკა მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ ჩვენს პარტიაში და კომინტერნში.

საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების უკანასკნელი განვითარება ბრწყინვალედ ამტკიცებს ცეკას და კომინტერნის ხაზის სისწორეს. ეს განვითარება მთლიანად აქარწყლებს მემარჯვენე ელემენტების თეორიას „ორგანიზაციულად მოწყობილ კაპიტალიზმის" შესახებ.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის მიღწევები, რომელიც გვაქვს სოციალისტურ მშენებლობაში ჩვენი ქვეყნის შიგნით. ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ძირითადი პირობაა, მიღწევები სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში — ყველაფერი ეს მოითხოვდა პროლეტარიატის და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის, ძალთა დიდ დაძაბვას. ეს მიღწევები მოპოვებულია კლასობრივ მტრებთან და მათ აგენტურასთან პარტიის შიგნით, მემარჯვენე გადახრასთან მედგარი ბრძოლით.

ჩვენი მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას პარტია ატარებს მიუხედავად იმისა, რომ მას ფარულ და აშკარა წინააღმდეგობას უწევენ ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტები, რომლებიც მიზანშეუწონლად სთვლიან ჩვენი სახ. მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენას. მემარჯვენეები არ სთვლიან რეალურად მრეწველობის დასახულ ტემპებს, მაგრამ ეს ტემპები ეხლა მიღწეულია და ეს საუკეთესო პასუხია მათ ოპორტუნისტულ წინასწარმეტყველებებზე.

მე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ის ბრძოლა, რომელსაც ცეკას ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ ჩვენი ორგანიზაციები არა მარტო მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, არამედ „მემარცხენე" გადახვევების წინააღმდეგაც. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია იმიტომ, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში ამიერ - კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუშვეს დიდი შეცდომები, დაამახინჯეს პარტიის გენერალური ხაზი. მიუხედავად საკავშირო კომპარტიის ცეკას დირექტივებისა, მათ წამოაყენეს ისეთი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოწინავე რაიონებშია შესაძლებელი. დღეს ჩვენ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუმცა უკანასკნელ თვეებში, ს. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივებისა და ამხ. სტალინის წერილების შემდეგ, ჩვენში დაწყებულია მუშაობა პარტიის ხაზის სწორად გატარებისათვის, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ეს მუშაობა ყველა სოფელში სწარმოებს. უკანასკნელ ხანებში გვაქვს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სხვადასხვა ავადმყოფურ მოვლენებს სოფლის პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში. შეცდომების გამოსწორების აუცილებლობა მოითხოვს პარტიულ ორგანიზაციებიდან მთელი ძალღონის დაძაბვას, უამისოდ შეუძლებელი იქნება ჩვენი პოზიციების შემდგომი განმტკიცება სოფლად.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ უკვე ეხლავე გვაქვს სოფლად მუშაობის ბევრი დადებითი შედეგი. სომხეთში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ სოფლის პარტორგანიზაცია განმტკიცდა და გაფართოვდა ორი ათასი საუკეთესო მოჯამაგირის, ღარიბი გლეხის და კოლმეურნის ხარჯზე, ამას გარდა ჩვენ შევსძელით, წარსულთან შედარებით, გაგვემტკიცებია ჩვენი სასოფლო პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკთა შემადგენლობა. დასასრულ, უნდა ითქვას ისიც, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობა სომხეთში შედარებით მაღალ დონეზე დგას. ჩვენ უკვე მივაღწიეთ საკოლმეურნეო მშენებლობის დახლოებით იმ დონეს, რომლის მიღწევა ხუთწლედის ბოლოსთვის გვქონდა გათვალისწინებული.

ამხ. ლომინაძემ თავის რამდენიმე გამოსვლაში საკმაო მკაფიოდ დასვა საკითხი სოფლის მუშაობის ძირითად ამოცანების შესახებ. ამ ყრილობაზე ჩვენ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული სოფლად საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. ჩვენ, ამიერ - კავკასიის მუშაკები მხოლოდ მაშინ დავამტკიცებთ ჩვენს ბოლშევიკურ სიმტკიცეს, როდესაც აღმოვფხვრით „მემარცხენე" გადახვევების ნაშთს, რომელიც მემარჯვენე გადახრის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს.

მე ვფიქრობ, რომ ყრილობამ თავის ყურადღება აუცილებლად უნდა შეაჩეროს ტრანსპორტის მეურნეობის საკითხებზე ამიერ-კავკასიაში. ტრანსპორტი ჩვენში წარმოადგენს ყველაზე უფრო „ვიწრო ადგილს". ეს განსაკუთრებით ითქმის სომხეთზე, სადაც საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება უკვე დღესვე ფერხდება ტრანსპორტის პრობლემის გადაუჭრელობით. კერძოდ, სომხეთისათვის აუცილებელია რკინის გზის ახალი შტოების მშენებლობა. უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ჩვენ ძალიან ნელი ნაბიჯით მივდივართ წინ. რკინის გზების მშენებლობა არ არის დასმული ჩვენი ცენტრალური სამეურნეო ორგანოების წინაშე. მე ვფიქრობ ყრილობა თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის ამ საკითხზედაც.

„ვიწრო ადგილია" აგრეთვე ჩვენი სასოფლო მეურნეობის ერთი დარგი — მესაქონლეობა. სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში ჩვენ გადავაჭარბეთ ომის წინადროინდელ დონეს. სამწუხაროდ, მესაქონლეობაზე ეს არ ითქმის. ამ დარგში ჩვენ ეხლა ძლივს ვუახლოვდებით ომის წინადროინდელ დონეს. ჩვენში არის ყოველგვარი პირობები მესაქონლეობის განვითარებისათვის. საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება და მეტი დახმარების აღმოჩენა სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგისათვის.

საანგარიშო პერიოდში საკ. ქ. პ. (ბ) ცეკამ მოგვცა დირექტივა ამ.-კავკასიის ფედერაციის განმტკიცების შესახებ. ჩვენმა ყრილობამ უნდა შეაჯამოს ამ დირექტივის შესრულებაც. რომ ცეკას ეს დირექტივა სავსებით დროული იყო, ამას ამტკიცებს ისიც, რომ ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა და მათმა პარტიებმა ასტეხეს განგაში მისი გატარების წინააღმდეგ. ეს სავსებით გასაგებია. იმპერიალიზმის ლაქიები ა.-კავკასიის ხალხთა მტკიცე კავშირში ხედავენ თავისი აღსასრულის მოახლოებას. ამიტომაა, რომ ისინი იჩენენ აქტივობას, ცდილობენ დაიჭირონ „ღირსეული" ადგილი ანტისაბჭოთა ბანაკში. მაგრამ მათი ცდები ამაოა. ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ საანგარიშო პერიოდში, საბჭოთა ა.-კავკასიის სოციალისტური გარდაქმნის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენენ.

### ამხ. ფ. მახარაძე

ამხანაგებო, როდესაც ვეხებით ამხ. ტომსკის მოხსენებას, ჩვენ აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ იმ ამოცანების ირგვლივ, რომლებიც სდგანან ამჟამად ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის წინაშე.

ამიერ-კავკასიის მეექვსე პარტიულ ყრილობაზე ჩვენ მოვედით ფართოდ გაშლილი თვითკრიტიკის გზით, რათა გამოგვემჟღავნებინა ყველა ჩვენი ნაკლი და ის შეცდომები, რომლებიც ჩვენ დავუშვით და რომლებზედაც ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში ამხ. ტომსკი. ჩემის აზრით აქ საჭირო არ არის ვილაპარაკოთ მიღწევებზე. ისინი ყველასთვის კარგად ცნობილნი არიან. მთავარია ნაკლის შეცდომების გამოსწორება. ასეთი ნაკლი და შეცდომები კი ჩვენ უამრავი გვაქვს. რომ გადაათვალიეროთ მთელი ჩვენი პარტიული სამეურნეო და პროფესიონალური მუშაობა თქვენ იქ შეცდომებს ვერც კი დაითვლით. საკვირველია, რომ ჩვენ ასეთი შეცდომების შემდეგ წინ კიდევ დიდი ნაბიჯებით მივდივართ. რათ ხდება ეს? რით არის გამოწვეული, რომ მიუხედავად ნაკლისა, მიუხედავად მავნებელთა მუშაობისა ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებში ჩვენ მაინც მივდივართ წინ. ეს აიხსნება იმით, რომ საბჭოთა სისტემამ მოძებნა ისეთი მძლავრი ბერკეტი, რომელიც ჯერ არავისთვის ცნობილი არ იყო. მასიური მოძრაობა, მასების მონაწილეობა მშენებლობაში—აი რა უზრუნველჰყოფს ჩვენი განვითარების მაღალ ტემპებს. სწორედ ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული სწორედ მასების სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმაზე.

სწორი იყო თუ არა პარტიის პოლიტიკა სოფლად? პასუხი ერთია: აუცილებლად სწორი იყო. ეს არ იყო ახალი პოლიტიკა, ის გუშინდელი გამოგონილი არ არის. ეს პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების დღიდან სწარმოებს. მისი მთავარი შინაარსია: ღარიბებზე დაყრდნობა, საშუალო გლეხთან კავშირი და კულაკების შევიწროება. ცოტახნის ხანებში ჩვენ მივედით იმ დონემდე, რომ არც მრეწველობას და არც სოფლის მეურნეობას არ შეეძლო სხვანაირად განვითარება. საჭირო იყო ჩვენი სოფლის მეურნეობაში გეგმიანობის შეტანა. ასეთი გეგმიანობა კი ყოვლად მოუხერხებელი იქნებოდა მაშინ, თუ სოფლად ისევ ბატონ-პატრონი დარჩებოდა კულაკი და კვლავ იარსებებდა წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობანი მილიონები. მთელი ჩვენი პოლიტიკა მიმართული იყო მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და გლეხთა შრომელი მასების კოლმეურნეობებში გაერთიანებისაკენ. მაგრამ, დასამალი არაფერია, სწორედ ამ საკითხში დავუშვით ჩვენ ბევრი შეცდომა. ჩვენ გვქონდა ცეკას გარკვეული მითითება, რომ არ შეიძლება ზევიდან გამოცემული დეკრეტებით კოლმეურნეობების შექმნა, რომ შეუძლებელია ადმინისტრატიული ზომების გამოყენება კოლმეურნეობათა მშენებლობაში. ამხ. ტომსკიმ აქ მოიყვანა ადგილები ცეკას 6 იანვრის დადგენილებისა და მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებიდან, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, თუ როგორ ფორმებში უნდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენ ეხლა სოფლის მეურნეობა. მეორე მხრივ ამ დადგენილებებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ შეუძლებელია კოლექტივიზაციის დეკრეტით გატარება. მაგრამ რა მოხდა ჩვენში ამის შემდეგ? მე მაგონდება ა. კ. საოლქო კომიტეტის იანვრის პლენუმი. იქ ლაპარაკობდნენ, რომ ყველაფერი მზადაა, ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონები უკვე მთლიანი კოლექტივიზაციაზე გადადიან. თბილისის ოლქის წარმომადგენელმა აცნობა პლენუმს, რომ ამ ოლქში რამდენიმე რაიონი უკვე გადავიდა მთლიან კოლექტივიზაციაზეო. აზერბეიჯანის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ იქაც შესაძლებელია ეხლა შეუდგეთ კულაკობის და მასთან ერთად სასულიერო წოდების ლიკვიდაციას. იმ დროს არ აღმოჩნდა არც ერთი კაცი, რომელსაც შესძლებოდა წესრიგისაკენ მოეწოდებინა ეს ამხანაგები, ეთქვა მათთვის, რომ ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივას, რომ მთლიანი კოლექტივიზაცია სრულიად არ ვრცელდება ამიერ-კავკასიის სოფელზე და რომ ამ საქმისათვის საჭიროა დიდი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. უნდა ითქვას, რომ არავითარი მოსამზადებელი მუშაობა ჩვენ არ გვიწარმოებია. ამის თქმა საჭიროა იმიტომ, რომ მე ვფიქრობ სოფლად შექმნილი მდგომარეობა ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოგვისწორებია. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც შეცდომების გამოსწორებას ფორმალურად უდგებიან, სცნობენ შეცდომებს, მაგრამ სინამდვილეში არც კი ფიქრობენ მათ აღმოფხვრაზე. დღემდე ამხანაგებს ვერ შეუგნიათ, რომ დაუშვებელია გლეხებზე ბრძანებლობა როგორც ამას ბევრგან ჰქონდა ადგილი. ამჟამად მთელი ჩვენი ძალები უნდა მივმართოთ იქეთკენ, რომ მოვამზადოთ ის პირობები, რომელნიც ნამდვილად შესაძლებლად გახდიან ჩვენი სოფლის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლას.

აქას წინად მე წავიკითხე ამხ. კოსიორის სიტყვა, რომელშიაც ის კითხულობს: რათ მოხდა ეს რომ ჩვენ არ ვიცოდით რა ხდებოდა სოფლად გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროსო? კითხვაზე ამხ. კოსიორი უპასუხებს: ჩვენ ვეყრდნობით საოლქო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტები რაიონებს, რაიონები კი ძირითად ორგანიზაციებს—უჯრედებს და სხვ. და ჩვენ არ მოვიფიქრეთ შეგვემოწმებია ყველა ის ცნობები, რომლებსაც საოლქო კომიტეტები იძლეოდენ. ჩვენ უჯერებდით საოლქო კომიტეტებს, თავის მხრივ საოლქო კომიტეტებს სჯეროდა რაიონების,— რაიონები კი სავსებით ენდობოდნენ უჯრედებს, აქედან აშკარაა, რომ ქვევით მდგომი ორგანიზაციები არ აძლევდნენ სწორ ცნობებს ზემდგომ ორგანოებს. როდესაც ძირად ორგანიზაციებს მოჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გლეხობა დიდი ენტუზიაზმით შედის კოლმეურნეობებში, ჩვენ იმათ ვუჯერებდით, ბოლოს კი გამოვიდა ისე, რომ თურმე ყველას ერთმანეთი შეცდომაში შეგვყავდა.

მომავლისათვის ასეთი სისტემა უნდა მოისპოს, კატეგორიულად უნდა უარვყოთ ცნობების მიწოდების ეს ჩინოვნიკური სისტემა.

უნდა ითქვას, რომ კოლექტივიზაციის ამ „თავბრუდამხვევი" ტემპის გამო, რომელიც ამ გაზაფხულზე გვქონდა, ჩვენ სოფლად არ გვაქვს მაინცა და მაინც კარგი მდგომარეობა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მე ვლაპარაკობ თვით კოლექტივიზაცია არ არის საჭიროთქო, რასაკვირველია, ჩემი სიტყვები ასე არავინ არ უნდა გაიგოს. კოლექტივიზაცია ეს ის გზაა, რომელსაც ჩვენ მივყავართ სოციალისტურ მიწათმოქმედებისაკენ. კოლექტივიზაციის ტემპი უსათუოდ უნდა დავაჩქაროთ. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა ტარდებოდეს პარტიის დირექტივის საფუძველზე.

დასასრულ, მე შევეხები ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზის განმტკიცების საკითხს. პარტიის ცეკას დირექტივა ამ საკითხზე მიღებული იყო ამიერ-კავკასიის მუშაკების მონაწილეობით. ეს დირექტივა სავსებით სწორი და დროულია. ამხ. ხანჯიანმა აღნიშნა, რომ ამ დირექტივის გატარებაში არის ზოგიერთი ნაკლოვანებები. ეს სწორია. საქმე იმაშია, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ინტერესები არ მოითხოვს ყველა წვრილმან სამეურნეო გაერთიანებების მოწყობას, ჩვენში კი ასეთ ფაქტებს ხშირად აქვს ადგილი. ასეთი ნაკლი მალე უნდა გამოსწორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვნებას მოუტანს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზის განმტკიცების საქმეს.

მე ვფიქრობ, რომ მე-16 ყრილობაზე ჩვენ დაუზოგავად ავხდით ფარდას ყველა იმ შეცდომებს, რომლებიც ჩვენ დავუშვით კოლექტივიზაციის საქმეში და ამით კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი პარტიის ბოლშევიკურ მთლიანობას.

### ამხ. ჩაპლინი

ცენტრალური კომიტეტი მთელ თავის მუშაობას საანგარიშო პერიოდის გასწვრივ გადახრებთან ბრძოლის პირობებში ატარებდა. ბრძოლის მთავარი მახვილი მიმართული იყო მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. სწორედ ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომლითაც ყრილობა შეხვდა ამხ. ტომსკის მოხსენებას. ყრილობის თვითეული დელეგატი, აშკარაა, დიდათ კმაყოფილია იმით, რომ ამხ. ტომსკი, რომელიც რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად აშენებდა ლენინურ პარტიას დღეს რამდენიმე ხნის მარჯვენივ მერყეობის შემდეგ ისევ პარტიასთან არის და იზიარებს მის პოლიტიკას.

მემარჯვენე უკლონისტების შეცდომები საშინაო პოლიტიკის საკითხებში უშუალოდ არიან გადახლართულნი იმ შეცდომებთან, რომლებსაც ისინი მუშათა საერთაშორისო მოძრაობის საკითხებში უშვებენ. ლენინი არაერთხელ ამბობდა, რომ მარქსისტული პოლიტიკით მთავარი ღერძია კლასობრივ ძალთა განწყობილებების სწორი აღრიცხვა. მემარჯვენეების ძირითადი შეცდომა გამოიხატება სწორედ იმაში, რომ მათ დაივიწყეს ლენინის ეს დებულება და ვერ შესძლეს კლასობრივ ძალთა განწყობილების სწორი ანალიზი.

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი წლების განმავლობაში დღითი-დღე მტკიცდება მუშათა კლასის პოზიციები, ამავე დროს კაპიტალისტურ სამყაროს თანდათანობით ულევება ძალა. ამის საუკეთესო ნიშანია მუშათა მასებში რევოლუციონური განწყობილების ზრდა, [illegible] გამძაფრება.

ჩვენი პარტიის მიერ აღებულ ხაზს, რომელიც მიმართულია კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური შეტევის გაძლიერებისაკენ, შეეფარდება კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობის გაძლიერება კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამხ. ბუხარინის შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი უარყოფდა რევოლუციონურ ტალღის ზრდას კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მასებში და ამრიგად შემარიგებელი პოზიცია ეჭირა დასავლეთ ევროპის კომპარტიების მემარჯვენე ოპორტუნისტების მიმართ. ამხ. ბუხარინმა თავის ერთ-ერთ წერილში, რომელიც „პრავდა"-ში იყო მოთავსებული, მიაფუჩეჩა წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შიგნით. ამ შემთხვევაში ბუხარინმა დაივიწყა ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი არ სპობს კონკურენციასა და წინააღმდეგობებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შიგნით. ასეთ პოზიციას იგი უშუალოდ მიყავდა კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვამდე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამხ. ბუხარინი იმაშიდეც კი მივიდა, რომ განაცხადა: რევოლუცია მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ახალი ომი იფეთქებსო. ეს დებულება მთლიანად ეწინააღმდეგება ლენინიზმს.

კომუნისტური ინტერნაციონალის განვითარების უკანასკნელმა პერიოდმა სავსებით გააცამტვერა მემარჯვენეთა შეხედულებები. ფინანსიური დეპრესია ამერიკაში გადაიქცა მსოფლიო ეკონომიურ კრიზისად და უკვე მიიღება უშუალო რევოლუციონური სიტუაცია.

ორიოდე სიტყვა სოციალ - ფაშიზმის შესახებ. ამ საკითხში არსებობს ორი გადახრა: პირველი მათგანი ამტკიცებს, რომ თვით ლოზუნგი სოციალ - დემოკრატიის სოციალფაშიზმად გადაგვარების შესახებ არ არის სწორი. ასეთ შეხედულებას იცავენ ტროცკისტები. მეორე შეხედულება ფორმალურად ულრესად „მემარცხენე"-ა. იგი არავითარ განსხვავებას არ ხედავს სოციალ - ფაშიზმად გადაგვარებულ სოციალ - დემოკრატიასა და სოციალ - დემოკრატიულ მუშებს შორის. ჩვენ კი შესაძლებლად და საჭიროდ მიგვაჩნია სისტემატიური მუშაობით გავანთავისუფლოთ სოც.-დემოკრატ. მუშები სოციალ-ფაშიზმის გავლენიდან.

საშინაო პოლიტიკაში მემარჯვენეებმა სრულიად ვერ შეამჩნიეს კლასობრივ ძალთა განწყობილების შეცვლა ჩვენი ქვეყნის შიგნით. მე-15 ყრილობის შემდეგ ჩვენი სამეურნეო განვითარება დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის ხაზით მიმდინარეობდა. მაგრამ ამ გზაზე ჩვენს მრეწველობას წინ გადაელობა დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა ჩამორჩენილობა. კულაკმა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში მოიმაგრა წელი და შემდეგ გადასწყვიტა იერიში მიეტანა პროლეტარულ ქალაქზე. ამის შედეგი იყო პურის კრიზისი, რომელმაც 28 წელში იჩინა თავი. პარტიამ, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით განავითარა შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე სოფლად. საგანგებო ღონისძიებები პურის დამზადების ხაზმეში და პარტიის სხვა ნაბიჯები საკმაო შეიქმნა პურის კრიზისის შესანელებლად. პარტიამ წამოაყენა ლოზუნგები პროფმუშაობის რეორგანიზაციისა და გაძლიერების შესახებ, პროლეტარული თვითკრიტიკის გაშლის შესახებ და, ბოლოს, საბჭოთა და კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარების შესახებ. ყველა ეს ლოზუნგები შეადგენენ კაპიტალიზმის ნაშთებზე შეტევის ელემენტებს. ამჟამად ლოზუნგი: „კულაკის შევიწროვების და განდევნის შესახებ" უკვე არ წარმოადგენს ჩვენი პოლიტიკის ძირითად ლოზუნგს სოფლად. ცენტრალურ ამოცანად დღეს დასმულია კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, ამაში მდგომარეობს დღეს დიადი ისტორიული გარდატეხის მთელი შინაარსი.

მე-16 ყრილობის მოახლოებასთან დაკავშირებით მემარჯვენე ბანაკს ემჩნევა გამოცოცხლება. მემარჯვენეები თავის გამოსვლებში საქვეყნოთ აძაგებენ პარტიის სწორედ ამ ძირითად ლოზუნგს, ლოზუნგს კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის შესახებ.

საჭიროა მთელმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გამანადგურებელი შეტევით უპასუხონ მემარჯვენეთა ამ ახალ ანტიპარტიულ გამოსვლებს.

მე მინდა შევეხო პროფორგანიზაციების მუშაობას. უნდა ითქვას, რომ რეკონსტრუქტიულ პერიოდში გადასვლის დროს პროფკავშირები ჩამორჩნენ. მათი მუშაობის მეთოდები იმდენად მოძველებული შეიქნა, მათი აპარატი იმდენად ბიუროკრატიული გამოდგა, რომ ვერ შესძლეს თავიანთი მუშაობის გარდაქმნა ახალ ამოცანებთან შეფარდებით. თვით ისეთ პროლეტარულ ცენტრში, როგორიც არის ბაქო, პროფკავშირების მუშაობა მეტად ცუდადაა დაყენებული. პარტიის წევრებს დიდ შეურაცხყოფად მიაჩნიათ პროფკავშირებში სამუშაოდ გაგზავნა. ეს გარემოება კიდევ ზედმეტად აფერხებს პროფკავშირების გამოცოცხლების საქმეს.

უნდა ითქვას, რომ ხშირად ჩვენ სამეურნეო ორგანიზაციებს მხედველობიდან ეპარებათ სამრეწველო-საფინანსო გეგმის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი—რეალური ხელფასის აწევა. მუშათა მომარაგების საკითხი მოუგვარებელია; მუშათა კოოპერაცია ერთნაირად ცუდად მუშაობს, როგორც თბილისში, ისე ბაქოში. ასეთ მდგომარეობის დატოვება შეუძლებელია. პროფკავშირებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მათი ამოცანაა მუშათა მატერიალური ინტერესების დაცვა რეკონსტრუქტიულ პერიოდშიაც. ეს მუშაობა პროფკავშირების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი უნდა შეადგენდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მუშათა რეალური ხელფასის ზრდის უზრუნველყოფა ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმით.

პროფკავშირებს გარდა რეკონსტრუქტიულ პერიოდთან შეფარდებით ვერ გარდაქმნეს თავისი მუშაობა სხვა მასიურ ორგანიზაციებმაც. ჩამორჩა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. უკანასკნელ ხანებში უკვე გაისმოდა ხმები მისი ლიკვიდაციის შესახებ. თვით კომკავშირმაც კი ვერ შესძლო ახალ პირობებში გა[illegible].

ამ გაკვეთილების საფუძველზე, რომელიც უკანასკნელ შეცდომებთან დაკავშირებით გვაქვს, ჩვენ აუცილებლად უნდა დავსვათ საკითხი პარტიის ამ მასებთან დამაკავშირებელი ორგანიზაციების მუშაობის გაჯანსაღების შესახებ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ორ ფრონტზე ბრძოლის ლოზუნგის შესახებ. ამ სიტყვებს ყველა იმეორებს დაწყებული პარტიის მოხუცი წევრებიდან და გათავებული პიონერებით, მაგრამ ამხანაგები ხშირად მექანიკურად ითვისებენ მათ მნიშვნელობას. საჭიროა ორ ფრონტზე ბრძოლას მივცეთ უფრო მეტი კონკრეტული შინაარსი და ამრიგად ეს ლოზუნგი ნამდვილ მოქმედ ლოზუნგად გადავაქციოთ. ხელმძღვანელობის შეცვლა ამიერ-კავკასიაში მემარჯვენეებმა შეაფასეს, როგორც პოზიციების დათმობა პარტიის მიერ. ასეთ განწყობილებებს სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ გარემოებამ ნაწილობრივ შეასუსტა დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებელი მუშაობა.

ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავყვებით თვითდინებას დაშვებულ შეცდომების გამოსწორების საქმეში. ჩვენი ამოცანაა ორ ფრონტზე ნამდვილი ბრძოლის გზით ბოლშევიკურად გამოვასწოროთ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს დაშვებული გადახვევები.

### ამხ. იზმაილოვი

(აზერბეიჯანი)

ამ ორ ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენი პარტიის მუშაობის მთავარი დამახასიათებელი მომენტია პარტიის ბრძოლა ანტილენინურ გადახრების წინააღმდეგ. ჩვენი მუშაობის ძირითადი ამოცანა იყო პარტიის რიგებში ლენინური მთლიანობის შენარჩუნება და, როგორც ვხედავთ, ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით პარტიამ შესძლო დაეცვა ეს მთლიანობა. სწორედ ამით აიხსნება, და ამის შედეგია ყველა ის მიღწევები, რომელიც საბჭოთა ქვეყანას აქვს სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე, მხოლოდ პარტიის რიგების სიმტკიცის პირობებში იყო შესაძლებელი ის, რომ პრაქტიკულად დაისვა უაღრესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა—სოფლის სოციალისტური გარდაქმნა. მიუხედავად მთელი რიგი შეცდომებისა ჩვენ ამ დარგშიაც აუცილებლად დიდი მიღწევები გვაქვს: სოფელმა ძირითადათ უკვე იბრუნა პირი სოციალისტურ განვითარების გზისაკენ, მაგრამ დაშვებულმა შეცდომებმა ნაწილობრივ გააძლიერეს მემარჯვენე ხასიათის მერყეობა პარტიის ზოგიერთ წევრებს შორის. ეს გარემოება კიდევ უფრო ძირითად საკითხად აყენებს ჩვენი პარტიის დღის წესრიგში მემარჯვენეობასთან ბრძოლას.

ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობის სწორი პოლიტიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვიცით, თუ როდის რა მხრით უნდა მივმართოთ საბრძოლველი მახვილი. 1925 წელში, მე-14 პარტიულ ყრილობაზე, მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა „მემარცხენე" გადახრა მაშინდელი ოპოზიციის სახით და პარტიამაც მთავარი იერიში მის წინააღმდეგ მიიტანა. ამჟამად, მე-16 ყრილობისათვის, მთავარ საშიშროებას ჩვენს პარტიაში წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა და ჩვენც მის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ენერგია.

### მესამე სხდომა

### ამხ. ალაევი

ამხანაგებო! მე მინდა პირველ ყოვლისა საყვედური ვუთხრა ამხ. ტომსკის. მან ბოლშევიკურად აღიარა აქ თავისი შეცდომები. მან გვითხრა, რომ პარტიამ სამართლიანად გაჰკიცხა ჩვენი მოქმედებაო. ეს ყველაფერი კარგი. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ძველი ბოლშევიკი, პარტიის ერთ-ერთი ბელადი, ამხ. ტომსკი, ისევ შერჩა ჩვენს რიგებს. მაგრამ მე არ შემიძლია მას საყვედური არ უთხრა. ამხ. ტომსკიმ ალბად კარგად იცის, თუ როგორი გულისტკივილით ადევნებდნენ მუშები თვალყურს მემარჯვენე ოპოზიციის ბრძოლას ცეკას შემადგენლობაში. ჩვენ ვერ გაგვიგია, დაუშვებლად მიგვაჩნია, ისეთი ბელადების დეზორგანიზატორული გამოსვლა პარტიის წინააღმდეგ, როგორიცაა ამხ. ტომსკი, რიკოვი და ბუხარინი. ჩვენ მათ შეცდომებისათვის უფრო მეტ პასუხს მოვითხოვთ, ვიდრე პარტიის ჩვეულებრივ წევრს.

ამასთანავე მე უნდა აღვნიშნო, რომ ბაქოს კოოპერატივი მეტად ცუდად მუშაობს. კოოპერატივში არ არის ისეთი საქონელი, რომლის მოტანაც შეიძლებოდა, კოოპერატივის თაროებზე ბუზები მალაყს გადადიან. ასეთი მდგომარეობა მოსათმენი არაა. კოოპერაციის მუშაკებს მეტი თვითმოქმედება და გეგმიანი მუშაობა მართებთ.

ბაქოს ნავთის სამრეწველოების მუშებმა დაგვიდეს სიტყვა რომ ხუთწლიან სამეურნეო გეგმა შევასრულოთ ორნახევარ წლის განმავლობაში. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ჩვენ ამ დაპირებას, რომელიც მივეცით პარტიას უკლებლივ შევასრულებთ.

### ამხ. გოგებია

უდაოა, ამხანაგებო, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უდიდესი მიღწევები აქვს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ეს მიუხედავად დიდ შეცდომებისა, რომელიც ჩვენ გვქონდა ამ ბოლო დროს საკოლმეურნეო მშენებლობაში. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ შეცდომებისათვის პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთაც ვერ შეითვისეს პარტიის სწორი მითითებანი და რომლებმაც კოლექტივიზაციის გატარების დროს არ გაითვალისწინეს ადგილობრივი პირობების თავისებურებანი. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისს წარმოადგენს აჭარისტანი. აჭარისტანშიაც დაისვა საკითხი კოლექტივიზაციის შესახებ. ჩვენ, ადგილობრივი მომუშავენი იძულებული ვიყავით მხედველობაში მიგვეღო ყველა ადგილობრივი სპეციფიური პირობები და ამის შესაფერისად დაგვეწყო მუშაობა კოლექტივების მოსაწყობად.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმზე აჭარისტანის პარტიულ ორგანიზაციებმა სწორად ასე დააყენეს საკითხი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მიზანშეუწონელია საკოლმეურნეო მშენებლობის საერთო პრაქტიკის შეუსწორებლად გადატანა აჭარისტანის სინამდვილეში. ასეთი შეხედულებისათვის ჩვენს წარმომადგენელს საოლქო კომიტეტის სხდომაზე „ზარია ვოსტოკა"-ს მაშინდელ პასუხისმგებელ რედაქტორმა ამხ. ტაბლოიძემ და შემდეგ ამხ. კრინიცკიმ ოპორტუნისტობა დასწამა და რომ ცეკას ზოგიერთი წევრების სათანადო დახმარება არა, ჩვენ იძულებული ვიქნებოდით აჭარისტანშიაც იმავე მეთოდით დაგვეწყო მუშაობა, როგორც ეს სხვაგან მოხდა.

აჭარისტანის პარტიული ორგანიზაციები შეუდგნენ მუშაობას ადგილობრივი პირობების რაც შეიძლება მთლიანად გათვალისწინებით. და უნდა ითქვას, რომ ჩვენ დღეს დიდი მიღწევები გვაქვს. ნებაყოფლობითი პრინციპი არ დარღვეულა. თუ წინად გვქონდა კოლმეურნეობათა 11,2 პროცენტი, ეხლა გვაქვს 14,1 პროცენტი. ესეც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს აჭარისტანის პირობებისათვის.

### ამხ. ეგიაზარიანი

ამხანაგებო! მსოფლიო ბურჟუაზია ვერ ურიგდება საბჭოთა კავშირის სწრაფად განვითარებას. ის ყოველნაირად უშლის ხელს ჩვენს წინსვლას. აიღეთ თუნდაც საკითხი ასანთის მონოპოლიის შესახებ გერმანიაში. თქვენ იცით, რომ გერმანიის ბურჟუაზიასთან ერთად იქაურმა სოციალ-დემოკრატიამ ყოველი ზომა იხმარა იმისათვის, რომ გერმანიის ბაზრიდან გაედევნა საბჭოთა ასანთი. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალისტურ ნავთის მრეწველობათა უდიდესი გაერთიანებანი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ საბჭოთა იაფი და კარგი ხარისხის ნავთისათვის გზების დასაკეტად უცხოეთის ბაზარზე. იმპერიალისტების ასეთ ცდებს ჩვენ უნდა ვუპასუხოთ საწარმოო ძალთა კიდევ უფრო გაძლიერებით და სოციალისტური ეკონომიკის მაღალ დონეზე აყვანით.

ამხ. ტომსკიმ სავსებით სამართლიანად აღნიშნა გუშინ, რომ შეუძლებელია გლეხობასთან კავშირის განმტკიცება მარტო ჩითის საფუძველზე, ამასთან ერთად საჭიროა ქალაქისა და სოფლის კავშირისათვის მაღალ საწარმოო საფუძვლის შექმნა. პარტიის მუშაობა აქეთკენ მიიმართება. ჩვენ ვაგებთ მანქანების სამშენებლო უდიდეს ქარხნებს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მსხვილ სამანქანო ბაზაზე სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. და ამავე დროს პარტია არ ივიწყებს მსუბუქ მრეწველობასაც. პარტია სავსებით ითვალისწინებს ამ დარგში არსებულ დაბრკოლებებს. ესენი კი იმაში მდგომარეობენ რომ მსუბუქ მრეწველობას არა აქვს ნედლეულის მტკიცე ბაზა. ამიტომ ჩვენი ამოცანაა მსუბუქ მრეწველობის განვითარებისათვის ენერგიული ზომები მივიღოთ საჭირო ნედლეული ბაზის შესაქმნელად. ცნობილია, რომ დღეს დგანან მთელი რიგი საფეიქრო ფაბრიკები, უმთავრესად იმიტომ, რომ მათ არა აქვთ საჭირო ნედლეული. უნდა გავაცხოველოთ მუშაობა ბოჭკოვან კულტურების მოსაშენებლად, როგორიც არის ბამბა, რამი, კანაფი და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიციურ მუშა-ხელის შექმნას. სოფელი ყოველ წლიურად დიდ ძალ მუშახელს იძლევა. ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას მიზანშეწონილად გამოვიყენოთ შრომელთა ეს არმია. პროფკავშირების მოვალეობაა ყოველი ზომები მიიღონ მათ გადასამზადებლად და მრეწველობის უზრუნველსაყოფად მომზადებული კვალიფიციური მუშახელით.

### ამხ. მახაიძე

ამხ. ტომსკიმ ბოლშევიკური პირდაპირობით აღნიშნა აქ თავისი შეცდომები. ამან დიდი კმაყოფილება გამოიწვია ჩვენში. მაგრამ ამავე დროს მე მინდა ვუსაყვედურო ამხ. ტომსკის, რომ ის მხოლოდ გაკვრით შეჩერდა პროფესიონალურ კავშირების მუშაობაზე და მათ ამოცანებზე. პროფესიონალური კავშირები ენერგიულად შეუდგნენ პარტიის მი[illegible]

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამხანაგ ბრძოლა მუშათა რეალური ხელფასის გადიდებისათვის. დირექტივა იყო მუშათა რეალური ხელფასი 12 პროცენტით გაგვედიდებია. ეს ამოცანა შესრულებული არ არის და არც იქნება, თუ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა და პროფესიონალურმა კავშირებმა ვერ გარდაქმნეს თავისი მუშაობა ჯერ-ჯერობით კი ეს საჭირო ტემპით არ ხდება. ამ შემთხვევაშიაც პარტია თავისი ავტორიტეტული ხელმძღვანელობით უნდა ჩაერ[illegible]

## საქ. კ. პ. (ბ) მე-XVI ყრილობა გადადებულია 25 ივნისისათვის

მოსკოვი, 6 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციების საყურადღებოდ:

მთელი რიგი ოლქების ორგანიზაციათა თხოვნით, სადაც ამინდის არახელსაყრელ პირობებთან დაკავშირებით, თესვა რამდენადმე გვიანდება, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა—პარტიის მე-16 ყრილობის გახსნა 15 ივნისიდან გადატანილ იქნას 25 ივნისისათვის.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სტალინი.

## საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ახალი შემადგენლობა

საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-7 ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქნა საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი — 65 წევრისა და 22 კანდიდატის შემადგენლობით.

### წევრები

ამხ. აბაევი, ავქსენტიევსკი, აღნიაშვილი, ე. ასრიბეკოვი, ვ. ავაქოვი, ბურეში, ლ. ბერია, ვ. ბოლქვაძე, ვ. ვაშაკიძე, ლოლობერიძე, მ. გობეჩია, ფ. გეგეშიძე, ვ. გრიგორიანი, ვ. გოგია, ს. ჟულელი, კ. ბუჯიაშვილი, კ. დარახველიძე, გ. დევდარიანი, ა. ესაიანი, თ. ჟღენტი, ა. ჟუჟიკაშვილი, ი. ჟვანია, ა. ზაკომოლდინი, გ. ყურულიშვილი, ე. კვანტალიანი, ა. კვირიკაძე, ს. კუდრიავცევი, ვ. ქურდაძე, აკ. ქავთარაძე, ბ. ლომინაძე, ტ. ლორთქიფანიძე, ლ. ლომიძე, გ. ლელაშვილი, ნ. ლაკობა, გ. ლომთათიძე, ფ. მახარაძე, გ. მგალობლიშვილი, ბ. მაჩაიძე, ვ. მჟავანაძე... <br>

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

# ამხ. ტომსკის საბოლოო სიტყვა

ლებდი (სიცილი). მაგრამ ჩემი მოვალეობა სხვა არის. ცენტრალურმა კომიტეტმა მე მითხრა: წადი თბილისში პარტიულ ყრილობაზე და გააკეთე იქ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაზე პოლიტიკური ანგარიში. მე მგონია, რომ ეს დავალება პატიოსნად და ჩემი ნიჭის შესაძლებლობის ფარგლებში შევასრულე. (ხმები: მართალია, ხანგრძლივი ტაში). შეიძლება ამხანაგებმა ბევრი რამ ვერ გაიგეს ჩემი მოხსენებიდან, ეს ჩემი ლაპარაკის ნაკლს უნდა მივაწეროთ. ალბად იმიტომ, რომ დიდი ხანია არ გამოვდივარ მოხსენებებით და შეიძლება ლაპარაკი დამავიწყდა. (სიცილი). მე აბსოლუტურად დაუშვებლად მიმაჩნია რაიმე პოლიტიკური იდეების გამოთქმა გაკეთებულ მოხსენების გარშემო. მე ვეცადე არ მომეჭანცა ყრილობის ყურადღება გრძელი ექვსსაათიანი მოხსენებით. უნდა ითქვას, რომ თუ ჩვენ ხუთწლიან სამეურნეო გეგმას შესრულებას შევძლებთ ოთხ წელში და უფრო ადრე, „რეზების" მხრით გეგმას ორ წელშიაც და ან უფრო მოკლე დროის განმავლობაშიც განვახორციელებთ. ამიტომ მე ვეცადე არ დამეღალა თქვენი ყურადღება, მით უფრო, რომ ყველა თქვენგანმა, სანამ ამ ყრილობაზე დაიწყებდა მუშაობას, სამი თუ უფრო მეტი სხვა კონფერენციები და ყრილობები ჩაატარა.

ამით სავსებით ამოწურულად მიმაჩნია საკითხი ჩემი პიროვნების შესახებ.

### მუშათა რეალური ხელფასი

გადავდივარ მუშათა რეალური ხელფასის საკითხზე, რომელზედაც აქ საკმაოდ ვრცლად შეჩერდნენ გამოსული ორატორები. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მიღწევებით თავს ქება არ შეგვიძლია. მე არა მაქვს რეალური ხელფასის დამახასიათებელი ციფრები. ბევრი რამ ამ ციფრების შედგენის დროს გათვალისწინებული ალბად არ ყოფილა, მაგრამ ერთი რამ ცხადია:—მუშათა რეალური ხელფასის გადიდების გეგმა შესრულებული არ არის. ჩემს მოხსენებაში მე ვილაპარაკე პროფესიონალური კავშირებისა და კოოპერაციის ამოცანებზე მუშათა მატერიალურ მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. რასაკვირველია, პროფკავშირებისა და კოოპერაციის მოვალეობაა შეუნელებელი ბრძოლა მუშათა რეალური ხელფასის ამაღლებისათვის. მაგრამ, ამხანაგებო, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია საკითხი დავაყენოთ ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ტროცკისტებისა და ამხ. ზინოვიევის მხრივ 1927 წლის მაისში. ისინი ამბობდნენ—მუშათა რეალური ხელფასი დაეცა 15 პროცენტით და განცვიფრებით კითხულობდნენ: ნუ თუ ეს უნდა ხდებოდეს მუშათა სახელმწიფოში.

ამხანაგებო! სანამ საბჭოთა კავშირში არსებობს კლასთა ბრძოლა, სანამ ჩვენს სახელმწიფოებრივი აპარატი გვაქვს, უდაოა, რომ პროფესიონალური კავშირები იბრძვიან და იბრძოლებენ მუშათა რეალური ხელფასის გადიდებისათვის. მაგრამ ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმასაც, რომ კავშირები არიან პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი გამტარებელნი, სოციალისტური მშენებლობის მონაწილენი. ამიტომ არ შეიძლება საკითხის ისე გამარტივება, მისი ისე ვულგალურად დასმა. მე დამაკლდა რეალური ხელფასი ერთი შაური და ეხლავე გადმომეცი ფული. ამხ. ლენინმა პროფკავშირების მე-5 ყრილობის წინ ჩვენ გამოგვიგზავნა წერილი. მე ეხლაც მახსოვს ამ წერილის შინაარსი. ლენინი ამბობდა—ჩვენი ძირითადი ამოცანაა მძიმე მეტალურგიის განვითარება. ეს ამოცანა ყველგან განხორციელებულ იქნა საგარეო სესხით. ჩვენ ბურჟუაზია სესხს არ გვაძლევს, ან თუ გვაძლევს ისეთ პირობებში, რომლებსაც ჩვენ უარვყოფთ. ამიტომ პროლეტარიატის წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა—ეს პრობლემა გადასჭრას საკუთარი ძალებით.

პროფკავშირების მე-5 ყრილობამ მისცა თავის ბელადს პირობა, რომ პროლეტარიატი ამ ამოცანას შეასრულებს საგარეო სესხის მოუღებლად საკუთარი კუნთებისა და ინიციატივის დაძაბვით. და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, ტრიალიზაციის გამმაგებული ტემპი 8 პროლეტარიატმა შეასრულა. თუ ამერიკის ინდუსტრიალიზაციის გამმაგებული ტემპი 8 პროცენტზე ზევით ვერ ადიოდა, მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპი ჩვენში 31 პროცენტს უდრის. ჩვენ სულ სხვა სამეურნეო ბაზას ვუქმნით სოფელს, სულ სხვა სახეს ვაძლევთ სოფლის მეურნეობას. და ნუ თუ შეგვიძლია უბრალოთ მუშას, რომ შენგან ეს დიადი მუშაობა არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს. რევოლუციის წარმატებით განვითარების ინტერესები მოითხოვს პირდაპირ და პატიოსნად გავაფრთხილოთ პროლეტარიატი, რომ სოციალისტური მშენებლობის გაშლა-განვითარება მოითხოვს მორიგ მსხვერპლს.

თქვენ იცით, თუ როგორი გამწვავებული მდგომარეობაა ბურჟუაზიულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის. კაპიტალისტები არ გვაძლევენ სესხს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ ხელოვნურად მიიყვანონ საბჭოთა კავშირის მეურნეობა გაკოტრებამდე. ნუ თუ ასეთ პირობებში შეგვიძლია ვუთხრათ მუშას, რომ შენი რეალური ხელფასი ერთი პროცენტითაც არ შეირყევა?

ყველა კარგად გრძნობს, რომ სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებასთან ერთად გაიზრდება და გაუმჯობესდება მუშათა კლასის მატერიალური დონე. რას გვეუბნება საერთო ტენდენცია? ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის დასასრულ მუშათა რეალური ხელფასი უნდა გაიზარდოს 79 პროცენტით. აი, ამხანაგებო, როგორ უნდა დაისვას საკითხი რეალური ხელფასის შესახებ თვითეულ კომუნისტმა. ეს, რასაკვირველია, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ოდნავადაც შეგვიძლია შევამციროთ ბრძოლა რეალური ხელფასის გადიდებისათვის. ეს ამოცანა მთელი თავისი მნიშვნელობით ძალაში რჩება. აქ უდიდესი როლი ეკისრება პროფესიონალურ კავშირებს და კოოპერაციას.

### პირით წარმოებისაკენ

მე კმაყოფილებით ვუსმენდი საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელს, რომელიც თვითკრიტიკულად შეეხო პროფკავშირების მუშაობას. თავისთავის მუშაობის გაკრიტიკება ერთგვარ ჩვეულებად გადაიქცა. მაგრამ ასევე ხშირად არ ხდება პრაქტიკული ღონისძიებების დასახვა არსებულ დაბრკოლებათა გადალახვისათვის. აი, საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ პროფკავშირები ნელი ტემპით ეგუებიან მორიგ ამოცანებს. მართალია, ისინი მიბრუნდნენ პირით წარმოებისაკენ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. არ შეიძლება ვთხოვოთ ამხანაგებს, რომ ცოტა დააჩქარონ ტემპი? ხომ შესაძლებელია ისეთი მდგომარეობა, რომ პირით ერთი მხარეს მივბრუნდეთ, მხოლოდ დანარჩენი ნაწილი კანცელარიაში დაგრჩეს (სიცილი).

შესაძლებელია გამოვიდეს აქ კოოპერაციის წარმომადგენელი. ისიც თავის-თავს გააკრიტიკებს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სადღაა ის კაცი, ვინც საქმე უნდა გააკეთოს. კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნა პროფესიონალური კავშირების ამოცანაა. კოოპერაცია ეყრდნობა თავის მუშაობაში მასებს. და ამ მასების მძლავრი, მამოძრავებელი ორგანიზაცია კი არის პროფესიონალური კავშირები.

### რა არის მემარჯვენეობა

ეხლა მე ამხანაგებო, ნებას მივცემთ თავს გადავიდე იმ მეტად მნიშვნელოვან საკითხების განმარტებაზე, რომელიც მე აქ სიტყვიერად თუ წერილობით მომეცა. როგორია ეს საკითხები? ისინი შემდეგი ხასიათისაა: რაში მდგომარეობს მემარჯვენე გადახრა? რატომ არის განსაკუთრებით საშიში ეს გადახრა ჩვენთვის? რაში გამოიხატება მემარჯვენეობა ამჟამად?

მე მგონია, ამხანაგებო, რომ ისინი, ვინც მასაყვედურებდა ამ საკითხებზე არასაკმაოდ შეჩერებას, თვითონ შეავსებდენ ამ ნაკლს და ამომწურავ პასუხს გასცემდენ აქ წამოყენებულ საკითხებზე. მაგრამ მათ გამოსვლიდან მე დავინახე, რომ ისინი ჰყვებოდნენ მხოლოდ საერთო ფორმულებს და საკითხს კონკრეტულად არ განმარტავდნენ.

ოპოზიციის არსი იმაშია, რომ ოპოზიცია პარტიაში იწვევს ფრაქციას, ფრაქცია კი არის ემბრიონი, ანუ ჩანასახი მეორე პარტიისა. შესაძლებელია ოპოზიცია დაიწყოს და გაქარწყლდეს, მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ ის გაიზარდოს და ცალკე პარტიათ განვითარდეს. ეს ნათლად დავინახეთ ჩვენ ტროცკიზმის მაგალითზე. ტროცკი პირდაპირი გზით მიდიოდა მეორე პარტიის შექმნისაკენ. მაგრამ მან ეს ვერ შესძლო, მან ვერ ჰპოვა საამისო ძალები.

რას ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მეორე პარტია? ეს ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების გაკვეთას ორ ნაწილად. მუშათა კლასს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ერთი პარტია და ერთი ხელისუფლება უნდა ყავდეს. ორი პარტია და ორი ხელისუფლება ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის დამარცხების გზით წაყვანას. ამის მოწმე ვიყავით ჩვენ „მემარცხენე" ესერების თანამშრომლობის დროს. ჩვენ დავინახეთ, რომ ამ თანამშრომლობამ მცირე სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა.

ორი პარტია პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნიშნავს ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკის ლეგალიზაციას. ჩვენი პარტია თაოსნობს ხელისუფლებას, პარტიის კრიტიკა იქნება კრიტიკა ხელისუფლების. ეს კრიტიკა იქნება ანტისაბჭოთა ხასიათის, რაც უნდა კეთილშობილურ და მეგობრულ კრიტიკის სამოსში არ იქნეს ის გახვეული. ამაშიაც დავრწმუნდით ჩვენ ტროცკიზმის დღევანდელ პრაქტიკაზე. ტროცკი დღეს უცხოეთში აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკას და არსებითად ის ერთ ფრონტში სდგას მენშევიკებთან და საერთოდ მთელ ფაშისტურ ბურჟუაზიასთან.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კლასები საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არსებობს, რომ ჩვენში ადგილი აქვს კლასობრივ ბრძოლას, რომ მუშათა კლასი დაზღვეული არ არის სხვადასხვა ანტიპროლეტარული სოციალური ჯგუფების მავნე გავლენისაგან. ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ეს გავლენა მუშათა კლასში მძლავრად იჩენს თავს. უფრო მეტი ეს გაწვრთნილებანი გამოხატულებას ჰპოულობენ ჩვენი დიდი, მრავალმილიონიანი პარტიის ზოგიერთ მერყევ ფენებშიაც. აი, ამხანაგებო, რაშია ოპოზიციის საშიშროება, აი სად არის ის საფრთხე, რომელიც მოაქვს მემარჯვენე გადახრას.

„მემარცხენეობა"-ს ჩვენს პირობებში არა აქვს ისე მძლავრი სოციალური საფუძველი, როგორიც მემარჯვენე გადახრას. ამიტომ იყო, რომ ტროცკი ასე უძლური აღმოჩნდა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მას მხარი დაუჭირა მოხარისხეტო ინტელიგენციამ და ახალგაზრდა მუშების უმნიშვნელო ნაწილმა, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს სავსებით გათვალისწინებული ჩვენი რევოლუციის მნიშვნელობა და ამოცანები, რომელიც ვერ აფასებს პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის უდიდეს მნიშვნელობას ოქტომბრის რევოლუციის საბოლოოდ გამარჯვებისათვის. ამიტომ განსაკუთრებით საშიშია ჩვენთვის მემარჯვენე გადახრა. ის მძლავრ გამოძახილს პოულობს ჩვენში ჯერ კიდევ არსებულ ანტიპროლეტარულ სოციალურ ფენებში.

რატომ ხდება, რომ ჩვენს მოძმე უცხოეთის კომუნისტურ პარტიებს „მარცხნივ" გადახრას არ შეუძლია იმდენად დიდი ზიანი მიაყენოს საქმეს, ხოლო მემარჯვენე ტენდენციები აქაც უფრო დიდ საშიშროებას გვიქადის? ეს იმიტომ, რომ იქ ჯერ კიდევ ძლიერია სოციალ-დემოკრატიის გავლენა და ასეთ პირობებში ყოველგვარი მერყეობა პარტიის სწორი ხაზისაგან ნიშნავს მოწინააღმდეგე ძლიერი მტერის წისქვილზე წყლის დასხმას. უცხოეთის კომპარტიების გადახრა ნიშნავს კომინტერნის ხელმძღვანელობის შესუსტებას. ეს ნიშნავს მისი მთავარი რაზმის საკავშირო კომუნისტური პარტიის კრიტიკას. საკავშირო კომუნისტური პარტიის კრიტიკა უკვე არის კავშირი ფაშისტურ-სოციალურ დემოკრატიასთან. აი რა საშიშროება მოაქვს ჩვენთვის მემარჯვენე გადახრას.

რაში გამოიხატება მემარჯვენე საშიშროება ამჟამად? მემარჯვენეები სცდილობენ სახელი გაუტეხონ ცენტრალურ კომიტეტის ხაზს. კოლმეურნეობათა მშენებლობაში დაშვებული შეცდომები მათი სიტყვით არის არა ადგილობრივი მუშაკების უხეირო საქმიანობის შედეგი, არამედ ცენტრალური კომიტეტის არა სწორი ხელმძღვანელობის ნაყოფი. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ჩვენი პარტიის პოლიტიკის მთავარ ღერძს წარმოადგენს. ამიტომაც მემარჯვენეები [illegible] იერიში მიიტანეს გენერალური ხაზის ამ ძირითად კვანძზე. სახელი გაუტეხონ კოლექტივიზაციას და საერთოდ სოციალისტურ მშენებლობას.

არის, რასაკვირველია, მემარჯვენეობის აშკარად გამომჟღავნებული ფორმებიც. მაგალითად, მოსკოვის ერთ-ერთ პარტუჯრედის კრებაზე დაახლოებით ასეთი სიტყვით გამოვიდა ვინმე საფონოვი. მან სთქვა: რატომ შეეხე კულაკს. მას ისევე ფრთხილად უნდა მოვექცეთ, როგორც სპეცებს (სიცილი). მისი მეურნეობა სოფლად სანიმუშო კულტურული მეურნეობაა.

აი, ამხანაგებო, მემარჯვენე მისწრაფების დაუფარავი გამოხატულება. მათი ასეთი აზრიდან ლოღიკურად გამომდინარეობს, რომ ყოველნაირად გავამაგროთ „სპეციალისტ" კულაკის სანიმუშო მეურნეობა და არა ღარიბებისა და საშუალო გლეხობის მეურნეობანი.

არის საშიშროება, რომ პარტიის სრულიად სწორი დირექტივა, რომ ნამდვილ ნებაყოფლობის საფუძველზე სწარმოებდეს საკოლმეურნეო მშენებლობა, დამახინჯებულად იქნება გაგებული. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს კოლექტიური მეურნეობანი აგებულ იქნას არა იძულებით, არამედ დარწმუნების გზით. შეიძლება ბევრმა ეს თავისებურად გაიგოს, შეიძლება ისინი მხოლოდ დარწმუნების მეთოდებზე დაეყრდნონ. მე მინდა გაგახსენოთ 1918 და 19 წელი, როცა დაშლილი იყო ჩვენი პროლეტარული ცენტრები, როცა შიმშილისაგან არაქათგამოცლილი მუშები დაზგებთან ეცემოდნენ. ჩვენ მაშინ საუკეთესო მუშებს ვგზავნიდით სოფლად პურის საშოვნელად. ჩვენ ვაძლევდით მათ ინსტრუქციებს, ბრომურებს და ვინტოვკებს, თან ვეუბნებოდით—ბრომურები და ინსტრუქცია და საერთოდ აგიტაცია ღარიბი და საშუალო გლეხობისადმი, ხოლო ვინტოვკა იგულე კულაკებისათვისო (სიცილი).

ჩვენ იძულების მეთოდს მივმართავთ კულაკობის წინააღმდეგ და მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს შეგვიშლის კოლექტიური მეურნეობათა მშენებლობაში. დარწმუნება, ყოველნაირად წახალისება საჭიროა ღარიბ და საშუალო გლეხკაცობისათვის. კრედიტები, თესლი — იარაღ-მანქანები და სხვა საშუალებებით ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის მეურნეობათა კოლექტივიზაციის დაჩქარება. აი როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ ნებაყოფლობითი პრინციპი.

რა ზიანი მოუტანა ჩვენს საქმეს ოპოზიციის საქმიანობამ საერთაშორისო ასპარეზზე? გარდა იმისა, რომ ყოველგვარი გადახრა პარტიის სწორი ხაზიდან ნიშნავს იმის ცდას, რომ პარტია გადაბარებულ იქნას ლენინურ პოზიციებიდან, გარდა იმისა, რომ ოპოზიციის გამოსვლა ასუსტებს პარტიის ავტორიტეტს და აცოცხლებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულ დაჯგუფებებს, მას მოაქვს დიდი ზიანი ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობისათვის. სხვათა შორის დამახასიათებელია, რომ კულაკური ჯგუფები ამბობდნენ — ჩვენ კომუნისტების წინააღმდეგი ვართ, მაგრამ მხარს ვუჭერთ მემარჯვენეებს. ეს ფაქტი დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ. განმეორდა იგივე ისტორია, რაც კრონშტადტის ამბოხების დროს მოხდა. თქვენ გახსოვთ, რომ მაშინ მოითხოვდნენ საბჭოებს უკომუნისტებოთ.

ისევ იმის შესახებ, თუ რა რეზონანსი ჰპოვა ოპოზიციის გამოსვლამ საერთაშორისო ასპარეზზე. ცხადია, რომ ოპოზიციის ბრძოლამ პარტიასთან შეასუსტა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი სხვა სახელმწიფოების ხელმძღვანელ წრეების თვალში. ისინი კმაყოფილებით ამბობდენ — გვეღირსა ბოლშევიკები ერთმანეთს ეტაკენ ყელში დასახრჩობათ. ცოტა კიდევ დაველოდოთ და ისინი თვით დამარცხდებიანო. ამ განწყობილებამ თავისი უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენს საგარეო კრედიტებზე, ეკონომიურ ურთიერთობაზე უცხოეთთან, ბურჟუაზიულ პრესის ტონზე და სხვ.

მე, ამხანაგებო, განზრახ შევჩერდი ჩემს საბოლოო სიტყვაში ამ საკითხებზე, რომ გამეფანტა ის გაუგებრობანი, რომლებიც უკვე ზემოთ აღვნიშნე.

### რა მდგომარეობაა ეხლა

პარტიამ ორნახევარი წლის მანძილზე, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მიუხედავად შინაპარტიულ ბრძოლისა, რომელმაც ჩვენი დიდი ყურადღება და ენერგია შეიწირა, კოლოსალური მუშაობა ჩაატარა. პარტია მე-16 ყრილობაზე მიდის შემჭიდროებული ფოლადისებური რიგებით. თეთრი ყვავები, რომელთა ანტიპარტიულ გამოსვლაზე აქ იყო ლაპარაკი, ვერ შეკრებენ ხმებს. პარტია მუშათა ბათალიონებით გარშემორტყმული შეუჩერებლად მიდის წინ. არასოდეს, ისე დიდი არ ყოფილა პარტიის ავტორიტეტი, როგორც ეხლა.

დასასრულ, ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი პარტია მე-16 ყრილობის შემდეგ უფრო გაკაჟებული, უფრო გასალკლდევებული რიგებით წავა წინ ახალი მიღწევებისაკენ მშრომელი მასების ენთუზიაზმზე დაყრდნობით, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური ხელმძღვანელობით ჩვენ მივაღწევთ დიდ საერთაშორისო მუშათა რევოლუციას. (ხანგრძლივი ტაში, ყრილობა ფეხზე ადგომით ოვაციებს უმართავს მომხსენებელს).

# მისალმებანი ყრილობას

გუშინ, ამიერ - კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა მეექვსე ყრილობის საღამოს სხდომაზე მისასალმებლად გამოცხადდნენ ჭიათურის მემაღაროეთა დელეგაცია, სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშებისა და ინჟენერ - ტეხნიკოსთა დელეგაცია და ოზურგეთის მაზრის კოლმეურნეობათა დელეგაცია.

ყრილობის სახელით დელეგაციებს მისასალმებელ სიტყვებზე პასუხი გასცა ამხ. მიხა ცხაკაიამ.

# ჩინეთის კომუნისტური რაზმების ახალი გამარჯვებები

## ნანკინის ჯარი სცლის ჩანშას.—ააფეთქეს ნანკინის მთავრობის არსენალი

## შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ გერმანიის მრეწველებსა და პროფბიუროკრატებს შორის

# ჩინეთის კომუნისტური რაზმების გამარჯვება

### წითელმა ნაწილებმა 18 ოლქი ჩაიგდეს ხელში

**შანხაი**, 5 ივნისი. გუანდუნის პროვინციაში კომუნისტური აქტივობა იზრდება. ფუძიანის, ძიანსის და გუანდუნის სანაპირო ტერიტორიაზე 18 ოლქი წითელმა ნაწილებმა ჩაიგდეს ხელში. ამასთან იუწყებიან წითელი ნაწილების მიერ სანაპირო ქალაქების ლუნჯიოუს, იუნტინის და პანხანის აღების შესახებ. გუანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჯარი იგზავნება ათიათასიანი წითელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად. დასავლეთ გუანსიში კომუნისტებმა ქალაქი ლინჯოუ დაიპყრეს (ადს).

### წითელი არმიის მოქმედება

**შანხაი**, 5 ივნისი. ხუბეის პროვინციის ხელისუფლებამ სამხედრო გემები გაგზავნა ამ პროვინციაში მოქმედი წითელი არმიის ხანდე-გუის რაზმების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ხუბეის პროვინციის და ძიანსის რაიონებში გააგზავნეს გამანადგურებლები აჯანყებულთა რაზმებთან საბრძოლველად (ადს).

### ჩანშას დაცლა

**შანხაი**, 5 ივნისი. უცხოელი რეზიდენტები სტოვებენ ჩანშას (ხუნანის პროვინცია). ქალაქში მოვიდა ინგლისის გამანადგურებელი. სამხედრო მოქმედების მახლობლობის გამო ქალაქის ჩინური და უცხოელი მოსახლეობა პანიკას მიეცა (ადს).

### ნანკინის მდგომარეობა საშიშია

**შანხაი**, 5 ივნისი. ნანკინის მთავრობის მახლობელი მეგობრები და მომხრეებიც კი შიშს გამოსთქვამენ მის ბედზე. ფრონტიდან ცუდი ცნობები მოდის. ნანკინის მთავრობის ზურგში ძლიერი ტემპით ვითარდება ეკონომიური კრიზისი, რომლიდანაც მას თავი ვერ დაუღწევია. განაგრძობენ ფაბრიკების დახურვას. დიდძალი მიწა დღემდე დამუშავებული არ არის. ვალიუტა და აქციები შეუჩერებლად ეცემა. ბევრი დიდი ფირმა გაკოტრდა. მთელ სამხრეთ ჩინეთში წითელი ნაწილები წინ მიიწევენ.

### ნანკინის მთავრობის არსენალში აფეთქება მოხდა

**შანხაი**, 5 ივნისი. ნანკინის მთავრობის არსენალში მოხდა ძლიერი აფეთქება. ბევრი დაიღუპა. ზარალი მეტად დიდია (ადს).

# მრეწველთა და რეფორმისტების ერთიანი ფრონტი

## გერმანიის მუშების წინააღმდეგ

### პროფკავშირული ბიუროკრატების და დამქირავებლების ფარული მოლაპარაკება

**ბერლინი**, 5 ივნისი. გერმანიის პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრში სდგას ფარული მოლაპარაკება პროფკავშირულ ბიუროკრატებსა და დამქირავებლებს შორის. მოლაპარაკება შეეხება თანამშრომლობას ხელფასის საყოველთაო შემცირების გატარებაში და მუშების ეკონომიური ბრძოლის აცილებაში. დამქირავებლები ამტკიცებენ, რომ მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს. მხარენი უკვე შეთანხმდნენ ხელფასის შემცირებისა და დამქირავებლების და პროფკავშირების ცენტრალური ორგანიზაციების თანამშრომლობის განახლების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, „როტე-ფანე" სწერს, რომ რეფორმისტების ამ გაუგონარმა ღალატმა გერმანიის პროლეტარიატის მასებში არაჩვეულებრივი აღშფოთება უნდა გამოიწვიოსო. ქარხნებში და პროფკავშირულ კრებებზე მუშებმა უნდა განიხილონ პროფბიუროკრატების საშინელი გეგმები და წამოაყენონ შემდეგი ლოზუნგები: „არ დავუშვათ ხელფასის შემცირება, მოვითხოვოთ ხელფასის გადიდება, შვიდი საათის სამუშაო დღე მთლიანი ხელფასის შენარჩუნებით, უმუშევრებისათვის სამუშაოს აღმოჩენა ქარხნებში, ბრძოლა პროფკავშირების მონოპოლიის წინააღმდეგ, კოლხელშეკრულებების დადება და დამქირავებელთა დამქაშების გაძევება პროფკავშირიდან". (ადს).

### რეპრესიები მანსფელდის გაფიცულ მუშების წინააღმდეგ

**ბერლინი**, 5 ივნისი. პოლიციის ორგანოები მანსფელდში, რომლებსაც სოციალ - დემოკრატები ხელმძღვანელობენ, აძლიერებენ რეპრესიებს გაფიცულთა წინააღმდეგ. მანსფელდის კონცერნის დირექციამ განკარგულება გასცა, რომ საქონელი და სურსათი მაღაზიებში ნისიად მხოლოდ იმ მუშებს მისცენ, რომლებიც თანახმანი არიან იმუშაონ ახალ პირობებში. (ადს).

### მუშების მასიურად დათხოვნა

**ბერლინი**, 5 ივნისი. კიოლნში „გოვალდ"-ის ქარხნის ადმინისტრაციამ გადასწყვიტა დახუროს ქარხანა, რაც გამოიწვევს 1.300 მუშის დათხოვნას. იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომლებიც ხელფასს ამცირებენ, საფეიქრო მრეწველობაც შეუერთდნენ. (ადს).

### მანსფელდის მუშების ბრძოლა

**ბერლინი**, 5 ივნისი. მანსფელდის რაიონში გაფიცული მუშები მტკიცედ დგანან თავიანთ მოთხოვნებზე. (ადს).

# მდგომარეობა ინდოეთში

### ინდოელი გლეხები საადგილ-მამულო გადასახადებს არ იხდიან

**სტამბოლი**, 5 ივნისი. როგორც გაზეთი „ინდიენ დეილი მეილ"-ი იუწყება, გლეხებმა ბარდოლში გადასწყვიტეს — არ გადაიხადონ საადგილ-მამულო გადასახადები, „ვიდრე ამას მათ განდი არ უბრძანებს".

გაზეთის სიტყვით, ამ გადაწყვეტილებამ ხელისუფლება და ლიბერალები უფრო დააშინა, ვიდრე გლეხების მონაწილეობამ მარილის კამპანიაში. (ადს).

### ბოიკოტი ინგლისელ მოხელეებს

**ლონდონი**, 5 ივნისი. გუჯარატში (ბომბეის პროვინცია) მთავრობის მოხელეთა ბოიკოტი იმდენად გაძლიერდა, რომ ხელისუფლება იძულებულია საკუთარი დუქნები გააღოს.

ინდოელ ნაციონალისტთა ორგანო „ჰინდუ" იუწყება, რომ ინგლისური საქონლის ბოიკოტი თვალსაჩინოდ გაძლიერდა. საქონელს უმთავრესად ამერიკულ ფირმებს უკვეთენ.

### საერთო გლოვა ბომბეიში

**ლონდონი**, 5 ივნისი. შესრულდა ერთი თვე განდის დაპატიმრების დღიდან. ამის გამო ბომბეიში გამოცხადებულ იქნა საერთო ხარტალი (გლოვის დღე). ინდოეთის ნაციონალისტების მიერ მოწყობილ დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო 65.000 მუშამ. თავს დაესხნენ იმ ქარხნებს, სადაც მუშაობა არ შეწყვეტილა. (ადს).

# უარყოფენ ჰავასის სააგენტოს ჭორებს

**ტოკიო**, 5 ივნისი. მო დე-გუის ხარბინის კანცელარიამ ოფიციალურად უარჰყო გაზეთებში გავრცელებული ის ცნობა, ვითომ საბჭოთა მთავრობა მოითხოვს საბჭოთა კავშირის საელჩოს, საკონსულოს, შორეული აღმოსავლეთის ბანკის და სხვ. შეიარაღებულ დაცვას. (ადს).

# ამერიკის მუშათა დელეგაციის მიმართვა

## საბჭოთა კავშირის ყველა პროლეტარებს

**მოსკოვი**, 6 ივნისი. საბჭოთა კავშირიდან გამგზავრების წინ ამერიკის მუშათა დელეგაციამ საკავშირო პროფსაბჭოს გადასცა მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა პროლეტარებისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში ხორციელდება მუშათა კლასის აღტაცებული დახმარებით ფართო დემოკრატიის საფუძველზე. პროფკავშირები 12 მილიონი წევრით—ხუთწლიანი გეგმის მამოძრავებელი ძალაა. ისინი მთავრობასთან ერთად მონაწილეობას იღებენ მრეწველობის მართვა-გამგეობისა და კონტროლის საქმეში. სწორედ ეს უძლეველად ხდის საბჭოთა კავშირს. ყოველივე ეს შესაძლებელი ხდება აგრეთვე იმიტომ, რომ თქვენ გყავთ ძლიერი კომუნისტური პარტია, რომელიც არა თუ წაუძღვა მუშებსა და გლეხებს ძლევამოსილ რევოლუციისაკენ და დაამხო კაპიტალიზმი, არამედ სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეშიაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატსა და გლეხობას.

გეთხოვებით რა თქვენ, ამხანაგებო, ვკისრულობთ მოვალეობას გამოვააშკარავოთ ამერიკელი კაპიტალისტებისა და მათი საეკლესიო ფაშისტების სიცრუე საბჭოთა კავშირის შესახებ. ჩვენ ვიბრძოლებთ კაპიტალისტების ყველა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ომი გამოუცხადონ საბჭოთა კავშირს. იმ შემთხვევაში, თუ ომი მოხდა, ჩვენ ყოველ ღონისძიებას მივიღებთ, რათა ამერიკელი მუშები გამოვიყვანოთ მუშათა პირველი რესპუბლიკის—საბჭოთა კავშირის დასაცავად. ჩვენ მოვუთხრობთ ამერიკის მუშათა კლასს ყოველსავე იმას, რაც აქ ვნახეთ და ვაცნობებთ მას, თუ როგორ იბრძვიან საბჭოთა მუშები უკეთესი ცხოვრებისათვის (ადს).

# ზაჰესის გაფართოება

**მოსკოვი**, 6 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოსამზადებელმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ზემო-ავჭალის ელექტროსადგურის გაფართოების შესახებ.

1931 წლის 1 ოქტომბრისათვის ზემო-ავჭალის ელექტროსადგურმა უნდა გაადიდოს სიმძლავრე 12 ათასი კილოვატით, ხოლო 1932 წლის 1 მარტისათვის კიდევ 12 ათასი კილოვატით. ამრიგად ელექტროსადგურის სრული სიმძლავრე 1932 წლის მარტისათვის იქნება 87 ათასი კილოვატი. მიმდინარე წელს ზემოავჭალის ელექტროსადგურის გასაფართოებლად ელექტროფიკაციის ხარჯთაღრიცხვით გადადებული იქნება 520 ათასი მანეთი, თბილისის აღმასკომმა ამ მიზნით უნდა გადასდოს 328 ათასი მანეთი (ადს).

# დიფერენციალური პაის ახალი ნორმები

**მოსკოვი**, 6 ივნისი. „ცენტროსოიუზ"-მა გადასწყვიტა გაადიდოს დიფერენციული პაი. ქალაქებში მუშათა პირველი ჯგუფისათვის, რომელიც 15 მანეთს იხდიდა, დაწესებულია 17 მანეთი, წინანდელი 20 მანეთის ნაცვლად პაი გადიდებულია 23 მანეთამდე, 30 მანეთის ნაცვლად—34 მან. 50 კაპეიკამდე, 40 მანეთის ნაცვლად—47 მანეთამდე და 50 მანეთის ნაცვლად—60 მანეთამდე.

კოოპერაციის იმ წევრებისათვის, რომელნიც შეღავათის წესით 5 მანეთს იხდიდნენ, პაი არ დიდდება. გლეხებისათვის დიფერენციალური პაი უმნიშვნელოდ იცვლება, მოჯამაგირეთა პაი კვლავ 5 მანეთი რჩება (ადს).

# მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

### საბჭოთა კავშირის მშრომელთა „წითელი წიგნი"

**მოსკოვი**, 6 ივნისი. მუშათა საზოგადოებრივობა მხურვალედ გამოეხმაურა „რაბოჩაია გაზეტა"-ს წინადადებას საკ. კომპარტიის მე-16 ყრილობის სახელობის „მუშათა წინადადებების წითელი წიგნების" გამოშვების შესახებ.

საინჟინერო - ტეხნიკურ ძალების საკავშირო გაერთიანების ბიურო უკვე შეუდგა წიგნის გამოსაშვებად დაწყებულ კამპანიაში მონაწილეობის პრაქტიკული გეგმის შედგენას. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმი ადგენს პრაქტიკულ გეგმას თავის უჯრედების ჩასაბმელად წინადადებათა შეკრებაში. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო ახდენს ფიზკულტურელების მობილიზაციას წინადადებათა შესაკრებად. მოსკოვის საწარმოების მუშები გაცხოველებით იხილავენ „წითელი წიგნის" გამოშვების საკითხს.

### რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო აკადემიური თეატრის პირველი გასტროლი მოსკოვში

**მოსკოვი**, 6 ივნისი. გუშინ დიდის წარმატებით ჩატარდა რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო აკადემიური თეატრის პირველი წარმოდგენა. დადგმული იქნა „ანზორი".

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა მიტინგი. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ ქართული აკადემიური დრამის ჩამოსვლის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას და თეატრის ღირსებებს. ხელოვნების მთელ რიგ გამოჩენილ წარმომადგენელთა სიტყვებში შეფასება მიეცა თეატრის მიერ ჩატარებულ უდიდეს მუშაობას.

რევოლუციის თეატრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ქართული თეატრი, ეჭვს გარეშეა, პირველ ადგილს დაიჭერს საკავშირო ოლიმპიადაზე. აქედან კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია მსოფლიო ოლიმპიადაში მონაწილეობამდეო".

სამხატვრო თეატრის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ქართული თეატრის მუშაობის განსაკუთრებით ძვირფას გზებსა და მეთოდებს, ამ მუშაობის კლასობრივ შინაარსს და თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „ჩრდილოეთის „ჯავშან მატარებელში" და სამხრეთის „ანზორში" ჰფეთქს ერთი გული: ჩვენ ვხედავთ რევოლუციის გულ"-ს.

დღეს, 7 ივნისს, სრულ 8 საათზე, სასახლეში შესდგება

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის

**პლენუმი**

ც.ს.კ. ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია.

# მოსკოვის ოლქის ბოლშევიკები

## მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს ლენინურ ცეკას

### მოსკოვის საოლქო პარტკონფერენციის რეზოლუცია ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად)

1. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის მეორე საოლქო პარტკონფერენცია მთლიანად და სავსებით იწონებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს და პრაქტიკულ მუშაობას. კონფერენცია აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის სწორმა პოლიტიკამ საანგარიშო პერიოდის მეტად რთულ პირობებში უზრუნველჰყო საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცება და საბჭოთა კავშირის, როგორც მსოფლიო რევოლუციონური მოძრაობის კერის, ავტორიტეტის ზრდა. კონფერენცია აღნიშნავს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებას, კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაციის ნგრევის დაწყებას და რევოლუციონური მოძრაობის ზრდას კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ინდოეთსა და ჩინეთში (იმპერიალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობათა გართულებასთან ერთად).

კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს ძმური კომპარტიების გავლენის ზრდას და იმას, რომ ეს კომპარტიები წარმატებით მუშაობენ მასების დაპყრობის, გაძლიერებული რევოლუციონური მოძრაობის ხელმძღვანელობის სათავეში ჩადგომის და საკუთარი რიგების მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული ელემენტებისაგან გაწმენდის საქმეში. კონფერენცია იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) დელეგაციის მოქმედებას კომინტერნში და საჭიროდ სთვლის კომპარტიის ბოლშევიზაციის შემდგომ ჩატარებას მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის და მასთან შემარიგებლობის გადაჭრით დაძლევის საფუძველზე, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში.

პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ გასულ პერიოდს ახასიათებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის საგრძნობი გამწვავება იმ წინააღმდეგობათა ზრდის საფუძველზე, რომელიც არსებობს მსოფლიო კაპიტალიზმის უფრო და უფრო გაღრმავებულ კრიზისსა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სწრაფად განვითარებას შორის.

ყველა ძალების ფრონტი, დაწყებული დამყაყებული კაპიტალიზმით, რომის პაპით და ინგლისელი შუბლმაგრებით და გათავებული მეორე ინტერნაციონალის სოციალ - ფაშისტებით, ამჟამად გამოდის საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო საღვთო ომის ლოზუნგით. ბურჟუაზიულ იმპერიალისტურ მთავრობათა შეგნებული უყურადღებობის გამო, გრძელდება ტერორისტული აქტები საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა წინააღმდეგ საზღვარგარეთ. ცდილობენ საფინანსო ბლოკადის შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბრძოლა საბჭოთა ექსპორტთან უფრო და უფრო სისტემატიურ ხასიათს ღებულობს. ყოველივე ეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე აყენებს ამოცანას უფრო ფხიზლად მოეპყრას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საქმეს და განაგრძოს მუშათა კლასის და მშრომელთა მასების შემდგომი მობილიზაცია 5 წლედის სასწრაფოდ შესრულებისათვის.

კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მშვიდობიანი პოლიტიკის საფუძველზე და საერთაშორისო პროლეტარიატის მხარის დაჭერის წყალობით, იმ საერთაშორისო პროლეტარიატისა, რომელიც წარმატებით ებრძვის საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის მზადებას, საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩამოვარდნილი კონფლიქტის მოსპობა, ხოლო ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და დროებითი სავაჭრო შეთანხმების დადება.

კონფერენცია მოუწოდებს მოსკოვის საოლქო ორგანიზაციას — გააძლიეროს ბრძოლა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გადიდებისა და წითელი არმიის ძლევამოსილების განმტკიცებისათვის. სამშვიდობო პოლიტიკის მტკიცედ განგრძობით პარტია შემდეგშიაც განამტკიცებს პროლეტარული დიქტატურის თავდაცვის უნარიანობას, დღის სინათლეზე გამოიტანს ბურჟუაზიულ მთავრობების მილიტარისტულ პოლიტიკას და გააძლიერებს საერთაშორისო პროლეტარიატის სიფხიზლეს სოციალიზმის პირველი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეში.

2. იმის წყალობით, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ენერგიულად ახორციელებს სოციალისტურ შეტევას ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, რომ ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში აღებულია, სწრაფი ტემპების სწორი პოლიტიკა, — უაღრესად გაძლიერდა სოციალიზმის პოზიცია და განსაზოგადოებულმა სექტორმა ჩვენი ქვეყნის მთელ სახალხო მეურნეობაში გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა.

მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით კი მისი მთავარი დარგების განვითარება ძირიან-ფესვიანად ამსხვრევს მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების კაპიტულიანტურ თეორიებს. პარტიის მე-15 ყრილობის მიერ ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისაკენ აღებული კურსის სისწორეს და იმ დარგების განვითარების გაძლიერებას, რომლებიც წარმოების საშუალებებს ამზადებენ, ნათლად ამტკიცებს ის ფაქტი, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში გადაჭარბებით შესრულდა 5 წლიანი გეგმის ტემპები, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის, კაპიტალური მშენებლობის და მთელი სამრეწველო პროდუქციის დარგში. მრავალი უდიდესი სამრეწველო და სატრანსპორტო გიგანტი უკვე შეუდგა ან მიმდინარე წელს შეუდგება მუშაობას. მძიმე ინდუსტრიის, სოციალიზმის ამ საფუძვლის, სწრაფი ტემპების წყალობით, ძლიერდება საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობა უცხოეთის ბაზრისაგან, მტკიცე ხდება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა და იქმნება საჭირო ბაზა სოფლის მეურნეობის მაშინიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის.

კონფერენცია ფიქრობს, რომ პარტიამ მტკიცედ და შეუსუსტებლად უნდა გაატაროს ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალიურ - ტეხნიკური რეკონსტრუქციის ბოლშევიკური ტემპების მთლიანად გამართლებული პოლიტიკა და პირველ რიგში ყურადღება უნდა მიაქციოს მეტალურგიას, მანქანათმშენებლობას, ტრაქტორთა მშენებლობას, ენერგეტიკას და ქიმიურ და საამშენებლო მრეწველობას, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

ამასთან ერთად კონფერენცია ყურადღებას აქცევს იმას, რომ საჭიროა გადაჭრით გადაილახოს ისეთი ვიწრო ადგილები, როგორიცაა ტრანსპორტი, რომელიც ჩამორჩება სოციალისტური მეურნეობის სწრაფი ზრდის მოთხოვნილებებს, და ექსპორტი, რომლის განვითარებამაც უნდა უზრუნველჰყოს ჩვენთვის საჭირო სამანქანო მოწყობილობათა იმპორტი. სოციალისტური ინდუსტრიის, განსაკუთრებით კი წარმოების საშუალებათა დამზადების საერთო ზრდას თან სდევდა ჩვენი მსუბუქი ინდუსტრიის განვითარების მაღალი ტემპებიც. მაგრამ მუშათა კლასის რიცხვის სწრაფი ზრდა, საკოლმეურნეო მოძრაობის უდიდესი გაშლა და მშრომელთა ფართო მასების მატერიალური დონის ამაღლება აძლიერებს მოთხოვნილების ზრდას, რაც მთელ რიგ ახალ დამატებით მოთხოვნებს უყენებს მსუბუქ ინდუსტრიას, რომლის ცალკე დარგები ჩამორჩებიან მოსახლეობის გადახდის უნარიანობის ზრდას.

კონფერენცია ფიქრობს, რომ მხოლოდ მძიმე ინდუსტრიით მიღწეული წარმატების ბაზაზე იქმნება პირობა მსუბუქი ინდუსტრიის, კერძოდ, საფეიქრო მრეწველობის და საკვები პროდუქტების მწარმოებელი დარგების უფრო მაღალი ტემპების გაშლისათვის იმ მიმართულებით, რომ იგი უფრო მეტად შეეგუოს მუშათა კლასისა და გლეხობის გადიდებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეს.

ცენტრალური კომიტეტის მიერ ამხ. კუიბიშევის მოხსენების გამო მიღებულ თეზისებთან სრული შეფარდებით კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია ხაზი გაუსვას, როგორც მთავარ ამოცანას, რომელიც პარტიის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, იმას, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირში მრეწველობის ნედლეულის ბაზა მოყვანილ იქნას იმ დონემდე, რომელიც უზრუნველჰყოფს 5 წლიანი გეგმის მთლიანად შესრულებას და მრეწველობის სათანადო დარგებში არსებულ მოწყობილობათა მაქსიმალურ დატვირთვას.

კონფერენცია აღნიშნავს სოციალისტური ინდუსტრიის უდიდეს მიღწევას და ზრდას, ამასთან იგი საჭიროდ სთვლის ჩვენი მრეწველობის მუშაობაში შემჩნეული დეფექტების დაუნდობელ მხილებას, ენერგიული ბოლშევიკური ბრძოლის გაშლას და იმ ხარვეზების ლიკვიდაციას, რომლებსაც ადგილი აქვთ სამრეწველო - საფინანსო გეგმების შესრულებაში, როგორც ხარისხობრივი, ისე რიცხვობრივი მაჩვენებლების ხაზით.

კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემატიური ჩამორჩენა მრეწველობის გეგმით დავალებებისაგან განსაზღვრავს მრეწველობის ზრდის შესაძლებელ ტემპებს და პირდაპირი საფრთხის წინაშე აყენებს წლიური სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულებას. ბრძოლა პროდუქციის ღირსების გადიდებისათვის, ბრძოლა დანაკარგებისა და უთავდარიგობის წინააღმდეგ წარმოებაში, ბრძოლა თვითღირებულების გეგმის მიხედვით შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის გეგმითი დავალებების თანახმად, ერთმმართველობის პრინციპის თანმიმდევრობითი გატარება, სამეურნეო ანგარიშიანობის მიყვანა საწარმოებამდე და საამქროებამდე, — ყოველივე ეს უნდა გადაიქცეს თვითეული კომუნისტის, თვითეული დამკვრელის და წარმოების თვითეული შეგნებული მუშის უპირველეს ამოცანად და მოვალეობად.

თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის გადიდების მიყვანა საამქრომდე და დაზგამდე, საწარმოო აღფრთოვანების ტალღის აქეთკენ მიმართვა, სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის მაღალ საფეხურზე აყვანა და ამ მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობის ყოველმხრივი გაუმჯობესება, — ასეთია მორიგი ამოცანები ჩვენი მრეწველობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა შესრულებისათვის მუშაობის დარგში. კონფერენცია ფიქრობს, რომ ამ ამოცანების წარმატებით შესრულების ირგვლივ უნდა შემოიკრიბოს მთელი მუშათა კლასის, პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება.

სოციალისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კადრების პრობლემას. კონფერენცია მთლიანად იწონებს 1928 წლის ივლისის პლენუმის და 1929 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს, ხელმძღვანელი კადრების შესახებ და აღნიშნავს, რომ მხოლოდ ამ დადგენილებათა მტკიცე და დაუღალავი შესრულების პირობებში და მთელი პარტიისა და პროლეტარული საზოგადოებრიობის მათ ირგვლივ დარაზმვით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ინდუსტრიალიზაციის გათვალისწინებული ტემპების შესრულება.

ამასთან ერთად კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია დიდი ყურადღება მიექცეს კვალიფიციური მუშა-ხელის მასიურ მომზადებას და გადამზადებას.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში მიღწეული უდიდესი წარმატება მოპოვებულ იქნა სწორედ მსხვილი სოციალისტური მრეწველობის ძლიერი ზრდის ბაზაზე, რომელიც უზრუნველყოფილი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზით და მუშაობით.

სწორედ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ხაზის წყალობით იქნა მიღწეული ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობის ძლიერი შემცირება (40 პროც.-, მხოლოდ უკანასკნელი წლის განმავლობაში), შრომის ნაყოფიერების სისტემატიური ზრდა, განუწყვეტელი წარმოების გატარება, 7 საათის სამუშაო დღე, უდიდესი თანხების დაბანდება საბინაო მშენებლობაში, მუშის რეალური ხელფასის გადიდება, რამაც ომის წინადროის 139 პროცენტს მიაღწია (ხოლო სოციალური დაზღვევის და მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდში მოგების ანარიცხებთან ერთად 167 პროცენტს). ამასთან ერთად კონფერენცია აღნიშნავს, რომ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ხაზის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს პარტიის ხაზის შემდგომი შეუფერხებელი გატარება, მუშათა კლასის მატერიალური და ნივთიერი დონის შემდგომი ამაღლება. ამიტომ კონფერენცია საჭიროდ სთვლის გაიშალოს ენერგიული მუშაობა პარტიის იმ დირექტივების შესასრულებლად, რომლებიც ხელფასის რეალურ გადიდებას შეეხებიან. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერატიულ და მომწოდებელ ორგანიზაციებში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისაკენ მიმართულ მუშაობას და ყოველგვარად ზრუნვას იმაზე, რომ კოოპერაციამ აუცილებლად უზრუნველჰყოს მუშათა ბიუჯეტი, გაიშალოს საზოგადოებრივი კვების სანიმუშოდ დაყენებისა და მოწყობის საქმე, განვითარდეს და გაძლიერდეს მებაღეობა-მებოსტნეობის და სარძევე მეურნეობის კოოპერაცია, გაიშალოს მეთევზეობა და მუშათა სამრეწველო სასურსათო მომარაგების გაუმჯობესების საქმე.

ამასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მასების კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, რაც დაკავშირებულია კულტურული რევოლუციის საერთო ამოცანებთან. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი რეკონსტრუქტიული ამოცანები, რომლებსაც პროლეტარიატი სწყვეტს, პროფკავშირებს—პროლეტარიატის ამ ძირითად ორგანიზაციებს—ანიჭებს ახალ მეტად მნიშვნელოვან როლს მუშათა აქტივობის დასარაზმავად სოციალისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ირგვლივ.

პროფკავშირები, ძველი ოპორტუნისტული საპროფკავშირო ხელმძღვანელობის წყალობით, იმ ხელმძღვანელობის წყალობით, რომელმაც ვერ გამოიჩინა უნარი გასძღოლოდა მუშათა კლასის მოზარდ აქტივობას, რომელიც ტრედუნიონისტული ტენდენციების ტყვეთ გადაიქცა და წინააღმდეგობას უწევდა პარტიას პროფკავშირების საქმიანობის გადამწყვეტ და აუცილებლად საჭირო გარდაქმნისაკენ მიმართულ მუშაობაში,— ეს პროფკავშირები ვერ აღმოჩნდნენ საკმაოდ მომზადებულნი იმ ახალი ამოცანებისათვის, რომლებიც ჩვენს წინაშე იდგნენ სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში. პროფკავშირების სრული შებრუნება პირით წარმოებისაკენ, სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, როგორც საწარმოო მოქმედების საფუძველი წარმოებებში, პროფკავშირების აპარატის სწრაფი გარდაქმნა, პროფდემოკრატიის და პროლეტარული თვითკრიტიკის გაშლა, გადამწყვეტი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მუშათა მოძრაობაში (ტრედუნიონიზმი, ანარქოსინდიკალიზმი, ტროცკიზმი) და პარტიის ხელმძღვანელი როლის შემცირების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ,—პროფკავშირებისათვის მთელი ეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანები სისწორით აქვს განსაზღვრული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მათ წარმატებით ანხორციელებს საკავშირო პროფსაბჭოს ახალი ხელმძღვანელობა.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ, როგორც ეს ცენტრალური კომიტეტის მიერ ამხ. შვერნიკის მოხსენების გამო მიღებულ თეზისებში სწორით არის ნაჩვენები, „პროფკავშირებმა მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული თავიანთი მუშაობა მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ წარმოების ამოცანებს, უნდა განუმარტონ ფართო მასებს, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის სწრაფი ტემპები ერთად-ერთ სწორ გზას წარმოადგენენ მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის საფუძვლიანი გაუმჯობესებისათვის".

პარტია თავის მუშაობაში ცხადად ითვალისწინებს იმას, რომ სოციალისტურ მშენებლობას მრავალი სიძნელე ელობება. ეს სიძნელეები (ნედლეულის ამოცანები, ფასების შემცირება, მუშათა მომარაგების გაუმჯობესება, კადრების პრობლემა, ბიუროკრატიზმთან და მავნებლობასთან ბრძოლა), უნდა იქცევდნენ ყველა პარტიული, პროფესიონალური, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების უაღრესად ფხიზელ ყურადღებას მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, ისინი გადამწყვეტ წინააღმდეგობას უნდა უწევდნენ ტროცკისტების და სხვა ოპორტუნისტული ელემენტების ყოველგვარ ცდას—გამოიყენონ ჩვენი ზრდის ეს სიძნელენი პარტიის გენერალური ხაზის ძირის გამოსათხრელად, მათ უნდა დარაზმონ პროლეტარიატის ფართო მასები ამ დაბრკოლებათა დასაძლევად. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მტკიცედ გატარებული და ცენტრალური კომიტეტის მიერ ფხიზლად დაცული ლენინური ხაზის და პროლეტარიატისა და ღარიბი და საშუალო გლეხობის კავშირის საფუძველზე პარტიამ თავის მუშაობაში 1929 წლის გაზაფხულისათვის მიაღწია საშუალო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის სრულ შებრუნებას სოციალიზმისა და საკოლმეურნეო პოზიციისაკენ.

პარტიის საოლქო კონფერენცია აღნიშნავს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის და მუშათა კლასის ამ მონაპოვარზე დაყრდნობით და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი სოციალისტური ცვლილებების საფუძველზე, მე-15-დან მე-16 პარტყრილობამდე განვლილ ეტაპზე სრულიად დროულად მოახდინა კულაკის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვისა და შევიწროების პოლიტიკიდან კულაკის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ შებრუნება მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. და იმ საფუძველზე, რომ კულაკური წარმოება შეიცვალოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მსხვილი სოციალისტური წარმოებით. კონფერენცია აღნიშნავს, რომ, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის წყალობით, ხდება მარცვლეულის პრობლემის სასწრაფო გადაჭრა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გზაზე, წინააღმდეგ მემარჯვენეთა რეცეპტებისა და კულაკის წინაშე მათი განუწყვეტელი დათმობის პოლიტიკისა. კოლმეურნეობები ამ გაზაფხულზევე მიდიოდნენ თესვის ავანგარდში; ისინი სოფლის მეურნეობაში შეადგენენ უდიდეს სამეურნეო მასივებს და, საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, გამოდიან საქონლო პურის ძირითად მწარმოებლებად. კონფერენცია ფიქრობს, რომ იმავე გზებითა და იმავე მეთოდებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი დაბრკოლებების აცილება მესაქონლეობის დარგში და ჩვენი მესაქონლეობის ბაზის განმტკიცება.

მუშაობა კოლმეურნეობათა სამეურნეო და საორგანიზაციო განმტკიცებისათვის, მუშაობის გაძლიერება ღარიბთა შორის კოლმეურნეობებში, საშუალო გლეხობის დაწინაურება კოლმეურნეობის ხელმძღვანელ სამუშაოებზე, საზოგადოებრივი თვითმოქმედების მასიური ფორმების განვითარება, მტკიცე პარტიული კადრების შექმნა კოლმეურნეობებში, დახმარება კოლმეურნეობებისათვის კულტურული ძალებით, კრედიტით, შეღავათებით და მანქანებით,—ყოველივე ეს დარაზმავს ღარიბ და საშუალო გლეხებს კოლმეურნეობებში და უზრუნველჰყოფს ბრძოლას სოფლის შემდგომი კოლექტივიზაციისათვის, ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების გამარჯვებისათვის. უნდა გაძლიერდეს პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი სოფლის მეურნეობის ინდივიდუალური სექტორის მიმართ ღარიბი და საშუალო მეურნეობების საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანების ენერგიულად გატარების, ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეთა შორის დაუღალავი სისტემატიური მუშაობის, ღარიბ და საშუალო მასების კულაკთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის შეკავშირების საფუძველზე, რამაც ახალ პირობებში და ჩვენი სოფლის განვითარების ახალ ეტაპზე უნდა უზრუნველჰყოს მთლიანი კოლექტივიზაციის ხაზის წარმატებით გატარება და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

სოფლის პარტიული კადრების სისტემატიური განმტკიცების აღნიშნულ ამოცანათა თანმიმდევარი გატარება უფრო გააძლიერებს პროლეტარიატის პოზიციებს იმ უაღრესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რომელიც აუცილებელია ახლანდელ ეტაპზე. მრავალმილიონიანი გლეხობის ლტოლვამ კოლმეურნეობებისაკენ მათი სახით წარმოშვა განსაზოგადოებული მეურნეობის ტიპი, ახალი ეკონომიური ტიპი, რომელიც უზრუნველჰყოფს სოფლის სოციალისტურ გარდაქმნას და უაღრესად დააჩქარებს ჩვენს საერთო მსვლელობას სოციალიზმისაკენ. ამით მასიური საკოლმეურნეო მოძრაობა სცვლის კლასთა ეკონომიური წყობის შეფარდებას ჩვენს ქვეყანაში, აფართოებს და ამაგრებს პროლეტარიატის დასაყრდენ ბაზას სოფლად და ჰქმნის საშუალო გლეხობის ხელმძღვანელობის ახალ ფორმებს მისი სოციალისტური გარდაქმნისათვის.

კონფერენციას სავსებით სწორად მიაჩნია ცენტრალური კომიტეტის მიერ ამხ. იაკოვლევის მოხსენების გამო მიღებულ თეზისებში ჩამოყალიბებული დებულება, რომ „ამჟამად ახალი სახით ისმება საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენის შესახებ სოფლად. ამჟამად საბჭოთა კავშირის მარცვლეულის უმნიშვნელოვანეს რაიონებში სოფელი იყოფა ორ ძირითად ნაწილად—კოლმეურნეებად, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ და მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენენ, და იმ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეებად, რომლებსაც ჯერ კიდევ არ სურთ შევიდნენ კოლმეურნეობებში, მაგრამ რომლებსაც კოლმეურნეობათა მასიური გამოცდილება, უეჭველია, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში დაარწმუნებს იმაში, რომ საჭიროა დაადგნენ კოლექტივიზაციის გზას".

კონფერენცია აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის იმ სწორი დირექტივების წინააღმდეგ, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ კოლმეურნეობებში ნებაყოფლობითი შესვლის პრინციპის დაცვას და რომლებმაც მოგვცეს კოლექტივიზაციის ტემპების განსაზღვრული ვარაუდი სხვადასხვა რაიონის თავისებურებათა გათვალისწინებით, მთლიანი კოლექტივიზაციის პრაქტიკულ გატარებას თან ახლდა საშუალო გლეხთა საწინააღმდეგო ტროცკისტული ხასიათის გადახვევები მთელ რიგ ადგილობრივ ორგანიზაციებში და მათ შორის მოსკოვის ოლქშიაც, მაგრამ ეს გადახვევები სწრაფად და გადაჭრით იქნა გამოსწორებული ცენტრალურ კომიტეტის დახმარებით და ხელმძღვანელობით. საოლქო კონფერენცია აღნიშნავს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დროზე გამოუცხადა გადამწყვეტი ბრძოლა კოლმეურნეობების მშენებლობაში დაშვებულ გადახვევებს და კოლექტივიზაციის გაზვიადებულ ტემპებს და თავისი სწორი დირექტივებით, რომლებიც მის დადგენილებებსა და ამხ. სტალინის წერილებში იყვნენ აღნიშნულნი, გადაჭრით გამოასწორა საკოლმეურნეო მოძრაობის პრაქტიკაში დაშვებული დამახინჯებანი და დაიცვა სწორი ლენინური ხაზი მთლიანი კოლექტივიზაციის საქმეში, რითაც თავიდან იქნა აცილებული საშუალო გლეხთან კავშირის ჩაშლის სერიოზული საფრთხე. თავისი ჩარევით და მტკიცე ხელმძღვანელობით ცენტრალურმა კომიტეტმა განამტკიცა მთლიანი კოლექტივიზაციის საქმის წარმატება და გააძლიერა პროლეტარიატის პოზიცია კულაკის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმეში. პარტიამ უნდა განაგრძოს დაუღალავი ბრძოლა „მემარცხენე" გადამხვეველებთან, განაგრძოს იმ მოსაზრებით, რომ „მემარცხენე" გადამხვევების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის წარმოადგენს მემარჯვენე ოპორტუნიზმთან წარმატებული ბრძოლის პირობას და თავისებურ ფორმას. მემარჯვენეები საქმით არ იზიარებენ მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ მიმართულ პარტიულ ხაზს, და ძალდატანებით კოლექტივიზაციას და „მემარცხენე" გადამხვევების მიერ დაშვებულ შეცდომებს პარტიის ხაზად აცხადებენ. მარჯვნივ მიმართული ცეცხლი არ უნდა შენელდეს. მემარჯვენე ოპორტუნისტების ცდებს—სახელი გაუტეხონ კოლექტივიზაციას და პარტიის რიგებში დასთესონ გულგატეხილობა და იმედის გაცრუება, აგრეთვე ცდებს—სახელი გაუტეხონ ცენტრალური კომიტეტის ლენინურ ხელმძღვანელობას, პარტიის რიგებმა და მისმა მოსკოვის ორგანიზაციამ შემდეგშიაც უაღრესად გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ.

ის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც პარტიამ სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე მოიპოვა, მიღწეულ იქნა დაუნდობელი ბრძოლით კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის, მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. და ეს წარმატებანი უზრუნველყოფილნი არიან ცენტრალური კომიტეტის თანმიმდევარი ხაზით და მუშაობით. ცენტრალური კომიტეტი თავის პრაქტიკულ მუშაობაში მტკიცედ და შეურყევლად ხელმძღვანელობდა პარტიის მე-15 ყრილობის იმ მითითებებით, რომ „საკავშირო კომპარტიის (ბ), როგორც დიქტატურის ძირითადი ბერკეტის, წამყვანი როლი შეიძლება დაცულ, უზრუნველყოფილ და გაძლიერებულ იქნას პარტიის რიგების მხოლოდ ლენინური შემჭიდროებისა და პროლეტარული დისციპლინის საფუძველზე, პარტიის წევრთა იდეურ-თეორეთიული და კულტურული დონის განუწყვეტელი ზრდის, პარტიული დემოკრატიის თანმიმდევრობითი გატარების, პარტიის შემადგენლობის სისტემატიური გაუმჯობესების და პარტიაში წარმოებიდან გამოსული მუშებისა და მუშა-ქალების მუდმივი შემოკრების გზით".

კონფერენცია აღნიშნავს, რომ პარტიამ განვლილ პერიოდში საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი სოციალური და ხარისხობრივი შემადგენლობა დაზგიდან მოსული ახალი მუშების ხარჯზე და გაადიდა თავისი რიგები, რითაც უაღრესად განამტკიცა პროლეტარული დიქტატურის ბერკეტი. კონფერენცია აღნიშნავს პარტიის მახლობელი თანაშემწის—კომკავშირის გადიდებულ როლს სოციალისტურ მშენებლობაში და საჭიროდ სთვლის გაძლიერდეს ყურადღება ახალგაზრდათა შორის მუშაობისადმი. კონფერენცია აღნიშნავს, რომ, წინააღმდეგ მემარჯვენეთა იმ ცილისწამებისა, რომელიც იმეორებს ტროცკისტების მიერ ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას შინაპარტიული ჩახშობისა და ბიუროკრატიზმის განვითარების შესახებ, ცენტრალური კომიტეტი დაუღალავად მუშაობდა პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონის სისტემატიური ამაღლების საქმეზე, ნერგავდა პარტმუშაობის სისტემაში თვითკრიტიკას, ამაგრებდა პარტიულ კადრებს პარტიის წინაშე ახალ ეტაპზე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. კონფერენცია აღნიშნავს, რომ პარტიის რიგებში თვითკრიტიკის ენერგიული გაშლით, შინაპარტიული დემოკრატიის ლენინურ განხორციელებით და პარტიის რიგების გენერალური წმენდით, რაც უზრუნველჰყოფს პარტიის ბრძოლის უნარიანობას, ცენტრალურმა კომიტეტმა ფეხზე დააყენა მთელი პარტია გენერალური ხაზის განხორციელებისათვის საბრძოლველად და მოიპოვა სერიოზული წარმატება პარტიის ცალკე საფეხურების ბიუროკრატიზმთან და გახრწნის ელემენტებთან ბრძოლის საქმეში.

შემდგომი დაუღალავი მუშაობა პარტიის იდეურ-პოლიტიკური და თეორეთიული დონის ასამაღლებლად, დაუღალავი მუშაობა მუშათა ფართო მასების შესაიარაღებლად მარქსისტულ-ლენინური ცოდნით, სისტემატიური გაუმჯობესება პარტიის სოციალური შემადგენლობისა წარმოებიდან მოსული მუშებისა და მუშა-ქალების პარტიაში განუწყვეტელი მიღების გზით, ბრძოლა თვითკრიტიკისათვის და მისი, როგორც შინაპარტიული მუშაობის ძირითადი მეთოდის, ცხოვრებაში დანერგვა, ლენინურად გამოცდილი ისეთი მტკიცე კადრების შემდგომი მომზადება და შერჩევა, რომლებსაც შესწევთ უნარი დაიცვან პარტიის გენერალური ხაზი გადახრებთან ბრძოლაში,—აი, შინაპარტიულ ცხოვრებაში მუშაობის ის მთავარი ამოცანები, რომლებიც შემდეგშიაც უნდა იდგნენ მთელი პარტიის ყურადღების ცენტრში და რომელთა გადაწყვეტისათვისაც საჭიროა მომავალშიაც გაწეულ იქნას ენერგიული შეუსუსტებელი ლენინური ბრძოლა.

კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმის განადგურება და მემარჯვენე გადახრის ბელადთა ქედის მოხრა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნიშნავდეს ორ ფრონტზე ლენინური ხაზისათვის შემდგომი ბრძოლის შესუსტებას. მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების იდეურ-პოლიტიკური დაახლოვების ფაქტი განსაკუთრებულ სიფხიზლეს და გაბედულობას მოითხოვს ორ ფრონტზე ბრძოლაში. კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მემარჯვენე საფრთხე ისევ მთავარ საფრთხედ რჩება პარტიის შიგნით. კონფერენცია მემარჯვენე ოპორტუნისტების ყოფილი ბელადებისაგან მოითხოვს თავიანთი ოპორტუნისტული შეცდომების გაშლილ ბოლშევიკურ კრიტიკას და გადამწყვეტ აქტიურ ბრძოლას მემარჯვენე უკლონისტების ისეთი ცდების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია პარტიის გენერალური ლენინური ხაზის რევიზიისაკენ და იქითკენ, რომ პარტიის ხელმძღვანელობას—ცენტრალურ კომიტეტს და მის პოლიტიკას სახელი გაუტეხონ.

მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ გადაჭრით გამოამჟღავნა და გაანადგურა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა, რომელიც სცდილობდა მოსკოვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში გამაგრებას. მოსკოვის ორგანიზაციამ არ დაუშვა და არასოდეს არც დაუშვებს იმას, რომ მოსკოვის ბოლშევიკური ორგანიზაცია პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაუპირისპირდეს. მოსკოვის ორგანიზაციამ, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, შესძლო სწრაფად და გადაჭრით გამოესწორებინა და დაეძლია მოსკოვის კომიტეტის მიერ დაშვებული დამახინჯება ცენტრალური კომიტეტის იმ ლოზუნგისა, რომელიც კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას შეეხებოდა, და ის შეცდომები საკოლმეურნეო მოძრაობაში, რომლებიც „მემარცხენე" გადახვევების ხასიათს ატარებდნენ. საოლქო პარტიული ორგანიზაცია არწმუნებს თავის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ მოსკოვის ორგანიზაცია იდგა და იდგომება ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე, როგორც მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც პარტიისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, ისე „მემარცხენე" გადახვევებისა, შემარიგებლობისა და ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ. ორმილიონიანი პარტია, თავისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, შემჭიდროებული და [illegible] ისე, როგორც არასოდეს და მჭიდროდ დაკავშირებული მუშათა კლასთან, მიდის მე-16 ყრილობაზე; მას მოპოვებული აქვს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე, მან განამტკიცა კავშირი და ურთიერთობა საშუალო გლეხთან, გააფართოვა სოციალისტური დასაყრდენი სოფლად და დააჩქარა პროლეტარული დიქტატურის პირველი ქვეყნის სოციალიზმისაკენ სვლა. კონფერენცია დარწმუნებულია, რომ ცენტრალური კომიტეტი ლენინის დროშის ქვეშ მომავალშიაც წარმატებით უხელმძღვანელებს „პროლეტარიატის რკინის ბატალიონების მწყობრ წინსვლას". (ლენინი).

ვიბრძოლოთ ცენტრალური კომიტეტის ლენინური ხელმძღვანელობის სრული და განუსაზღვრელი მხარის დაჭერისათვის, დაუნდობელი ლენინური ბრძოლისათვის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, კომუნისტური ინტერნაციონალის ყოველმხრივი მხარის დაჭერისათვის მომწიფებული რევოლუციონური ამბების ხელმძღვანელობის საქმეში, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპებისათვის, კულაკის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე, ჩვენს ქვეყანაში უმოკლეს ისტორიულ ვადაში სოციალიზმის დამყარებისათვის, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის!

ეროვნული

# ბრძოლა მოსავლისათვის—ყურადღების ცენტრში

## სახ. სამ. კამპანიის ყველა დარგებში სამარცხვინოდ ჩამორჩა აფხაზეთი შესრულებული აქვს გეგმის მხოლოდ 31,1 პროც.

## გვიანდება მოსავლის აკრეფისათვის მზადება

## თესვის მდგომარეობა

### 1-ლი ივნისისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობები)

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით ივნისისათვის საქართველოში მარცვლეულ კულტურების დათესილი იყო სულ 557.902 ჰექტ. მიწა, შესრულებული იყო გეგმის (603.575 ჰექტარი) 92,4 პროც.

ცალკე კულტურათა მიხედვით მდგომარეობა შემდეგია: სიმინდი დათესილი იყო 413.193 ჰექტ., ანუ გეგმის—91,6 პროც., პური 46.168 ჰექტარი, ანუ გეგმის 90,3 პროც.; ქერი 66.709 ჰექტარი, ანუ გეგმის 97,5 პროც., სოიო 21.419 ჰექტარი, ანუ გეგმის 104,7 პროც., დანარჩენი მარცვლეული (ფეტვი, ღომი და სხ.) 10.414 ჰექტ., გეგმის 93,6 პროც., არახისი 191,1 ჰექტარი, ანუ გეგმის 21,2 პროც., მზესუმზირა 3186 ჰექტარი, ანუ გეგმის 219,7 პრ., შაქრის ჭარხალი 251 ჰექტარი, გეგმის 100,4 პროც., კარტოფილი 9.540 ჰექტარი, გეგმის 101,9 პროც., ბოსტანი გაშენებული იყო 9.277 ჰექტ., შესრულებული იყო გეგმის 91,8 პროც.; ბალახეული და ძირხვენა 7505 ჰექტ., ანუ გეგმის 61,7 პროც.; ბამბა 12.283 ჰექტარი, ანუ გეგმის 85,9 პროც.; კენაფი 2008 ჰექტარი, ანუ გეგმის 98 პროც.; თამბაქო 7571 ჰექტარი, ანუ გეგმის 36,1 პროც.; ლობიო 6.294 ჰექტარი, გეგმის 60,5 პროც., თუთის პლანტაციები 1308 ჰექტ., გეგმის 82,7 პროც., ხილის ბაღი 1473 ჰექტ., გეგმის 77,7 პროც.; ჩაი—6.572 ჰექტარი, გეგმის 101,1 პროც. ვენახი 1050,5 ჰექტარი, გეგმის 116,7 პროც.; ბრინჯი 281 ჰექტარი, გეგმის 70,3 პროც.,

მარცვლეულ კულტურათა თესვა ოლქებსა და მაზრების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: ახალქალაქის მაზრაში დათესილია 30.122 ჰექტარი, შესრულებულია გეგმის 90,78 პროც.; ახალციხის მაზრაში 18,289 ჰექტარი, ანუ გეგმის 89,7 პროც.; გორის ოლქში 44.103 ჰექტარი, ანუ გეგმის 101,11 პროც.; კახეთის ოლქში 39.834 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 4,6 პროც. გადაჭარბებით; თბილისის ოლქში 47.903,5 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 11,2 პროც. გადაჭარბებით; სამხრეთ-ოსეთში 16.628 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 2,6 პროც. გადაჭარბებით; ქუთაისის ოლქში 172.279 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 1,2 პროც. გადაჭარბებით; ოზურგეთის მაზრაში 42.380 ჰექტარი, ანუ გეგმის 94 პროც.; ზუგდიდის მაზრაში 53.608 ჰექტარი, ანუ გეგმის 93,8 პროც.; სენაკის მაზრაში 61.070 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 4,4 პროც. გადაჭარბებით; ზემო-სვანეთში 1302 ჰექტარი, ანუ გეგმის 76 პროც.

აფხაზეთში 1-ლ ივნისისათვის მარცვლეულ კულტურებით დათესილი იყო 15.519 ჰექტარი, რაც გეგმის მხოლოდ 31,1 პროც. შეადგენს.

აჭარისტანში დათესილი იყო 16.779 ჰექტარი, გეგმა შესრულებული იყო 2,9 პროც. გადაჭარბებით.

ამრიგად მარცვლეულ კულტურათა მთლიანი გეგმის შესრულების მხრით პირველი ადგილი უჭავია: თბილისის ოლქს (გეგმა შესრულდა 11,2 პროც. გადაჭარბებით), კახეთის ოლქს (შესრულდა 4,6 პროც. გადაჭარბებით), სენაკის მაზრას (შესრულდა 4,4 პროც. გადაჭარბებით), აჭარისტანს (შესრულდა 2,9 პროც. გადაჭარბებით), სამხრეთ-ოსეთს (შესრულდა 2,6 პროც. გადაჭარბებით) და სხვ.

მარცვლეულ კულტურათა თესვის საქმეში სამარცხვინოთ ჩამორჩა აფხაზეთი, რომელსაც 1-ლ ივნისისათვის შესრულებული ჰქონდა გეგმის მხოლოდ 31,1 პროც.

სიმინდის თესვის გეგმა აჭარისტანმა შეასრულა 19,4 პროც., ქუთაისის ოლქმა 2 პროც. გადაჭარბებით. სოიის თესვის გეგმა აჭარისტანმა შეასრულა 67 პროც., ოზურგეთის მაზრამ 66 პროც., სენაკის მაზრამ—33 პროც. და ქუთაისის ოლქმა 11,2 პროც. გადაჭარბებით.

ვენახის ჩაყრის გეგმა ქუთაისის ოლქმა შეასრულა 105 პროც. გადაჭარბებით. თბილისის ოლქმა კი შეასრულა ამ გეგმის მხოლოდ 24 პროც., კარტოფილი გეგმის გარეშე 165 ჰექტარის რაოდენობით დათესა ზემო-სვანეთმა; თბილისის ოლქმა კარტოფილის გეგმა შეასრულა 47 პროც., გორის ოლქმა 25 პროც. და ოზურგეთის მაზრამ—24 პროც. გადაჭარბებით, კარტოფილის თესვის გეგმა შეუსრულებელი რჩება ზუგდიდის მაზრას 95 პროც და აფხაზეთს 71 პროც.

თამბაქოს დარგვის საქმეში ყველას გაუსწრო ოზურგეთის მაზრამ, მან გეგმა შეასრულა 44 პროც. გადაჭარბებით, ჩამორჩენილია აჭარისტანი (შესრულებული აქვს გეგმის 10 პრ.), ზუგდიდის მაზრას შესრულებული აქვს (გეგმის 12 პროც.), და აფხაზეთი, რომელსაც 1 ივნისის შესრულებული ჰქონდა თამბაქოს დარგვის მხოლოდ 33,6 პროც.

## მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონი

### ნატანები. ოზურგეთის მაზრა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ნატანების თემი მდიდარია სახნავ-სათესი მიწებით; ის განსაკუთრებულ კუთხეა სუბტროპიკული მცენარეებისათვის და ტეხნიკურ კულტურებისათვის.

ამ თემში საკმაოდ გავრცელებულია: მანდარინი, ლიმონი, ჩაი, ლეღვი და სხ. ამრიგად ნატანების თემის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასასვლელად პირობები საკმაოდ იყო მომზადებული და ამიტომაც ამ წლის მარტიდან, ღარიბი და საშუალო გლეხების დიდი უმრავლესობის დადგენილებით, ნატანების თემი გადავიდა მთლიან კოლექტივიზაციაზე.

**ნატანების მთლიან კოლექტივის თემი მალე სამრეწველო რაიონი გახდება**

ნატანებში უკვე აიგო ჩაის დიდი ქარხანა, რომელიც წლიურად 400.000 კილოგრამ ჩაის ნედლ ფოთოლს გადაამუშავებს. ამავე რაიონში შენდება ჩაის დიდი საბჭოთა მეურნეობა. ველისიდან ნატანებიდან 4 კილომეტრზე დაიწყება აგება ასფალტის დიდი ქარხნისა. ყველა ამ ქარხნებში საჭირო იქნება 2.000-3.000-დე მუშა-ხელი და კოლექტივი თავის ზედმეტ მუშა ხელს ამ სამუშაოებს მისცემს.

**მოსახლეობის 94 პროცენტი კოლექტივში**

ამჟამად 516 კომლიდან, კოლექტივში გაერთიანებულია 487 კომლი, ანუ 94 პროც. წევრთა რიცხვი უდრის 1104-ს. აქედან მამაკაცები 542 და ქალები 562. კოლექტივში განსაზოგადოებულია: მიწები 1.500 ჰექტარი, მუშა-საქონელი 476 ულელი, სამეურნეო იარაღები და სხვა. კოლექტივის განკარგულებაშია აგრეთვე კოოპერატიული თავად ნაკაშიძიდან ჩამორთმეული საქონლის ჯოგი.

**კოლექტივს შედგენილი აქვს მტკიცე საწარმოო გეგმა**

გეგმით უნდა დაითესოს: სიმინდი 800 ჰექტარი, ბრინჯი—20 ჰექტარი, არახისი—5 ჰექტარი, კენაფი—35 ჰექტარი, სოია გამოთესილი—450 ჰექტარი, ჩაი—55 ჰექტარი, მანდარინი—25 ჰექტარი. სიმინდის, სოიას, მანდარინის და ჩაის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. შეუსრულებელია: ბრინჯის, კენაფის და არახისის გეგმა. ამის მიზეზი თესლის უქონლობა იყო. სამაგიეროთ კოლექტივმა გეგმის გარეშე დარგო 12.000 ძირი თუთის ხე და 200 ძირი შავი ხურმა.

**შრომის ორგანიზაცია**

კოლექტივი დაყოფილია 8 ასეულად. ასეულები კი ბრიგადებად (ათეულებად). სულ 41 ათეულია. ასეულები და ბრიგადები იყოფა, სოფლების გეოგრაფიულ მდებარეობის მიხედვით; ამიტომაც ზოგიერთ ასეულებში და ბრიგადებში, რიცხობრივად შემადგენლობა მეტ-ნაკლებია. ყველა ასეულს თავთავიანთი სახელწოდება აქვთ. ასეულებზე მიმაგრებული ჰყავთ გამგეობისა და საბჭოს წევრები. ბრიგადებით შერჩეულია უმთავრესად აქტიური და გამოცდილი გლეხები. თესვის დაწყებამდე სანარდო მუშაობა სწარმოებდა მხოლოდ ჩაის მუშაობაზე, (რადგან აქ სანარდო მუშაობა „საქართველოს ჩაი"-ს ჰქონდა შემოღებული.) სწარმოებდა მხოლოდ დღიური მუშაობის აღრიცხვა, რაც, რასაკვირველია, ართულებდა კოლექტივის საქმიანობას. ამ მხრივ, რომ „გასაქანი ეძლეოდა ზოგიერთ ზარმაცებს" (სამუშაოზე გვიან მოსვლა, ადრე მოხსნა და სხვ.) ასეთ მოვლენებს კოლექტივში დეზორგანიზაცია შეჰქონდა.

აპრილის დასაწყისში შრომის სწორი ანაზღაურების მიზნით, კოლექტივის სამუშაოები დაყოფილ იქნა თანრიგებათ. შემოღებულია 5 თანრიგი: 1-ლ თანრიგის მუშაობისათვის დაწესდა 1 მან. და მეხუთე თანრიგისათვის 2 მანეთი. სამუშაო ადგილები დაყოფილია რაიონებად—ასეულების მიხედვით. ასეულებზე მიჩენილი სამუშაო, შემდეგ დაყოფილია ბრიგადებზე (ათეულებზე) და ამრიგად თვის დაწყებიდან შემოღებულ იქნა ჯგუფური სანარდო მუშაობა.

კოლექტივი ზედმეტ მუშა-ხელს აგზავნის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში და ჩაის ქარხანაში სამუშაოთ.

**ქალების შრომის გამოყენება**

კოლექტივში წევრად 562 ქალია. ქალების შრომა დიდ როლს თამაშობს კოლექტივის მუშაობაში. ქალებს თავიანთი ბრიგადირები ჰყავთ. ქალების მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: 55 ჰექტარი ჩაის დარგვა; ჩაის დაკრეფა, სახნავ მიწების გაწმენდა, მანდარინის დარგვა და სხვ.

საერთოდ, ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოლექტივის საქმიანობაში.

**შრომის ანაზღაურება**

პირველ ხანებში შრომის ანაზღაურების საქმე გაურკვეველი იყო კოლექტივისათვის. კოლექტივის გამგეობის ზოგიერთი წევრები ფიქრობდნენ დღიურ ხელფასის გაცემას, ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ წინად შრომის ნაყოფს ღებულობდნენ მხოლოდ შემოდგომაზე. მაგრამ კოლექტივის წევრები მალე გაერკვნენ იმაში, რომ, საჭიროა ლაპარაკი არა ხელფასზე, არამედ შრომის ანაზღაურებაზე. ეხლა კოლექტივის ყველა წევრმა იცის, რომ შრომის ანაზღაურება ხდება როგორც ფულით, ისე ნატურით; მოსავლის აკრეფამდის წევრს ავანსად ეძლევა შრომის ანაზღაურების ანგარიშზე, გაწეულ შრომის 25 პროცენტამდე. ავანსებით პირველ რიგში აკმაყოფილებენ მოჯამაგირეებს და ღარიბებს.

**აღრიცხვა და ანგარიშწარმოება**

კოლმეურნეობათა მუშაობაში, აღრიცხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აღრიცხვის ცუდად დაყენებას, შეუძლია კოლექტივის საქმე „ტუტუმ" წაიყვანოს. კოლექტივში უნდა აღირიცხოს: წევრთა შრომა, მოსავალი, კოლექტივის ქონება, მოსავლის განაწილება, ინვენტარი და სხვ.

შრომის აღრიცხვა აქ წესიერად არის დაყენებული; მაგალითად: ბრიგადების მიერ შესრულებული სანარდო მუშაობა აღრიცხულია და შემდეგ დაყოფილია წევრებზე. ყველა წევრზე სდგება ტაბელი, შესრულებულ მუშაობის ღირებულება თვითეულ წევრს ეწერება პირად ანგარიშში. კოლექტივის თვითეულმა წევრმა იცის, თუ რა ერგება მას გაწეულ შრომისათვის. ჯერ კიდევ ვერ არის შესაფერად დაყენებული ინვენტარისა და სხვა ქონების აღრიცხვის საქმე.

**მუშაობის ხარისხი**

შესრულებულ სამუშაოს შემოწმება ჯერ კიდევ არ მოეწყობილა. როდესაც სანარდო მუშაობაა შემოღებული, აშკარაა ადგილი ექნება მუშაობის ხარისხის გაუარესებას. მუშაობის ცუდი ხარისხი დასცემს მოსავლიანობას და გულს გაუტეხს კოლექტივის წევრებს.

ამიტომ შესრულებული სამუშაოს შემოწმება დაჩქარებით უნდა მოხდეს. არ არის საკმაო შესრულებულ სამუშაოს შემოწმება დაევალოს ბრიგადირებს, ან გამგეობის ერთ რომელიმე წევრს (როგორც ეს ხდება ზოგიერთ კოლექტივებში) საჭიროა შემოწმებისათვის გამოყოფილ იქნენ კომისიები, მორიგეობით ყველა ბრიგადიდან.

მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, დიდათ შეუწყობს ხელს სოც. შეჯიბრი, რაც ჯერ კიდევ გაშლილი არ არის ნატანების კოლექტივის საქმიანობაში. სოც. შეჯიბრის მნიშვნელობა ფართოდ უნდა იქნეს გაცნობილი კოლექტივის მთელი მასისათვის.

ქ. უჯმაჯურიძე.

## კომკავშირი თესვის ფრონტზე

(სენაკის მაზრა)

კომკავშირის სენაკის მაზრკომმა თესვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ფართოდ დაამუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი: მობილიზაციით გამოვიდა ქალაქ სენაკის ორგანიზაციის აქტივი; გამოყოფილ იქნა 15 დამკვრელი ბრიგადა და 12 „მსუბუქ კავალერიის" ჯგუფი, რომელნიც გაიგზავნენ ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის თესვის გეგმის შესრულებაში დახმარების აღმოსაჩენად.

კ-ქ. წევრთა ღია სხდომებზე ფართოდ იქნა დამუშავებული თესვის კამპანიის გეგმიანად ჩატარების საკითხები, გამოყოფილ იქნა ადგილობრივ უჯრედებში თვითმოქმედი ბრიგადები და მოეწყო შაბათობა უპარტიო მშრომელ ახალგაზრდობის მასიური მონაწილეობით.

უკანასკნელი ცნობებით ლაშქრობის შედეგები ასეთია: მაზრაში სულ მოეწყო 52 შაბათობა, მონაწილეობა მიიღო 3471 კაცმა, მათ შორის კომკავშირის წევრებმა 2720, უპარტიობმა 751, მობილიზაციით გამოყვანილ იქნა კომკავშირის წევრების და პარტ-ამხანაგების 285 ულელი მუშა-საქონელი. დათესილია კოლმეურნეობებში 260 ჰექტარი მიწა. სიმინდის ქვეშ 65 ჰექტარი, კენაფის 110 ჰექტარი. ინდივიდუალურ მეურნეობებში (ქვრივ-ობლები, ღარიბი და წ.-არმიელების ოჯახები) 125 ჰექტარი, სიმინდის ქვეშ 49 ჰექტარი, სოია, კენაფი და სხვა, სულ ორივე სექტორებში დამუშავებულია 775 ჰექტარი და სხვ.

ფართოდ არის გაშლილი სოც. შეჯიბრი უჯრედებს შორის საგაზაფხულო თესვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიზნით.

ლაშქრობის დაწყებამდე, ე. ი. 25 მაისისათვის ნათესები მაზრაში ცალკე კულტურების მიხედვით პროცენტებში იყო შემდეგი: სიმინდი 78,8 პროც., კენაფი 74,6 პროც., სოია 88,8 პროც., ლობიო 80 პროცენტი, ღომი 64,4 პროცენტი, არახისი 87,7 პროც., ჩაი 77,8 პროც., ვენახი 100 პროცენტი, ნათესი ბალახი 57,6 პროც., ხილის ბაღი 100 პროც., თუთა 103,6 პროც.

ლაშქრობის დაწყებიდან პირველი ივნისისათვის ცნობები შემდეგია: სიმინდი 102,1 პროც., კენაფი 76, პროც., სოია 164 პროც., არახისი 103 პროც., ღომი 100 პროც., ნათესი ბალახი 72 პროც., ჩაი 78,5 პროც., ვენახი 100 პროც., ხილის ბაღი 140,2 პროც., თუთა 104,2 პროც.

ასეთია მოკლედ სენაკის მაზრაში კომკავშირის ლაშქრობის წინასწარი შედეგები. ახლა კი ბრიგადელები ადგილებზე აწარმოებენ მუშაობას თესვის კამპანიის ჩატარების დასამთავრებლად, ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად. ლაშქრობამ მოსახლეობაში დიდი ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია.

ბ. მირცხულავა

## სოფლის მოჯამაგირეების დაზღვევა

მოჯამაგირეების დაზღვევა საქართველოში დაიწყო 1928 წლის აგვისტოში, ხოლო ფართოდ გაიშალა მხოლოდ 1929 წლის დასაწყისში.

1929 წლის 1-ლ იანვრისათვის დაზღვეული იყო 5.313 მოჯამაგირე, ხოლო 1 ოქტომბრისათვის უკვე 9.077-ს ანუ კავშირში შემავალ მთელი მოჯამაგირეების 70 პროცენტს. თუ რამდენია დაზღვეული ამჟამად, ამის ცნობები ჯერ არ არის.

დაზღვევა ყველგან ერთნაირად არ შეეხო მოჯამაგირეობას. მაგალითად, სენაკის, ზუგდიდის და ბორჯომის დამზღვევ სალაროებს დღემდე არც ერთი მოჯამაგირე არ დაუზღვევიათ; სოცდაზღვევის რწმუნებული ყარიის რაიონში კი საკითხს ასე სვამს: „მე არ მცალიან დავაზღვიო მოჯამაგირეობა".

სადაზღვევო გადასახადი მთელ საქართველოში გასულ სამეურნეო წელს შემოვიდა სულ 34.311 მან. პირველ ადგილზე სდგას აფხაზეთი. რომელმაც 12.599 მანეთი შეაგროვა. სხვა სალაროებმა ვერ შეასრულეს დასახული გეგმები. ასე, ახალციხის სალარომ 5.722 მანეთის ნაცვლად შეაგროვა 580 მანეთი, სამხრეთ ოსეთში სულ შეგროვილია 37 მ. 11 კაპ. და სხვა.

სოციალური დაზღვევის სალაროების მუშაობის სუსტ მხარეს ყოველთვის ის გარემოება წარმოადგენდა, რომ აკრეფილი თანხის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ხმარდებოდა მოჯამაგირეობისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს. ეს მდგომარეობა ბევრ რაიონში დღემდეც არის. აზერბეიჯანში 1 სექტემბრისათვის გაცემულ დახმარებათა თანხა შემოსავლის მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენს საქართველოს ამ მხრივ ზოგიერთი მიღწევები აქვს: 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის მოჯამაგირეთათვის დახმარების აღმოჩენაზე დახარჯულია 18.798 მან. (შემოსავლის 58 პროცენტი).

პირველად 1928-29 წელს საქართველოში შემოიღეს პრაქტიკაში მოჯამაგირეების გაგზავნა სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში, რაზედაც 7.922 მან. დაიხარჯა დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა 104 კაცი.

სოციალურ დაზღვევის სრულიად საქართველოს სალარომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს 1928-29 წელს გადასცა 9.905 მან. მოჯამაგირეთათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენათ.

ჯანსახკომმა ადგილებს არაერთხელ მისცა წინადადება გაეძლიერებიათ მოჯამაგირეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენა, მაგრამ მაზრებში ეს საქმე ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. მოჯამაგირეთათვის საექიმო დახმარება ცუდად თუ ბევრად მოწესრიგებულია კახეთში, აფხაზეთში, ბორჩალოში და ახალქალაქში.

მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმეში, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამზღვევმა სალაროებმა არ გაითვალისწინეს ის პოლიტიკური მნიშვნელობა. რომელსაც პარტიული და საბჭოთა ორგანოები ანიჭებენ მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმეს.

მომავალში მოჯამაგირეთა დაზღვევა დამზღვევ სალაროების მუშაობის უმნიშვნელოვანეს დარგად უნდა გახდეს.

შ. ზარმატლი.

## ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა.-კ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

### მეფუტკრეობის კურსები

**გორი, 5 ივნისი. (საქ. კორ.).** რადგანაც ოლქში უკანასკნელ ხანებში მეფუტკრეობა პრიმიტიულ მდგომარეობიდან გადადის დაზგანბლატის სისტემაზე, ამიტომ ოლქმესაკომი მეფუტკრეობის რაიონებში აწყობს კურსებს. ერთი ასეთი კურსები უკვე იქნა გამოშვებული მეფუტკრისეზე.

ამ დღეებში დაიწყებს მეცადინეობას მეფუტკრეობის კურსები მთიულეთში, ამ თვის ბოლოს კურსები გაიხსნება გუჯარეთში და შემოდგომამდე ჩატარდება 4 კურსების გამოშვება.

გლეხობა ძლიერ დიდ ინტერესს იჩენს მეფუტკრეობის რაციონალურად შესწავლის საქმისადმი. წელს ამ კურსებზე გაივლის 120-დე მეფუტკრე.

### მუშა-საქონელს არ უვლიან

**გორი, 5 ივნისი, (საქ. კორ.).** კვეთისხევის სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობას მუშა - საქონელი მოუვლელ მდგომარეობაში ჰყავს. სულ 8 კვირაა, რაც მუშა-საქონელმა დაისვენა, მაგრამ რა დასვენებაა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ღია ცის ქვეშ ფარეხებში საქონელი ჩაფლულია ლაფში.

გამგეობა არ ცდილობს ფარეხების გაწმენდას. ამ დროს მუშა-საქონელი განუწყვეტლივ სამუშაოზე უნდა იმყოფებოდეს და ღამეობით მიჩნეული უნდა ჰყავდეს ღამის მეხრეები, მაგრამ ეს არ ხდება. საქონელი ძლიერ გამხდარია.

ამ დღეებში დაიწყება ანეულების მოხვნა და ასეთი გამხდარი საქონელი, ცხადია, ვერ მოხნავს გაუტეხავ მიწებს.

### თამბაქოს ფარდულების მშენებლობა სუსტად მიმდინარეობს

**სოხუმი, 5 ივნისი.** თამბაქოს ფარდულების მშენებლობა სუსტად მიმდინარეობს. კრედიტები და საშენებელი მასალა გვიან იქნა მიღებული — თესვის დროს. მუშა-ხელი არ არის საკმარისი. ლურსმანი და მავთული ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით არის მიღებული. ამ კამპანიის განმავლობაში უნდა აიგოს იმდენი ფარდული, რომ ხავსებით საკმარისი იყოს 1.700 ჰექტარის სახაზინო გამოსაშრობისათვის, მაგრამ, ამისდამიუხედავად, მშენებლობა არ არის უზრუნველყოფილი კრედიტებით და მასალით (ადს).

### მანდარინის რგვის გეგმა არ შესრულებულა

**სოხუმი, 5 ივნისი.** მანდარინის რგვის გეგმა შეუსრულებელი დარჩა. ნავარაუდევი 800 ჰექტარის ნაცვლად, მანდარინი დარგეს 106 ჰექტარზე. შეუსრულებლობის მიზეზია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის არა საკმაოდ მოქნილი მუშაობა, კრედიტის არ არსებობა და დაბრკოლებები თამბაქოს გეგმის შესრულების საქმეში (ადს).

### სარგავი ფართობი უზრუნველყოფილია

**სოხუმი, 5 ივნისი.** თამბაქოს ნერგების რიცხვი აფხაზეთში ხავსებით აკმაყოფილებს სარგავ ფართობს, რომელიც 17 ათას ჰექტარს შეადგენს. ნერგების მდგომარეობა კარგია. ნერგების ავადმყოფობა, რომელიც ამას წინად არსებობდა, უკვე მოისპო (ადს).

## საქართველოს ნავთი

### სექტემბრისათვის შირაქის ველზე იმუშავებს 14 ნავთის სარეწაო

(საუბარი საქართველოს ნავთის ტრესტის მმართველ ამხ. ნესტოროვთან)

შირაქის ველზე ნავთის სამუშაოთა დათვალიერების შემდეგ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ნავთის ტრესტის მმართველი ამხ. ან. ნესტეროვი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

**14 ახალი ჭაბურღილი**

შირაქის ველზე ამჟამად გაცხოველებულ მუშაობა სწარმოებს ნავთის ახალი სარეწაოების ასაგებათ. პირველი ჭაბურღილიდან, რომლის ამოღებაც იტალო-ბელგიის საკონცესიო საზოგადოებამ დაიწყო, უკვე კარგა ხანია სწარმოებს ნავთის ამოღების ცდები. აღნიშნულ ჭაბურღილში გაჩნდა ე. წ. „პრობკა", რაც გამოიწვია ჭაბურღილის სიღრმიდან გაზების მიერ ამოტანილმა მიწამ. ამჟამად სწარმოებს ჭაბურღილის ამოწმენდა, რის შემდეგაც მოელიან ნავთის ძლიერ შადრევნას.

პირველი ჭაბურღილის მახლობლად, მირზაანის აგარაკზევე ამ დღეებში დაიწყება № 2 ნავთის სარეწაოს მუშაობა. ჭაბურღილის ამოსაღები საჭირო კოშკი და მანქანები უკვე დადგმულია. ივნისის დამლევამდე ამუშავებული იქნება № 3, № 4, № 5 და № 8 ნავთის სარეწაოები. სარეწაოების ადგილას ჭაბურღილების ამოსაღები მოწყობილობის დადგმა უკვე მთავრდება. პატარა შირაქის უბანზე 26 მაისიდან დაწყებულია ახალი ჭაბურღილის გათხრა, რომელიც 3 ივნისისათვის უკვე ამოღებული იყო 32 მეტრის სიღრმეზე.

ივლისის განმავლობაში დადგმული და ამუშავებული იქნება № 6, № 11 და № 12 ჭაბურღილები. აგვისტოში დაიწყება № 7, № 9, № 10 და № 13 ჭაბურღილების გათხრა. პატარა შირაქში აგვისტოს განმავლობაშივე ამუშავდება № 3, № 4 და № 5 ჭაბურღილები.

ამგვარად პირველი სექტემბრისათვის შირაქის ნავთის რაიონში იმუშავებს უკვე 14 ახალი ნავთის სარეწაო.

**ორი ახალი ელექტროსადგური**

ნავთის სარეწაოების ასამუშავებლად აუცილებელია ელექტრო ენერგია, როგორც ჭაბურღილების სათხრელი მანქანების ასამოძრავებლად, ისე სინათლისთვის.

ამჟამად მირზაანის ნავთის სარეწაოების რაიონში დაწყებულია 24 კილოვატიანი ელექტრო სადგურის აგება, რომელიც ამუშავებული იქნება 25 ივნისიდან. მეორე ელექტროსადგური შენდება პატარა შირაქში. ამ სადგურის ძალოვნება იქნება 9 კილოვატი. ელექტრო-სადგურებისათვის საჭირო ყოველგვარი მოწყობილობა შეძენილი და მიტანილია ადგილზე და ამჟამად სწარმოებს მათი დადგმა.

ელექტრო-სადგურების ამუშავებამდე დადგმულია დინამო-მანქანები, რომლებიც სადგურების ამუშავებისთანავე გადატანილი იქნება ასეთ შორეულ ჭაბურღილებზე, სადაც პირველ ხანებში ვერ მოხერხდება ელექტრო-გადამცემი ხაზის გაყვანა.

**საგზაო მშენებლობა და ტრანსპორტი**

წნორის წყალიდან შირაქამდე გზები მეტად ცუდ მდგომარეობაშია. გზების უვარგისობამ საქ. ნავთის ტრესტს ხელი შეუშალა სხვადასხვა მოწყობილობათა თავის დროზე გადატანაში, ამან კი სარეწაოების მოწყობა დააგვიანა თვენახევრით.

გზების უვარგისობის შესახებ საქ. სახკომსაბჭოში წარდგენილი იყო სპეციალური მოხსენება, რის გამო სახკომსაბჭომ გასცა განკარგულება, რომ დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული გზატკეცილის შეკეთება მთელ მანძილზე. წნორის-წყალიდან წითელ წყარომდე გზატკეცილის შეკეთება დავალებული აქვს საქ. გზატკეცილების სამმართველოს, რომელიც მუშაობას უკვე შეუდგა, მაგრამ სამეურნეოდ ამ მუშაობის ტემპი სრულებით არაა დამაკმაყოფილებელი. საქ. ნავთის ტრესტს გადაწყვეტილი აქვს დასვას საკითხი, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით დამთავრდეს გზის შეკეთება.

წითელ-წყაროდან შირაქის ნავთის სარეწაოებამდე (15 კილომეტრი) დაწყებულია ახალი გზატკეცილის გაყვანა. გზების გაყვანაზე ყოველდღიურად მუშაობს 100 კაცი, სამუშაოებს ხელმძღვანელობს თვით ტრესტი. გზის გაყვანა უნდა დამთავრდეს სექტემბრისათვის.

მწვავედ სდგას ტრანსპორტის საკითხიც. ტრესტს მოეპოვება 4 საბარგო ავტომობილი, 8 ტრაქტორი და 30 ცხენი, მაგრამ ეს ნახევრადაც არაა საკმარისი არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

**მუშა-ხელი ნავთის სარეწაოებისათვის**

ამჟამად შირაქის ველზე ყოველდღიურად მუშაობს 600-მდე კაცი. სარეწაოების ამუშავების შემდეგ კი საჭირო იქნება რამოდენიმე ათასი მუშა. ტრესტი ამ მხრივ ამთავითვე ღებულობს ზომებს.

მინდვრის სამუშაოების გამო სოფლებიდან ჩამოსული გლეხები სტოვებენ სამუშაოებს და სოფლებში მიდიან. თუ ნავთის სარეწაოებს ამ თავითვე არ იქნა უზრუნველყოფილი მუდმივი მუშახელით, შეიძლება მომავალშიაც განმეორდეს წრეგანდელი ამბავი და ნავთის მრეწველობა შირაქის ველზე შეფერხების საფრთხის წინაშე დადგეს.

საქ. ნავთის ტრესტს გადაწყვეტილი აქვს შექმნას სარეწაოების მუშათა მუდმივი შტატი და კომბაზიდან სარეწაოებისათვის საჭირო კვალიფიციური მუშა-ხელი ადგილობრივ მკვიდრთაგან. ამ მიზნით ბაქოს და გროზნოს ნავთის სარეწაოებზე სამუშაოთ ტრესტის ხარჯზე გაგზავნილი არიან მუშათა ჯგუფები, რომლებიც უკან დაბრუნდებიან ორი თვის შემდეგ.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: შირაქის ველზე მომუშავეთა შორის (მათი რიცხვი კი, როგორც ნათქვამი იყო, 600 კაცს აღემატება) არ სწარმოებს არც პარტიული და არც პროფესიონალური მუშაობა. ჯერაც არაა მოწყობილი კომუნჯერიდი, მუშები სრულიად არ იცნობენ პროფესიონალურ მუშაობას.

საჭიროა სათანადო ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები და გაგზავნონ შირაქის ველზე თავიანთი პასუხისმგებელი მუშაკები.

მოისუსტებს აგრეთვე კოოპერაციის მუშაობა, სოფლებით არ სწარმოებს კულტმუშაობა, ცუდადაა დაყენებული მუშებისათვის სამკურნალო დახმარების გაწევის საქმე. შირაქის ნავთის სარეწაოებისათვის გახსნილია მხოლოდ ერთი ამბულატორია, რომელიც სამკურნალო დახმარებას უწევს მარტო მოსახლეობის ავადმყოფებს. მუშის დაშავების შემთხვევაში (ასეთი შემთხვევები კი ხშირი მოვლენაა ჭაბურღილების ამოღებისას) დაშავებული უნდა გადაიგზავნოს სიღნაღში ან თელავში. საჭიროა ადგილობრივ გაიხსნას ით საწოლიანი საავადმყოფო.

## პურის დამზადების კამპანიისათვის

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და „სოიუზხლების" წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა პურის დამზადების კამპანიის საკითხები.

„სოიუზხლები"-ს წარმომადგენელ ამხ. ცეიტლინის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 15 ივნისისათვის საქართველოს პურის დამზადებელ რაიონებში მზად იქნება სულ 9 საწყობი 250.000 ფუთის ტევადობით; აქედან 4 საწყობი კახეთის ოლქში, 1 თბილისის ოლქში, 3 გორის ოლქში და 1 ახალქალაქის მაზრაში. პურის დამზადების კამპანიისათვის საჭირო ტომრები უკვე მზად არის და ამ დღეებში გადაეცემა კოოპერაციას. პურის მიმღები პუნქტები უზრუნველყოფილი არიან როგორც ლაბორატორიული ხელსაწყობით, ისე პურის გამწმენდი მანქანებით. კოოპერატიულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე აქამდე ირიცხება ერთი მილიონი ცალი ტომარი, რომელიც უნდა დაბრუნებოდა „სოიუზხლებ"-ს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა წინადადება მისცა ამ ორგანიზაციებს—ს სწრაფად დაფარონ დავალიანება. „სოიუზხლებს" წინადადება მიეცა დაჩქარებით შეიმუშაოს და წარუდგინოს ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში დამზადებული პურის გამოყენების გეგმა. თათბირმა საჭიროდ სცნო აგრეთვე განისაზღვროს ის მანძილი, რომელზედაც გლეხებს ევალებათ თვითონ მიიტანონ დამამზადებელ პუნქტში ხორბლეული. ვინაიდან პურის დამზადებისათვის საჭირო კადრი საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება, თათბირმა მიზანშეწონილად სცნო, რომ მემინდვრეობის კავშირის მიერ მოწყობილი ორკვირიანი კურსები გადაკეთებულ იქნეს ერთთვიანად. „სოიუზხლებს", ვაჭრობის კომისარიატს და სამომხმარებლო კოოპერაციას დაევალა შეიმუშაონ პურის ჩამბარებლებთათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების ნორმები, პურის დამზადების პირობები და მეთოდები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას დაევალა პურის დამამზადებელ პუნქტებისათვის მარტივი ანგარიშ-წარმოების ფორმების შემუშავება.

# თბილისის აგურის ქარხნები მაისში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ გეგმის შესრულებას

## აპრილში ამიერ-კავკასიის მრეწველობამ 6 პროც. ნაკლები პროდუქცია გამოიმუშავა

## ზოგიერთ საწარმოებში გაუარესდა პროდუქციის ხარისხი და შესუსტდა შრომის დისციპლინა

## თამბაქოს ფაბრიკების მუშებმა საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

## აგურის ქარხნებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა

თბილისის აგურის ქარხნებმა მაისში გეგმით გათვალისწინებული 2.500 ათასი აგურის ნაცვლად 1.870 ათასი ცალი აგური დაამზადეს. გეგმის შეუსრულებლობის უმთავრესი მიზეზი კვალიფიციური მუშა-ხელის სიმცირეს და ადმინისტრაციის სისუსტეს მიეწერება.

მაისის განმავლობაში თბილისის აგურის ყველა ქარხნებმა დაამზადეს 4.200 ათასი ცალი აგურის ნედლეული და გეგმა გადააჭარბეს 360 ათასი ცალით. აპრილში ნედლეული დამზადებული იქნა 1276 ათასი ცალი, რომლის დამზადება გეგმით არ იყო გათვალისწინებული. ნედლეულის დამზადების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს № 1-ლ ქარხანას, რომელმაც მაისის გეგმა 21 პროც. გადაჭარბებით შეასრულა. შემდეგ მოდის № მე-4 ქარხანა, რომელმაც გეგმა შეასრულა 15 პროც. გადაჭარბებით, ხოლო № 6 ქარხანამ 14 პროც. გადაჭარბებით. გეგმის შესრულებაში ჩამორჩა მხოლოდ № 2 ქარხანა, რომელსაც გეგმის შესრულებას დააკლდა 6,5 პროცენტი.

როგორც ვხედავთ ნედლეულის დამზადების მხრივ საკმაო დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, მაგრამ სამაგიეროთ თბილისის აგურის ქარხნები მაისში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ მზა აგურის გეგმის შესრულებაში. აგურის ყველა 7 ქარხანას მაისში უნდა დაემზადებია 2.500 ათასი ცალი აგური, სინამდვილეში კი დაამზადეს 1.870.000 ცალი აგური, რაც გეგმის 74,8 პროც. უდრის. და ეს ხდება იმ დროს, როცა მშენებლობა მოუთმენლად მოელის აგურს. ცალკე ქარხნებში გეგმის შესრულების მხრივ ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი: მე-3 ქარხანამ გეგმა შეასრულა მხოლოდ 48 პროცენტით; მეორემ—52,5 პროცენტით, მე-7—75,7 პროცენტით; მე-5—79 პროცენტით; მე-6—83,7 პროც., მე-4—86 პროცენტით და № 1-მა ქარხანამ 91,5 როც.

რით უნდა აიხსნას თბილისის აგურის ქარხნებში მუშაობის გაუარესება, როდესაც ეს ქარხნები გასულ თვეებში გეგმას მთლიანად ასრულებდნენ? ნედლეულით და დამხმარე მასალებით ქარხნები მთლიანად უზრუნველყოფილი არიან, მაგრამ არ არის კვალიფიციური მუშა-ხელი. საქართველოში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხაზით და აზერბეიჯანში იხსნება აგურის ახალი ქარხნები, ხოლო სამეურნეო ორგანოები იმის ნაცვლად, რომ თავის დროზე მოამზადონ საჭირო მუშა-ხელი, უფრო იოლ საქმეს მიმართავენ უკვე არსებული ქარხნებიდან კვალიფიციური მუშა-ხელის გადაბირება. განსაკუთრებით საჭიროებას განიცდიან ქარხნები აგურის ჩამწყობ მუშებზე. ზოგიერთ ქარხნებში თვით გამგეები აწარმოებენ აგურის ჩაწყობაზე მუშაობას.

გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ადმინისტრაციის სისუსტე. აგურის ქარხნების გამგეების უმრავლესობამ ადმინისტრატიულ სამუშაოზე მხოლოდ ეხლახან დაიწყეს მუშაობა.

გეგმის შეუსრულებლობა აგურის ქარხნებში უნდა აღმოიფხვრას არსებული მუშა-ხელის გადაჯგუფებით. ამასთან ერთად საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები აგურის ქარხნებისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების შესახებ და არ უნდა წაახალისოს ერთი ქარხნიდან მეორე ქარხანაში მუშების გადაბირების შემთხვევები.

## ა.-კ. მრეწველობამ აპრილის გეგმა ვერ შეასრულა

ამიერ-კავკ. ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა სპეციალური მოხსენება ამიერ-კავკასიის მრეწველობის მუშაობის შედეგებზე მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში, ე. ი. 1-ლი მაისისათვის.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აპრილის განმავლობაში ამიერ-კავკ. მრეწველობამ გამოუშვა 6 პროცენტით ნაკლები რაოდენობის პროდუქცია, ვიდრე მარტში. მრეწველობის 30 სხვადასხვა დარგიდან, მარტთან შედარებით აპრილში გამოშვებულმა პროდუქციამ დაიკლო: ცემენტის წარმოებაში—3,2 რპოც., ბარიტის—30,4 პროც., პემზის—7,4 პროც., ქვანახშირის—9,1 პროც., ბრიკეტების წარმოებაში—10,5 პროც., მარგანეცის—29,9 პროც., მარილის—1,9 პროც., ლითონის დამუშავებაში—23,9 პროც., სახერხ ქარხნების მრეწველობაში—10,4 პროც., სადურგლო-ავეჯეულობის—27,3 პროც., ფანერის წარმოებაში—1,6 პროც., სპირტის და კონიაკის მრეწველობაში—9,4 პროც., ქერის მრეწველობაში—6,6 პროც., აბრეშუმის ძაფსახვევ მრეწველობაში—45 პროც. და პოლიგრაფიულ მრეწველობაში — 3 პროც. საერთოდ კი, აპრილის განმავლობაში მარტთან შედარებით ჩამორჩენილობა გამომჟღავნდა მრეწველობის ყველა ზემოჩამოთვლილ 15 დარგში.

განვლილ 7 თვის ბოლოს გამორკვეულ შედეგებიდან აშკარად სჩანს, რომ წლიური საწარმოო გეგმების შესრულების საქმე საფრთხის წინაშე დგას. აპრილში წლიური საწარმოო გეგმა შესრულებულია მთელი ამიერ-კავკ. მრეწველობის ხაზით 8,2 პროცენტით მაშინ, როდესაც მარტში წლიური საწარმოო გეგმის შესრულება უდრიდა 8,8 პროცენტს. წლიური საწარმოო გეგმების შესრულების მხრივ მეტ ჩამორჩენილობას აქვს ადგილი მძიმე მრეწველობაში.

1-ლი მაისისათვის წლიური საწარმოო გეგმების შესრულების მხრივ, ჩამორჩენილობა აღნიშნულია: საქართველოს მრეწველობიდან —ბარიტის მადნებზე, სადაც წლიური საწარმოო გეგმა 7 თვის ბოლოს შესრულებული იყო მხოლოდ 41,4 პროცენტით; სატყეო მრეწველობაში გეგმა შესრულებული იყო—44,7 პროც., გრეხილ-ავეჯეულობის წარმოებაში საწარმოო გეგმა შესრულებული იყო 42,7 პროც., ფანერის წარმოებაში—45,4 პროც., ფეხსაცმელების მრეწველობაში—49 პროც., აბრეშ. ძაფსახვევ მრეწველობაში—47,8 პროცენტით და აბრეშუმის საქსოვ მრეწველობაში—33,1 პროც.

სომხეთის მრეწველობიდან ჩამორჩენილობა აღნიშნულია—პემზის წარმოებაში, სადაც წლიური საწარმოო გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 35 პროც., ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში—43,5 პროც., სამკერვალო მრეწველობაში—42,7 პროც., ტყავეულის მრეწველობაში—53,8 პროც., და თამბაქოს მრეწველობაში 39,5 პროცენტით.

აზერბეიჯანის მრეწველობიდან წლიური საწარმოო გეგმები შესრულებულია—ცემენტის წარმოებაში—28 პროცენტით, ბამბის ქსოვილების მრეწველობაში—47,8 პროც., და სამკერვალო მრეწველობაში—53,2 პროცენტით.

ყველა ჩამოთვლილ დარგებში წლიური საწარმოო გეგმების შესრულების შესახებ მიღებული შედეგები დამაკმაყოფილებელი არაა იმ მხრივაც, რომ გეგმების შეუსრულებლობასთან ერთად შეიმჩნევა პროდუქციის ხარისხობრივი გაუარესება და შრომის დისციპლინის შესუსტებაც.

ამიერ-კავკ. ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიმუშავა პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები არსებული ჩამორჩენილობის დასაფარავად და წლიური საწარმოო გეგმების შესასრულებლად. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა სათანადო ორგანოებს, საჩქაროთ გაატარონ ცხოვრებაში შემუშავებული ღონისძიებები და მიიღონ სასწრაფო ზომები მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის რაოდენობრივი მაჩვენებლების გარდა, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებასაც და შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის ზრდისათვის ხელისშეწყობას.

## თამბაქოს ფაბრიკის მუშები მოწინავე რიგებში

რ. ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს პირველ ფაბრიკას საწარმოო გეგმის მიხედვით მაისში უნდა დაემზადებია—77.960.000 ცალი პაპიროსი, ფაქტიურად კი დაამზადა — 100.203.000 ცალი და ამრიგად საწარმოო გეგმა შესრულებულია—28,5 პროც. გადაჭარბებით.

გეგმის გადაჭარბებით შესრულებას დიდათ შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების გადიდებამ. მაისში საშუალო გამომუშავება ერთ ნამუშევარ კაც-დღეში გათვალისწინებული იყო 13 ერთეულით, ფაქტიურად კი მიეღოთ — 16,2 ერთეული. შრომის ნაყოფიერება, თამბაქოს პირველი ფაბრიკის მუშებმა გაადიდეს 24,6 პროცენტით.

თამბაქოს მეორე ფაბრიკა „პროლეტარი"-ს გეგმის მიხედვით მაისში უნდა გამოემუშავებია 156.385.000 ცალი სხვადასხვა ხარისხის პაპიროსი, ფაქტიურად კი ფაბრიკამ მიუხედავად ზოგიერთი საბატო დაბრკოლებებისა, დაამზადა—178.666.000 ცალი და საწარმოო გეგმა შესრულდა—14,2 პროცენტის გადაჭარბებით.

შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში ფაბრიკა „პროლეტარი"-ს მუშებმა გათვალისწინებულ გეგმას გადააჭარბეს—12,2 პროცენტით.

შ. შ.

## საწარმოო გეგმას მუშებს არ აცნობენ

### მსუბუქი კავალერიის „თავდასხმა" სამტრედიის დეპოზე

მსუბუქი კავალერიის „თავდასხმა" სამტრედიის საწარმოებზე მოეწყო 23—25 მაისს. „თავდასხმის" დროს საწარმოებში მრავალი ნაკლოვანებები აღმოჩნდა. ზოგიერთ საწარმოებს არა აქვთ საწარმოო-საფინანსო გეგმა, ხშირია სამუშაო საათების გაცდენის შემთხვევები, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სოციალისტურ შეჯიბრებას, საწარმოო გეგმებს არ იცნობენ მუშათა ფართო ფენები და სხვ.

პირველად გამოკვლეულ იქნა სამტრედიის დეპო, სადაც კავალერისტებმა მთელი რიგი ნაკლოვანებები აღმოაჩინეს. გამოირკვა, რომ ადმინისტრაციას თავი არ შეუწუხებია, რომ საწარმოო-საფინანსო გეგმა ფართოდ გაეცნო მუშებისათვის. მართალია, საწარმოო გეგმები გაკრულია ცეხებში, მაგრამ მუშების უმრავლესობისათვის გაუგებარ ენაზე. გეგმები დაუმუშავებიათ არა ცეხებში, მუშებთან ერთად, არამედ მხოლოდ ადმინისტრაციის კაბინეტში. კავალერისტების შეკითხვაზე, თუ რატომ არ იცნობენ მუშები გეგმის განხილვის დროს, ადმინისტრაცია ბიუროკრატიულ პასუხს იძლევა: „რა საჭირო იყო მუშების დასწრება".

სოციალისტურ შეჯიბრებას პირველ ხანებში ასე თუ ისე სათანადო ყურადღება ექცეოდა, მაგრამ შემდეგში პროფორგანიზაციამ მიიძინა და პროფმუშაკებს დაავიწყდათ, რომ მთელი დეპო დამკვრელად იყო გამოცხადებული. სოც. შეჯიბრებაზე უყურადღებობის ნაყოფი უკვე სჩანს. შრომის დისციპლინა დაცემულია, გადახარჯვები საგრძნობლად მატულობს, რასაც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებენ. იანვარში საშუალო შეკეთებიდან გამოშვებულია სამი ორთქლმავალი. გეგმის მიხედვით თვითეული ორთქლმავლის შეკეთებაზე უნდა დახარჯულიყო 1630 მანეთი, სინამდვილეში კი დაიხარჯა 2.100 მანეთი, ე. ი. მოხდა ზედმეტი გადახარჯვა 470 მან. იმავე იანვარში მოხარატებიდან გამოშვებულია ორი ორთქლმავალი. თვითეული ორთქლმავლის მოხარატების გეგმის მიხედვით უნდა დახარჯულიყო 1275 მანეთი, ფაქტიურად დაიხარჯა 2034 მანეთი. თებერვალში ერთი ორთქლმავლის საშუალო შეკეთებაზე გეგმით უნდა დახარჯულიყო 1932 მანეთი, სინამდვილეში დახარჯულია 2704 მან. ამავე თვეში მოხარატების მიერ გამოშვებული იქნა ერთი ორთქლმავალი, რომელზედაც უნდა დახარჯულიყო 933 მანეთი, სინამდვილეში დაიხარჯა 1351 მანეთი. მარტში ორთქლმავლის საშუალო შეკეთებაზე უნდა დახარჯულიყო 1630 მანეთი, დაიხარჯა 2754 მანეთი. მოხარატებებმა დაამზადეს 5 ორთქლმავალი, თვითეული მათგანის მოხარატებაზე უნდა დახარჯულიყო 1364 მანეთი, დაიხარჯა 1692 მანეთი.

ზედმეტი გადახარჯვები უმთავრესად გამოწვეულია ადმინისტრაციის მიერ მასალების თავის დროზე მოუმარაგებლობით და მასალის გაძვირებით. ადგილი აქვს აგრეთვე სამუშაო საათების გაცდენასაც. მაგალითად, იანვარში უმიზეზოდ გაცდენილია 615 სამუშაო საათი, თებერვალში—618, მარტში—115 და აპრილში—171. სამუშაო საათების უმიზეზოდ გაცდენა უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაცია არ ზრუნავს შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე და ამ საქმეში პროფორგანიზაციაც მოისუსტებს. საწარმოო თათბირებზე ადმინისტრაციის მითითება შრომის დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობაზე, მაგრამ ადმინისტრაციამ საწარმოო თათბირის მითითება პირთღებში შეინახა და არავითარი ზომები არ მიიღო. ადმინისტრაციის უმოქმედობის შესახებ იცნობა ზემდგომ ორგანოებსაც, მაგრამ ეს ცნობაც უყურადღებოდ დარჩა.

საჭიროა მსუბუქ კავალერიის მიერ აღმოჩენილ ნაკლოვანებების დროზე აღმოფხვრა და პროფორგანიზაციის მეტი აქტივობა.

კავალერისტი.

# საწარმოო თათბირების მუშაობაში უნდა მოხდეს გარდატეხა

## სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლა || საწარმოო თათბირების უმთავრესი ამოცანაა

## არც ერთი დამკვრელი მუშა საწარმოო თათბირებში მონაწილეობის გარეშე

## გარდავქმნათ საწარმოო თათბირების მუშაობა

საწარმოო თათბირებს დღეს, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის პერიოდში, გაცილებით მეტი ამოცანები აქვთ დაკისრებული, ვიდრე ოდესმე. მუშათა ენტუზიაზმის ზრდა, რაც საფუძველია სოციალისტურ შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლისა, მოითხოვს საწარმოო თათბირების მუშაობის ძირითად გარდაქმნას, ისე რომ იგი შეეფერებოდეს რეკონსტრუქციის პერიოდს და აკმაყოფილებდეს წარმოების რაციონალიზაციურ ღონისძიებებით. თუ წინად საწარმოო თათბირების მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ იხილავდა მუშათა წინადადებებს და ღებულობდა ზომებს წარმოების რაციონალიზაციისათვის, დღეს, საწარმოო თათბირის მუშაობის მთავარი დასაყრდენი უნდა იყოს დამკვრელი ბრიგადები. დამკვრელი ბრიგადები უნდა იყვნენ ძირითადი უჯრედები, სადანაც უნდა ჩაებათ მუშები საწარმოების მმართველობის საქმეში და რომლის საშუალებითაც მობილიზაცია უნდა უყოთ მუშათა ფართო მასებს საწარმოო თათბირების ირგვლივ. დღეს საწარმოო თათბირების ამოცანა მარტო იმით კი არ ამოიწურება, რომ განიხილოს მუშათა წინადადებები და მიიღოს გადამწყვეტი ზომები წარმოების რაციონალიზაციისთვის, არამედ ამ მუშაობასთან ერთად, რაც მთავარია, საწარმოო თათბირმა ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი დამკვრელობისა და შეჯიბრების ფართოდ გაშლას „სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ყოველმხრივი გაფართოება—საწარმოო თათბირების მთავარი ამოცანაა" (საწარმოო თათბირების ახალი დებულება).

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ გვაქვს საქმე სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. საწარმოო თათბირების მუშაობა თითქმის ყველა საწარმოში, ჯერ კიდევ ძველი ფორმებით და მეთოდებით სწარმოებს. საწარმოო თათბირების მუშაობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა. იგი ჩამორჩა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარების ტემპებს. საწ. თათბირებსა და დამკვრელ ბრიგადებს შორის, მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ ჩინური კედელია ამართული. ამიტომ არის, რომ ძალიან ხშირად დამკვრელი ბრიგადები ვერ ამართლებენ თავიანთ სახელწოდებას და ვერ ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებას, ეს კი უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციები, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დამკვრელობისა და მათ მუშაობას. რაღაც უიმედოთ უცქერიან; არ აძლევენ თავის დროზე ნედლ მასალას, არ აუმჯობესებენ მათ სამუშაო პირობებს, დროზე არ აწვდიან სამუშაო ხელსაწყო იარაღებს და სხვ. საწარმოო თათბირებიც, თუ მასში არ შეიტანა რომელიმე მუშამ ან ბრიგადამ განცხადება, ამ საკითხით ნაკლებად არიან დაინტერესებული. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმებიდან აღმოჩნდა, რომ ბევრ ადგილას საწარმოო თათბირები ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. ისინი ვერ უძღვებიან რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებს და რჩებიან უკან მუშათა ენტუზიაზმს. ამიტომ საჭიროა მოხდეს ერთგვარი გარდატეხა საწარმოო თათბირების მუშაობაში ისე, როგორც ეს ხდება პროფმუშაობის ხაზით. დროა ამ ნაკლოვანებებს მოეღოს ბოლო, დროა საწარმოო თათბირების საქმიანობა მჭიდროთ დაუკავშირდეს სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაფართოების ამოცანებს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და საწარმოო თათბირების მომავალი მუშაობის გასაფართოებლად, საკავშირო პროფსაბჭომ დაამტკიცა საწარმოო თათბირების ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც საწარმოო თათბირები ადგილებზე უნდა გადაიქცნენ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლის მთავარ საშუალებათ. საწარმოო თათბირების საშუალებით გაძლიერებული უნდა იქნეს ინდივიდუალური შეჯიბრება და გაფართოვდეს დამკვრელობა. საწ. თათბირების მიერ მიღებულ უნდა იქნეს გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ დამკვრელ ბრიგადებში ფართოდ იქნენ ჩაბმული წარმოებაში გაერთიანებული ყველა მუშები. საამისოდ საწარმოო თათბირებმა უნდა გამოიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც განამტკიცებს სოციალისტურ შეჯიბრებას. საწარმოო თათბირების მთავარი დანიშნულებაა ხელი შეუწყონ დამკვრელ ბრიგადებს მუშაობის ხელისშემშლელ მიზეზების აღმოფხვრაში და შეამოწმონ მათი მუშაობის შედეგები და გამოარკვიონ ის, თუ რამდენად ადმინისტრაცია ხელს უწყობს დამკვრელი ბრიგადების ნაყოფიერ მუშაობას. გარდა ამისა საწარმოო თათბირები ყოველგვარ ღონისძიებას უნდა ხმარობდნენ იმისათვის, რომ თვითეული მუშა იცნობდეს საფინანსო სამრეწველო გეგმას. საწ. თათბირების საშუალებით, გეგმა დაყვანილ უნდა იქნეს თვითეულ საწარმოო ერთეულამდე. ამასთან ერთად საწ. თათბირი, მუშათა წინადადებებიდან ადგენს პრაქტიკულ წინადადებებს საფინანსო-სამრეწველო გეგმის შესრულებისათვის და აძლევს მას ადმინისტრაციის განსახორციელებლად.

ამ რთული ამოცანის შესასრულებლად საწარმოო თათბირების სათავეში წამოყენებული უნდა იქნენ სანიმუშო მუშა-დამკვრელები. ადგილობრივმა პროფორგანოებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა საწარმოო თათბირებზე და გარდაქმნან მისი საქმიანობა ახალი ამოცანების მიხედვით.

დასასრულ საჭიროა ადგილობრივმა პროფორგანოებმა ფართოდ გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა საწარმოო თათბირების ახალი დებულების შესახებ და მიიღონ ზომები იმისათვის, რომ თვითეული დამკვრელი და საერთოდ ყველა მუშა იცნობდეს ამ დებულებას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს მის განხორციელებაში.

X.

## სოცშეჯიბრება არ არის გაშლილი

მუშათა გამოგონებებს რკინის გზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აქ გამომგონებლობას ყურადღებას არავინ აქცევს. ხაშურის უბნის დიანდაგის მუშამ, ამხ. საქანოვმა გამოიგონა ხაზიდან ამცდარ მატარებლის ადვილად ამოსატანი ამწევი საშუალება, რომელიც საწარმოო თათბირმა დაადასტურა, მაგრამ ყოველივე ეს უყურადღებოთ დარჩა.

სოც. შეჯიბრებას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. არავითარი მუშაობა ამ დარგში დამკვრელ ბრიგადების ჩამოსაყალიბებლად და შეჯიბრების კიდევ უფრო გასაშლელად, არ სწარმოებს.

საერთოდ სტალინისში პროფკავშირებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა სოცშეჯიბრებაზე მოისუსტებს. ცუდი ხელმძღვანელობის ბრალია, რომ შეჯიბრებაში არ არის მთელი მასა ჩაბმული. არ ტარდება საწარმოო ეკონომიური თათბირები სისტემატიურად, ინჟენერ - ტეხნიკოსების კადრები ნაკლებად არიან დაინტერესებული ტეხნიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, ხოლო ადგილკომი ამაზე განცხადების გაკვრით კმაყოფილდება. არ სწარმოებდა სოც. შეჯიბრების ყოველთვიური გამოფენა ცალკე საწარმოებში და მუშათა კრებებზე. შეჯიბრებაში ჩაბმულ მუშებს, ადმინისტრაცია ნედლ მასალას დროზე არ აწვდიდა.

ნედლი მასალის მიმწოდებელი ორგანიზაციების ასეთი ბიუროკრატიული და აშკარა ბოროტმოქმედებითი მოქმედება, ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოისპოთ, რომ შესაძლებელი იქნეს ხუთწლედის ოთხწლედში განხორციელება.

რკინისგზელი

## სახელწოდება გაამართლეს

გაზეთების გამომცემლობის სტამბაში (ყოფ. მე-5 სტამბა) ჩამოყალიბებული იყო 3 დამკვრელი ბრიგადა და 5 სამქრო გამოცხადებული იყო დამკვრელ სამქროებად. ეს სამქროები აერთიანებენ მუშების 80 პროც.-ს. ამას გარდა აღნიშნულ სტამბას სოც-შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს 1-ლი სტამბა.

შემმოწმებელ ბრიგადებმა უკვე დაამთავრეს მუშაობა. დროებით საკონტროლო კომისიამ გაუკეთა ჯამი მათ მუშაობას და გამოირკვა შემდეგი: დამკვრელმა სამქროებმა და ბრიგადებმა ხელშეკრულება შეასრულეს გადაჭარბებით. საერთოდ წარმოებაში მომუშავე მუშების სოც-შეჯიბრებაში და დამკვრელ ბრიგადებში ფართო მონაწილეობამ, ძლიერ აწია შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის გამომუშავება, შეამცირა თვითღირებულება, გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და სხვ.

1929-30 წლის საწარმოო - საფინანსო გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ პროდუქციის გამომუშავება გასულ სამეურნეო წელთან შედარებით გაედიდებიათ 11,4 პროცენტით. სინამდვილეში კი მიეღოთ 37 პროცენტით ზრდა. ე. ი. გეგმაზე გადაჭარბება უდრის 25 პროცენტს.

თვითღირებულების შემცირება 1929-30 წ. საწარმოო საფინანსო გეგმით გათვალისწინებული იყო 13,8 პროცენტით. სინამდვილეში კი თვითღირებულება შემცირდა 16,4 პროცენტით. ე. ი. გეგმა გადაჭარბებულია 2,6 პროცენტით. რაც შეეხება შრომის დისციპლინას, ამ მხრივ დიდი მიღწევები გვაქვს 28 წ. 1-ლ და მეორე კვარტალში არა საპატიო მიზეზის გამო გაცდენა უდრიდა 103 კაცდღეს. 1929-30 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაცდენა უდრის მხოლოდ 38 კაცდღეს. ამ რიგად გაცდენა შემცირდა 63 პროცენტით.

ადგილობრივ პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობა და საქმიანობა სოც. შეჯიბრების დარგში დამაკმაყოფილებელია. ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევდა და ვერ ასრულებდა იმას. რაც საჭირო იყო სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის კიდევ უფრო მეტი ნაყოფიერებისათვის. მაგ.: ადმინისტრაცია ვერ დატვირთავდა ზოგიერთ სამქროებს საქმეებით, დროზე არ აწოდებდა სამქროებს საჭირო მასალას და სხვ.

დროებითი საკონტროლო კომისიამ მითითება მისცა ადგილობრივ პროფორგანიზაციას, რათა დაჩქარებით მოხდეს პირველ სტამბასთან დადებულ სოც. შეჯიბრების ხელშეკრულების შემოწმება და ადმინისტრაციას კი მიუთითა, რათა წარმოების საწ. საფ. გეგმა დაყოფილი იქნეს სამქროების მიხედვით.

საწარმოო თათბირების გაფართოებულმა სხდომამ, რომელსაც დაესწრო 59 მუშა, განიხილა დროებითი საკონტროლო კომისიის მიერ დამთავრებული მუშაობა და განაწილა ჯილდოები.

პირველი გარდამავალი ჯილდო — დროშა მიეკუთვნა ასოთ-ჩამომსხმელ სამქროს, რომელმაც პროდუქციის გამომუშავება გაზარდა 59 პროცენტით. გეგმით კი გათვალისწინებული იყო 10 პროც., თვითღირებულება აღნიშნულმა სამქრომ შეამცირა 16 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული იყო 8 პროც.. მეორე გარდამავალი ჯილდო — ლენინის ბიუსტი — მიეკუთვნა სალინოტიპო სამქროს დამკვრელ ბრიგადას. მესამე ინდივიდუალური ჯილდო (საწერი მაგიდის მოწყობილობა), საწარმოო თათბირმა მიაკუთვნა საექსპედიციო სამქროს ახალგაზრდა მუშას ამხ. გ. ქიორელს.

აქ. იმხაძე.

## მუშაობა გამოცოცხლდა

საწარმოო თათბირის მუშაობა მექანიკურ საბრუნველო ქარხანაში, უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა. სოციალისტური შეჯიბრებასთან დაკავშირებით, საწარმოო თათბირმა გააცხოველა თავისი მუშაობა მუშა რაციონალიზატორთა შორის. უმთავრესად ამით აიხსნება, რომ ქარხანაში მომუშავე მუშათა 90 პროცენტი, ჩაბმულია სოცშეჯიბრებაში და 130 მუშა გაერთიანებულია დამკვრელ ბრიგადებში. ასე რომ საწარმოო თათბირმა შესძლო მობილიზაცია ექნა მუშებისათვის სოციალისტურ შეჯიბრების ირგვლივ.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა მუშათა წინადადებების რიცხვი. მასთან წინადადებები ხარისხობრივად უკეთესები არიან, ვიდრე ეს იყო წინად. ეს უნდა მიეწეროს იმას, რომ საწარმოო თათბირი, არამც თუ მარტო შინჯავს მუშათა წინადადებებს, არამედ იგი ბოლომდე ადევნებს თვალყურს და ყოველგვარ ზომებს ხმარობს მის მიერ მიღებულ მუშათა წინადადებების ცხოვრებაში გასატარებლად. ამიტომ მუშათა წინადადებების განხორციელების საქმე ქარხანაში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული.

ყველა ამ ღონისძიებებმა კი ხელი შეუწყეს საწარმოო გეგმის შესრულებას. მაგ.: ქარხანაში საფინანსო-სამრეწველო გეგმის მიხედვით, მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში უნდა გამოემუშავებინათ 257.500 მანეთის პროდუქცია. გამოიმუშავეს კი 293.200 მანეთის პროდუქცია ე. ი. გეგმა შესრულებულია 8,5 პროცენტის გადაჭარბებით.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება არ არის დამაკმაყოფილებელი. გეგმით, თვითღირებულება უნდა შემცირებულიყო 8 პროცენტით, შემცირდა კი, მხოლოდ 6,4 პროცენტით. საგრძნობლად შემცირდა აგრეთვე ცუდი პროდუქციის გამომუშავებაც. სამჭედლო სამქროში იგი უდრის 3 პროც., სახარატოში—1 პროც. სხვა სამქროებში ცუდი პროდუქციის გამომუშავებას ადგილი არ ჰქონია.

უკანასკნელ ხუთ თვეში, ქარხანაში ადგილი ჰქონდა 10 გამოგონებას. საწარმოო თათბირმა მიიღო მხოლოდ ოთხი, სამი დამუშავების პროცესშია და სამიც უარყოფილია. გამომგონებლები დაჯილდოვებულნი იქნენ 530 მანეთით.

საწარმოო თათბირმა დიდი მუშაობა ჩაატარა აგრეთვე დანაკარგებთან ბრძოლის დარგში. მუშათა უმრავლესობა ჩაბმულია ამ საქმეში და დაუღალავად ებრძვის საწარმოოს დანაკარგებს.

ამ მუშაობამ საკმაოდ დიდი ნაყოფი მოუტანა საწარმოს.

ამ მიღწევებთან ერთად საწარმოო თათბირის მუშაობას თან სდევდა ნაკლიც, რომელიც ხელს უშლიდა საწარმოო თათბირების მუშაობას. ეს ნაკლოვანებები აღმოაჩინა შემმოწმებელმა ბრიგადამ. ადგილობრივმა პროფორგანომ უნდა მიიღოს ზომები ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ხარატი.



26 კომუნარის სახელობის ქარხანა. ჩამომსხმელ სამქროს კომკავშირელ-დამკვრელები

„ჯგუფი"

# ქრონიკა

### ამხ. დ. კანდელაკის დანიშვნა

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საქ. განათლების სახალხო კომისარი ამხ. კანდელაკი, დაინიშნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად — შვეციაში.

### მუშათა ახალი სახლები

საქ. ეკონომიური საბჭოს სამშენებლო-ტეხნიკურმა კომიტეტმა დაამტკიცა სამთო-ქიმიური ტრესტის მიერ წარდგენილი პროექტი ტყიბულში მუშათა დიდი საცხოვრებელი სახლის აგებისა.

დაიწყო მუშათა უბნის აგება რიონჰესის მუშებისათვის. უბანში იქნება 10 სახლი.

### ექიმების რაზმების გაგზავნა მაზრებში

საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი გზავნის მაზრებში ექიმების 6 რაზმს. რაზმში შედიან თვალის სნეულების სპეციალისტები, ვენეროლოგები, გინეკოლოგები, დოსტაქრები და სხვ. ექიმების რაზმები აღმოუჩენენ მცხოვრებლებს სამკურნალო პროფილაქტიურ დახმარებას და აგრეთვე ჩაატარებენ მუშაობას სამრეწველო რაიონების მუშებს შორის.

### ავეჯეულობის ახალი ფაბრიკა

ამიერ-კავკ. ქაღალდისა და ტყის მრეწველობის ტრესტი შეუდგა ავეჯეულობის ახალი ფაბრიკის აგებას თბილისში. ფაბრიკა შენდება ავეჯეულობის ძველ ფაბრიკასთან (ვერის ხიდის მახლობლად).

ფაბრიკის აგება და მოწყობა ჯდება 204.000 მანეთი. სამშენებლო სამუშაოების შესრულება მინდობილი აქვს საქართველოს სახელმწიფო მრეწველობის სამშენებლო ტრესტს.

ახალ ფაბრიკაში იმუშავებს 210 მუშა. ფაბრიკა გამოუშვებს გაუმჯობესებული კონსტრუქციის სტანდარტულ სადურგლო ავეჯეულობას.

### სხვა და სხვა

● თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის გასაფართოვებლად გადადებულია 700.000 მანეთი.

● საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა მიიღო 10.000 თერმომეტრი, რომლებიც განაწილებული იქნება მაზრებსა და ოლქებში.

● სახ. ბანკის ამიერ - კავკასიის საოლქო კანტორა და საკრედიტო დაწესებულებები შეუდგნენ ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის მეთერთმეტე ტირაჟის მოგებათა გაცემას.

### ხელოვნების ქრონიკა

● მეორე სახელ. დრამის გასტროლები. 8 ივნისს, ოპერის თეატრში იწყება მეორე სახელმწიფო დრამის გასტროლები. წარმოდგენილი იქნება „ბეატრიჩე“.

● კ. მარჯანიშვილის მოხსენება. დღეს, 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში (ლენრაიონი) კოტე მარჯანიშვილი ლენრაიონის მუშებისათვის გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „ქართული თეატრის პირველი მოგზაურობა უკრაინასა და მოსკოვში“.

● დღეს, 7 ივნისს, იხსნება სახ. კვების მუშაკთა კავშირის კლუბის საზაფხულო სეზონი (პლეხანოვის პრ., 5).

● ხვალ რუსთაველის თეატრში გაიმართება გარმონისტთა სიმფონიური ორკესტრის კონცერტი ახალი პროგრამით.

# დღეს იწყება

### მე-4 ავიალატარიის ტირაჟი

დღეს, საღამოს 6 საათზე, წითელი არმიის ბაღში იწყება მე-4 ავიალატარიის მესამე თანრიგის ტირაჟი.

ტირაჟში მონაწილეობას იღებს 800.000 ბილეთი, რომლის საერთო თანხა უდრის — 400.000 მანეთს. სულ ტირაჟში არის 4.050 მოგება.

ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის ცნობით, ამიერ-კავკასიაში უნდა გასაღებულიყო 16.000 ბილეთი. აქედან საქართველოში — 58.200, სომხეთში—28.400 და აზერბეიჯანში —73.400 ბილეთი.

ბილეთების რეალიზაცია ყველგან დიდი წარმატებით ჩატარდა. თავდაცვა-ავიაქიმის რესპუბლიკანურმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ტირაჟის ირგვლივ ჩაატარეს ფართო საგიტაციო და ახსნა-განმარტებითი კამპანია. წარმოება-დაწესებულებებში ეწყობოდა მოხსენებები, საუბრები, აგიტაციის მიზნით გამოყენებულ იქნა რადიო, აეროპლანები, კინო და სხვ. მშრომელმა მასამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ტირაჟისადმი. სამი დღის განმავლობაში მარტო თბილისში გასაღდა 4.000 მეტი ბილეთი.

მესამე თანრიგის ტირაჟში შედის შემდეგი მსხვილი მოგება: მოგზაურობა დედა-მიწის ირგვლივ, ღირებული 5.000 მან., 2-რი მოგზაურობა იმ ქვეყნებში, რომლებსაც ამოირჩევს მომგები. თითო მოგზაურობა ღირს — 2.000 მანეთი, სამი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, მოტოციკლეტი, ჰაერო-მარხილი, მოტორიანი ნავი, სამოსწავლო პლანერი, 4 სტიპენდია უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ.

სატირაჟო კომისიას თავმჯდომარეობს ამხ. შ. ელიავა.

კომისიაში შედიან ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს, ამიერ-კავკ. ცაკის, არმიის, საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის, ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, სახ. ბანკის, ამიერ-კავკ. ფინსახკომის, პრესის და სხვ. წარმომადგენლები. ტირაჟს ესწრებიან საკავშირო და მოსკოვის ავიაქიმის წარმომადგენლები.

ტირაჟში მონაწილეობის მისაღებათ საქართველოს ავიაქიმი გზავნის 10 კაცს, აზერბეიჯანის ავიაქიმი—6 და სომხეთის ავიაქიმი—3 კაცს.

ტირაჟი გასტანს 7 და 8 ივნისს.

# ფერომარგანეცის ქარხანა

### ზესტაფონი

თბილისში დაბრუნდა ს.მ.ე. საბჭოს კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობის სამზადისის შესამოწმებლად და ქარხნის ასაგებ ტერიტორიასთან (ზესტაფონის მახლობლათ) მუშათა ქალაქის მშენებლობის დაწყებაზე დასასწრებლად.

2 ივნისს მოხდა მუშათა ქალაქის გასაშენებელი ადგილის მიღება და იმავე დღეს საფუძველი ჩაეყარა მუშათა საცხოვრებელ ექვს სახლს.

კომისიამ დაათვალიერა და შეამოწმა აგრეთვე ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის ხაზის მშენებლობა. აღნიშნული ხაზის გაყვანა უკვე დაწყებულია. რკინის გზის ხაზი სადგ. შორაპნიდან გაგრძელებული იქნება უშუალოთ ფერო - მარგანეცის ქარხნის ასაგებ ადგილამდე.

თვით ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების დაწყება გადაწყვეტილია მომავალი სექტემბრიდან.

# უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაცია

### სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყოფა შემდეგ ინსტიტუტებად:

**პედაგოგიური ინსტიტუტი,** რომელსაც ექნება შემდეგი ფაკულტეტები: საბუნებისმეტყველო-ფიზიკო-მათემატიკური, ლიტერატურულ-ლინგვისტური, საზოგადოებრივ-ეკონომიური, პედოლოგიური და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტები.

**საექიმო ინსტიტუტი**—ფაკულტეტებით: სანიტარულ-ჰიგიენური, სამკურნალო-პროფილაქტიური და ფარმაცევტიული.

**საფინანსო - კოოპერატიული ინსტიტუტი,** რომელსაც ექნება ორი ფაკულტეტი, ფინანსიური და კოოპერატიულ-სავაჭრო.

**საბჭოთა უფლების ინსტიტუტი,** სადაც იქნება ერთი ფაკულტეტი—საბჭოთა უფლების ფაკულტეტი.

1930—31 წელში მისაღებ სტუდენტთა რიცხვი განსაზღვრულია: პედაგოგიურ ინსტიტუტში 800 კაცით, საექიმო ინსტიტუტში—400, ფინანსიურ-კოოპერატიულ ინსტიტუტში—400 და საბჭოთა უფლების ინსტიტუტში—150 კაცით.

პედაგოგიური ინსტიტუტი და საბჭოთა უფლების ინსტიტუტი რჩება განათლების კომისარიატის განკარგულებაში, საექიმო ინსტიტუტი გადაეცა საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს, ფინანსიურ-კოოპერატიული ინსტიტუტი კი ცეკავშირს, რომელმაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობის და მისი საჭიროების დაკმაყოფილების საქმეში უნდა ჩააბას აგრეთვე ფინსახკომი, ვაჭრობის კომისარიატი, საქართველოს საგეგმო კომისია და შინამრეწველობის კოოპერაცია. ფინანსიურ-კოოპერატიული ინსტიტუტი გააერთიანებს კოოპერატიული მუშაობის ყველა სახეებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტს წინადადება მიეცა 10 ივნისიდან შეუდგეს რეორგანიზაციას.

განათლების კომისარიატის დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნა სახკომსაბჭოს.

### სას. სამ. ინსტიტუტი

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის დადგენილებით, მომავალ სამოსწავლო წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაარსებული იქნება მებაღეობა-მევენახეობის, მესაქონლეობის, მემინდვრეობის და მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ფაკულტეტები.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის დადგენილებით საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორად დანიშნულია პროფ. **კ. ამირაჯიბი;** სას. სამ. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დოცენტი **ზ. მესხი.**

სას. სამ. მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის გამგეთ დანიშნულია პროფ. **კ. მოდებაძე;** მესაქონლეობის ფაკულტეტის გამგეთ პროფ. **ი. ჯანდიერი;** მემინდვრეობის ფაკულტეტის გამგეთ პროფ. **ი. ლომოური** და მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ფაკულტეტის გამგეთ ლექტორი **ვლ. ხოფერია.**

# რკინის გზებზე

### როგორ იწარმოებს რკინისგზელებისათვის კოოპერატიული სამსახურის გაწევა სატრანსპორტო კოოპერაციის ლიკვიდაციის შემდეგ

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების („ზაკტპო“-ს) ლიკვიდაციისა და მისი საერთო-სამოქალაქო კოოპერაციასთან შეერთების გამო.

„ზაკსოიუზ“-თან შესდგა იმ კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელთა ხელშიაც გადადის რკინის გზელებისათვის კოოპერატიული სამსახურის გაწევის საქმე. ამ თათბირზე განიხილეს საზოგადოების მიღება-ჩაბარების ტეხნიკური საკითხები და მიმღებ ორგანიზაციების შემდგომი მუშაობის ფორმები.

თათბირზე გადაწყდა, რომ მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოებები, რომელთაც შეუერთდება „ზაკტპო“, გადაკეთდება ქალაქის სამომხმარებლო საზოგადოებებად. მათი გამგეობების და სარევიზიო კომისიების შემადგენლობებში შეყვანილი იქნებიან რკინისგზელების წარმომადგენლები. ბაქოს, თბილისის და ლენინაკანის მუშათა კოოპერატივებს აპარატებთან არსდება სატრანსპორტო სექციები.

„ზაკტპო“-ს სავაჭრო ქსელი დაცული იქნება მთლიანად და მისი შემდგომი განვითარება იწარმოებს „ზაკტპო“-ს გამგეობის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით.

სანორმისო საქონლის ის მარაგი, რომელიც დარჩა „ზაკტპო“-ს, საზოგადოების საბოლოო ლიკვიდაციამდე გამოყენებული იქნება მხოლოდ რკინისგზელების დასაკმაყოფილებლად, მომარაგების ნორმების და წესების დაცვით.

ყველა კოოპორგანიზაციებს ამიერ-კავკასიის რკ. გზის ხაზით მიცემული აქვთ წინადადება კონდუქტორები და მემანქანეები გზაში უზრუნველჰყონ პურით, წიგნაკების მიხედვით, იმის მხედველობაში მიუღებლად, თუ რომელ წერტზეა მიწერილი წიგნაკის პატრონი. თბილისის მუშკოოპს, ბაქოს ცენტრალურ მუშათა კოოპერატივის და ბათომის მუშკოოპს მიცემული აქვთ წინადადება უზრუნველჰყონ 2—3 დღის პურის მარაგით მოსკოვის და ლენინგრადის მატარებლებზე მომუშავე რკინისგზელები,—განურჩევლად იმისა—ექნებათ თუ არა მათ პურის წიგნაკები (საკმარისია მხოლოდ სამსახურებრივ საბუთის წარდგენა).

სატრანსპორტო კოოპერაციის მეურნეობის რაიონებად დაყოფის სქემა მიღებულია შემდეგი ცვლილებით: სადგ. ახალდაბა ნაცვლად ხაშურის კოოპერატივისა გადადის ბორჯომის კოოპერატივის ხელში. გზის უბანი სადგ. ქერარისა და ძმობას შორის ნაწილდება ევლახის და განჯის კოოპერატივებს შორის.

### მდგომარეობა მეორე საექსპლოატაციო რაიონში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის საექსპლოატაციო რაიონებად დაყოფის გამო, ამჟამად თითოეული რაიონის მმართველი აპარატი აწარმოებს თავის რაიონის გამოკვლევას. გამოკვლევას აწარმოებენ სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი კომისიები, რაიონების უფროსების მეთაურობით.

ასეთი გამოკვლევა მეორე საექსპლოატაციო რაიონში ნაწილობრივ უკვე ჩატარებულია. გამოკვლეულია გზის მთავარი მაგისტრალი შორაპნიდან—განჯის სემაფორამდე (თბილისის კვანძის გამოკლებით). გამოკვლევის პროცესში უმთავრესი ყურადღება ექცევა მატარებლების მოძრაობის, ლიანდაგის მდგომარეობის, ნაგებობათა მდგომარეობის, მოძრავ შემადგენლობის შეკეთების, კავშირგაბმულობის საქმის და სხვა საკითხების შესწავლას.

მეორე საექსპლოატაციო რაიონის უფროსის ბ. რაზმაძის ცნობით კომისიამ შემდეგი გამოარკვია:

დასავლეთ უბანზე გაცილებით უკეთესი მდგომარეობა არის, ვინემ აღმოსავლეთის უბანზე. იქ მატარებლების მოძრაობა ნორმალურია. ხაზიც კარგად არის მოვლილი, შრომის დისციპლინა შედარებით დაცულია. მატარებლების მოძრაობის მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობა იყო ხაშურის კვანძზე, მაგრამ ეხლა ეს ნაკლი გამოსწორებულია. მატარებლების 90 პროცენტი იქ ცხრილის მიხედვით მოძრაობის დარგის მერვე უბნის ადმინისტრათან ელექტრონული კავშირის დამყარებამ.

უარესი მდგომარეობაა აღმოსავლეთ უბანზე, მთავარი, რაც აქ იქცევს ყურადღებას ეს არის უაღრესად სუსტი შრომის დისციპლინა გზის აგენტებს შორის. ეს უმთავრესად აიხსნება ადმინისტრაციის და პროფორგანიზაციების სისუსტით. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ყოფ. მოძრაობის დარგის მერვე უბნის ადმინისტრაცია ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევდა შრომის დისციპლინის აწევას. ამ მხრივ უაღრესად მოიკოჭლებდნენ პროფორგანიზაციებიც.

სამეურნეო მუშაობაც ვერ არის კარგ მდგომარეობაში ამ უბანზე მატარებლების მოძრაობის ცხრილი ძალიან ხშირად ირღვევა, ხაზი მოვლილი არ არის, ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან სადგურები და საცხოვრებელი შენობები, შპალების მდგომარეობაც ცუდია.

ყველა ამ დეფექტების გამოსწორება რაიონის მმართველობას დღის წესრიგში აქვს დასმული. უკვე მიღებულია ზომები ხაზის უზრუნველსაყოფად შპალებით. პირველ რიგში აუცილებლად არის ცნობილი თბილისში ჩრდილოეთის პარკის მოსაწყობ სამუშაოების დამთავრება და პარკის ახლო მომავალში გახსნა. ეს ხელს შეუწყობს ვაგონების ბრუნვის დაჩქარებას. ყურადღება მიექცევა მოძრავ შემადგენლობების შეკეთებას, რადგან ეს საქმე ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. მთავარ ამოცანად მეორე რაიონის მმართველობას დასახული აქვს დანარჩენ რაიონებთან ელექტრონული კავშირის დამყარება, რაც ხელს შეუწყობს მატარებლების მოძრაობის მოწესრიგებას.

ახლო მომავალში გამოკვლეული იქნება კახეთის შტო და თბილისის კვანძი.

# ჭადრაკი

### ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ა. ჩირაძე თბილისი).

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა). ხ. გერგაია (აბასთუმანი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

### პარტია № 35 (სიცილიური)

### გოგლიძე—ნენაროკოვის მატჩის მეშვიდე პარტია, გათამაშებულია 18/V-30 წ.

თეთრები—ვ. ნენაროკოვი, შავები—ვ. გოგლიძე

1. e4, c5 2. მf3, მc6 3. d4, c:d 4 მ:d4, მf6 5. მc3, d6 6. კe2, e6 7. 0-0, კe7 8. b3 (ეს გაგრძელება არაა საუკეთესო. ბევრათ უკეთესია მფh1. შემდეგ f4 და ა. შ. კლასიკურ ნიმუშის მიხედვით ძაროცი—ეივე—შვენინგენი) 8... 0-0 9. კb2, a6 10. მფh1, ლc7 11. f4, კd7 (შავები იძულებულნი არიან დათანახმდნენ ამ სვლაზე, ცხადია არ ივარგებს b5 12. მ:c6, ლ:c6 და 13. კf3 გამო. არ ვარგა აგრეთვე 11..., მ:d4 12. ლ:d4, b5 13. e5, de 14. fe, მd7 15. კf3, კb7 16. კ:b7, ლ:b7 17. ეad1 თეთრების პოზიციის ცხადი უპირატესობის გამო) 12. კf3, ეac8 13. ეc1, b5 14. მe2, ეfd8 15 ლe1, მe8 16 მ:c6. კ:c6 17. კc3, ეd7 18. კa5, ლb8 19. მd4, კb7 (პირველ შეხედვით თითქოს თეთრ ფიგურებს საუცხოვო განწყობა აქვთ, მაგრამ ეს შთაბეჭდილება მხოლოდ გარეგნულია. შავებმა უკვე შეჰქმნეს მუქარები დაკავშირებული კf6, ლი ხაზი და სხვა, იმ დროს, როდესაც თეთრი ფიგურები მო მედობენ შეუთანხმებლივ) 20. f5? (ეს უკვე შეცდომაა, რასაც მოსდევს თეთრებისათვის არა სასიამოვნო შედეგები. უკეთესი იყო კუს a5-ზე გადაყვანის უნაყოფოთ აღიარე ა და მით უკან დაბრუნება c3-ზე) 20..., e5! 21. მe2 კg5! 22. კd2, კ:d2 23. ლ:d2, მf6 24. მg3, d5 25. ed, კ:d5 26. კ:d5, ე:d5 27. ლe2 (ეოცე სვლაზე დაშვებულ შეცდომის შედეგათ თეთრებს წაგებული მდგომარეობა აქვთ) 27..., ლd6 28. ეcd1, h6 29. ე:d5 30. ეd1, ლc5 31. ეd2, ლb4 32. მf1, ლf4 (პარტიას იგებდა უბრალო 32..., e4, რის შემდეგ თეთრებს გასაქანი აღარ აქვთ. ტექსტში მოყვანილ სვლის შემდეგ პარტია გადავა მეტად რთულ და ძნელად მოსაგებ ენდშპილში) 33. ლe2, ლ:f2 (შავებს შეეძლოთ მოეგოთ პაიკი შემდეგი თამაშით: 33..., მe4 34. ლ:f4, e:f 35. ეd4, მf2+ 36. მფg1, ე:c2 37. ეd2!, ე:d2 38. მ:d2, მd1 39. მe4, მe3 40. მc5, a5 41. მd3, მ:f5 42. მ:f4, მაგრამ პარტიის მოგება შავების მიერ ასეთ ენდშპილში მეტად საეჭვოა) 34. ე:f2, მd5 35. a3, ეc3? (უსწორო გეგმის დასაწყისი სწორი იყო შემდეგი გაგრძელება: 35..., f6 36 ეd2, მc3 და შემდეგ a - პაიკის წინ გაწევა—a3 ის შეჩერებით, რო ლის მოგების შემდეგ პარტიის მოგება ეჭვს არ იწვევდა).

36. ეd2, მe7 37. მg3, ეe3? 38. მფg1, ეe1+ 39. მფg2, ეa1 40. ეd8+, მფh7 41. ეd7, მc6 42. ე:f7, მფg8 43. ეc7, მd4 44. მფe3, ეe1+ 45. მფd3, ეg1 46. c4, ე:g2 47. c5, ე:h2 48. მფe4 (რასა ვირველია არა c6, ეh3 ის და მხედრის მოგების გამო) 48..., ეh3 49. მფ:e5, ე:g3? (უკანასკნელი გადამწყვეტი შეცდომა. სვლა 49..., მ:b3 ალბად გადაარჩენდა პარტიას მაგ: 50. მფ.d4, ე:b3 51. c6, მ:c6 52. ე:c6, ე:a3 და შავებს მხედარში 3 პაიკი აქვთ) 50. მფ:d4, ე:b3 51. c6, ე:a3 52. ეd7, ეa4+ 53. მფd5, ეc4 54. c7 და შავები რამოდენიმე სვლის შემდეგ დანებდნენ.

### გოგლიძე - ნენაროკოვის მატჩი

გუშინ, საღამოს, შესდგა მატჩის მეთერთმეტე პარტია, რომელიც მოიგო გოგლიძემ, რაც მატჩის პირობების თანახმად, გოგლიძეს ანიჭებს მაესტროს სახელწოდებას.

# დიდი ხანძარი

გუშინ, დილის 10 საათზე ცეცხლი გაუჩნდა ბამბის ქარხანას (ორთაჭალა). წინასწარი ცნობებით, ცეცხლი პირველად მოეკიდა ბამბის საპენტ მანქანას და ელვის სისწრაფით გადავიდა საზეინკლო საამქროში. ცეცხლის ჩასაქრობად გამოწვეულ იქნა თბილისის ყველა სახანძრო რაზმები და წითელი არმიის ნაწილები. ხანძარს ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია. ხანძრისაგან გამოწვეული ზარალი დიდია. დამწვარია საპენტი და საზეინკლო საამქროს შენობა და მანქანების ნაწილები.

ამავე დღეს ნაშუადღევის 1 საათზე ცეცხლი გაუჩნდა აკაკი წერეთლის ქუჩაზე მდებარე სახლს № 1. ხანძარი გამოიწვია იქვე ჰიშკართან დურგლის მიერ წებოს გასაცხელებლად დანთებულმა ცეცხლმა. ცეცხლი ძლიერ სწრაფად განვითარდა და ემუქრებოდა მოსაზღვრე შენობებს, მაგრამ მეხანძრეთა რაზმის თავგანწირული ბრძოლით ცეცხლი ჩქარა იქნა ჩაქრობილი. დაიწვა ჰიშკართან დალაგებული მაგიდები. ზარალი დაახლოებით 200 მან. უდრის.

გუშინვე რიყის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს. ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. ზარალი უმნიშვნელოა.

# შემთხვევები

◆ თვითმკვლელობა. გიორგი პავლეს ძე ვერიოუკიმ (მცხ. სადგურის ქუჩა № 31) სასტუმრო „ივერია“-ში ნაგანის სისტემის რევოლვერით მოიკლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ დაჭრა. არტემ ივანეს ძე დავიდოვმა კახეთის მოედანზე მაკრატლით მძიმედ დასჭრა მიკიჩ პეტროსიანცი. პეტროსიანცი მოთავსებულია ქალაქის პირველ საავადმყოფოში. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

◆ ავტომობილის ქვეშ. ავტომობილი № 97, რომელსაც მართავდა შოფერი ყაზარა ივანეს ძე ფარემუზოვი, დაეჯახა ალექსანდრა დადინოვას, რომელიც მძიმედ დააშავა. დადინოვა მოათავსეს ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოში. შოფერი შეიპყრეს.

◆ ქურდობა. გაქურდეს სერგო არშაკის ძე ტერ-ოგანოვის ბინა (ზაჰესის ქუჩა), საიდანაც მოიპარეს 75 მან. ღირებული ტანსაცმელი.

# ფეხბურთი

### თბილისი—ერევანი

ამიერ-კავკ. კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობის გახსნის აღსანიშნავად, 5 ივნისს „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება სომხეთის ნაკრებ გუნდთან. სტუმრებთან თამაშობდა მელითონეების პირველი გუნდი.

**სომხეთის მხრიდან თამაშობდნენ:** დავითიანი, კეჟეჯიანი, მარტიროსიანი, ვართანიანი, ამირანიანი, ალექსიანი, გრიგორიანი, აროიანი, აჯამიანი, პუტსოიანი და ბეგლარიანი.

**მელითონეების მხრიდან გამოვიდნენ:** დ. ცომაია, მატიენკო, ნიკოლაიშვილი, გონელი, იაროვსკი, სიხარულიძე, ბელოენკო, მესხი, იამშანოვი, კლოცი, მაჩაბელი.

**სომხეთის** გუნდის შარშანდელი გასტროლების მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მელითონეებს დიდი ენერგიის დახარჯვა არ დასჭირდებოდათ გამარჯვებისათვის, მაგრამ ასეთი აზრი შემცდარი გამოდგა. სომხეთის ნაკრებმა გუნდმა ამ თამაშში გამოამჟღავნა როგორც საკმაოდ განვითარებული კლასი, ისე ფიზიკური გამძლეობა, რამაც საშუალება მისცა მათ ერთნაირი ინტენსიობით ეწარმოებიათ თამაში ორივე ტაიმის განმავლობაში.

თამაშის დაწყებისთანავე თბილისელებს გააქვთ პირველი ბურთი. თამაში თანდათან გაცხოველებულ ხასიათს იღებს. სომხეთის გუნდი ცდილობს გოლს გოლითვე უპასუხოს და ჩქარა აღწევს კიდეც შედეგს.

თამაშის შემდეგ პროცესში მელითონეებს გააქვთ კიდევ ორი ბურთი, თავის ბადეში კი იღებენ ერთს და ამრიგათ პირველი ტაიმი თავდება 3:2 მელითონეების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ერთხანს ძალთა წონასწორობა არ დარღვეულა. შუა ტაიმში სტუმრებმა მძლავრი შეტევა განავითარეს და საგრძნობლადაც შეავიწროვეს მოწინააღმდეგენი. ორივე გუნდი სწრაფი ტემპით თამაშობდა. მოფიქრებულ კომბინაციებს ადგილი არ ჰქონია არც ერთ გუნდის მხრიდან. მიუხედავად ამისა თამაში ძალზე საინტერესო გამოდგა. ტაიმის დასრულებამდე მელითონეებმა გაიტანეს კიდევ ორი ბურთი, სტუმრებმა კი ერთი და შეჯიბრება დამთავრდა 5:3 მელითონეების გამარჯვებით.

### ბაქო—ერევანი

დღეს 5 საათზე „დინამო“-ს სტადიონზე თამაშობენ ბაქოს და ერევნის ნაკრები გუნდები.

# ნარევი

### ახალი სახის განათება

დასავლეთ ამერიკაში და ევროპაში უკანასკნელ ხანებში ფართოდ ვრცელდება ახალი სახის ელექტრონული განათება, — განათება ე. წ. „სინათლის კუბებით“. ამგვარ კუბებს შიგნით (კუბები დამზადებულია მჟოლალი მინიდან) მოთავსებულია ელექტრონის ლამპა. „სინათლის კუბები“ იძლევიან თანაზომიერ, ძლიერ და ამავე დროს გაფანტულ სინათლეს. შესაძლებელია ამგვარი კუბებიდან სხვადასხვა ფიგურების დამზადება და სინათლის ლამაზი კომბინაციების მიღება. კუბები იმდენად მაგარია, რომ შესაძლებელია გამოყენებულ იქნან კიბის საფეხურებათ. ზოგიერთმა სავაჭროებმა „სინათლის კუბები“ დეკორატიული მიზნებისათვის გამოიყენეს.

### ყალბი სურათების სახელოსნო

საფრანგეთის გაზეთების ცნობით, პარიზში აღმოაჩინეს სახელოსნო, სადაც ამზადებდნენ მხატვარ სეზანის, მონეს, კოროს, სისლეის და განსაკუთრებით —მილლეს ყალბ სურათებს. სახელოსნოში აღმოაჩინეს 3.600 ახალი ამ მხატვრების სურათებიდან. სახელოსნოს პატრონხმა განაცხადა, რომ ის უკვე ექვსი წელიწადია ამზადებს ყალბ სურათებს და რომ, თითქო, სახელოსნო მოწყობილია მხატვარ მილლეს შვილის-შვილის თაოსნობით. ბელგიაში, გერმანიაში და ინგლისში სახელოსნომ გაასაღა რამდენიმე მილიონ ფრანკის ყალბი სურათები. ყველაზე მეტად დაზარალდა ლონდონის სამხატვრო გალერეა.

# რადიო-გადაცემა

### შაბათი, 7 ივნისი

**დილით** (8 ს. 30 წ. 9 ს. 30 წუთამდე) ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე“. პროგრამაში: ახალი ამბები და კონცერტი.

**საღამოთი** 10 კილოვატიან რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: გადაცემა ბავშვთათვის, ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; გადაცემა სოფლისათვის: ქართული მუსიკის კონცერტი, დროის შემოწმება, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; ჟურნალი „წითელი ფიზკულტურელი“ რადიოთი, ქართულ ენაზე; კონცერტის ტრანსლიაცია სახელმწიფო ოპერიდან, რეკლამა, ინფორმაცია ამიერ-კავკასიის კ.პ. (ბ) მე-6 ყრილობის შესახებ. უკანასკნელი ცნობები.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**დღეს, 7 ივნისს,** ლენრაიონის ქვემოდჩამოთვლილ უჯრედებში დამუშავდება ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისები საკოლმეურნეო მშენებლობაზე.

სტამბა—3 საათზე, მომხსენებელი ამხ. **მაქსიმოვი,** კალინინის სახელობის ქარხანა—საღ. 6 საათზე—მომხსენებელი ამხ. **გიორგობიანი,** ქარხანა „ხის ნაწარმი“—საღამოს 6 საათზე—მომხს. ამხ. **ნ. ლეჟავა,** ამხ. სუხიშვილის სახელობის ქარხანა—დღის 2 საათზე—მომხ. ამხ. **კვანტალიანი,** რკ. გზის სამასალო საწყობის სახელოსნო—საღამოს 6 საათზე—მომხსენებელი ამხ. **პაპავა,** სალიანდაგო დარგის მეექვსე უბანი—საღამოს 6 საათზე— მომხსენებელი ამხ. **რაზმაძე,** მოძრაობის დარგი—დღის 12 საათზე—მომხ. ამხ. **გიორგაძე,** სადგ. თბილისი—საღამოს 6 საათზე—მომხსენებელი ამხ. **საყვარელიძე,** ტრამვაის კოლექტივი—საღამოს 6 საათზე—მომხსენებ. ამხ. **ბედია** (ქართულ ენაზე) და ამხ. **მელნიკოვი** (რუსულ ენაზე), საკავშირო დარგის მესამე უბანი—საღ. 6 საათზე (ორჯონიკიძის ქუჩა № 93)—მომხ. ამხ. **კეკელიძე,** საკავშირო დარგი—დღის 2 საათზე—მომხსენებელი ამხ. **ვაჩარაძე,** საქონლის სადგური—საღამოს 6 საათზე—მომხ. ამხ. **მექვაბიშვილი,** საფეიქრო ქარხანა—დღის 2 საათზე—მომხ. ამხ. **სირაძე,** საღამოს 10 საათზე—მომხ. ამხ. **ბირიუკოვი** და ამხ. **დოლიძე,** მატარებლების ბრიგადები—საღ. 5 საათზე — მომხსენებელი ამხ. **ისკანდაროვი,** ორთქლმავალთა დეპო—საღამოს 10 საათზე—მომხ. ამხ. **ზუბკოვი,** სავაგონო პარკი—საღამოს 6 საათზე—მომხსენებელი ამხ. **თვალჭრელიძე,** სახკომმრეწვი—დღის 3 საათ.—მომხ. ამხ. **ამირალოვი,** თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“—დღის 2 საათზე—მომხ. ამხ. **დიკი,** გემო-კვების მუშაკთა კავშირის მესამე ქარხკომი—საღამოს 6 საათზე—მომხ. **ოუზბაშევი,** სპილენძის სატკეცი ქარხანა—დღის 1-ლ საათზე—მომხ. ამხ. **მგელაძე,** რკინის გზის პროფ. განათლების სამმართველო—საღამოს 5 საათზე—მომხ. ამხ. **ლევინი,** „ზაკტპო“—საღამოს 7 საათზე—მომხსენებელი ამხ. **ბოიკოვი,** რკინის გზის საავადმყოფო—საღამოს 6 საათზე—მომხს. ამხ. **შავერდოვი,** ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხნის საქვაბე საამქრო (ლენრაიკომი)—საღამოს 6 საათზე—მომხსენებელი ამხ. **უსტიევი,** რკინის გზის დაცვის კოლექტივი—საღამოს 6 საათზე—მომ. ამხ. **ფაჩულია,** რკინის გზის სამმართველო—საღამოს 6 საათზე—მომხ. ამხ. **გობერკორნი,** ფანერის ქარხანა—დღის 2 საათზე—მომხს. ამხ. **ტატულოვი,** სახარატო ცეხის უჯრედი—(პლეხ. სახ. კლუბის სალექციო დარბაზი)—საღამოს 6 საათზე—მომხსენებელი ამხ. **ძიძიგური,** სავაგონო-საბარგო საამქრო (ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბი)—საღამოს 6 საათზე—მომხ. ამხ. **ტინტიკოვი,** სავაგონო-სამგზავრო საამქრო (პლეხანოვის კლუბის ფოიე) საღამოს 6 საათზე—მომხსენებელი ამხ. **არუთინოვი,** სადურგლო საამქრო (ახალგაზრდათა კლუბი)—საღამოს 6 საათზე—მომხ. ამხ. **პერვუშინი,** საშუალო რემონტი (პლეხანოვის კლუბის რადიო-წრე)—საღამოს 6 საათზე — მომხსენებელი ამხ. **თოფურიძე,** ელექტრო-საამქრო, ამწონთა საამქრო, საინსტრუმენტო საამქრო (ორთქლმ. შემკეთებელ ქარხნის წითელი კუთხე)—საღამოს 6 საათზე—მომხ. ამხ. **ხარაბაძე,** მუშფაკი—საღამოს 8 საათზე—მომხსენებელი **ვახო ფანცულაია.**

რეზერვი—ამხ. ამხ. **სამთხვალოვი, სტანსკი, რონზანი, კიკნაძე, კულიჯანოვი, ხუბოვი, ტინტიკოვი, კოპალეიშვილი.**

ამხ. მიხ. კახიანის სახ. ქართულ ცენტრალურ მუშფაკთან არსებულ პოლიტწრეების გამოშვება მოხდება 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე.

პოლიტწრეების ლექტორები უნდა გამოცხადდენ აღნიშნულ დროისათვის სასწავლებელში.

დღეს, 7 ივნისს, დღის 1-ლ საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტ. ბიუროს კოლექტივში უნდა გამოცხადდნენ ამხ. დ. დოლიძე, გ. კვიცარიძე და პოლიტ. წრეების მდივნები.

---

მუშკოოპის გამგეობა აცხადებს, რომ დღეს, 7 ივნისს, საღამოს 5 საათზე
მუშკოოპის შენობაში (ქორესის ქ. № 7, 1-ლი სართული)
შესდგება
**რწმუნებულთა**
**მე-19 კრების**
**კომფრაქციის სხდომა.**
საღამოს 6 საათიდან იმავე შენობაში
**გაგრძელდება რწმუნებულთა მე-19 კრება**
გამგეობა.

---

| | |
|---|---|
| **აპოლო**<br>1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. | მხატვრული ფილმი<br>**ძია თომას ქოხი**<br>ბიჩერ-სტოუს რომანის მიხედვით |
| **სპარტაკი**<br>ყოფ. არფასტო | საუკეთესო სურათი<br>**ბრძმედის გმირები** |
| **სოლეი**<br>1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. | მილდრედ დევისი და კარლ მილერი მხატვრულ სურათში<br>**მსჯავრდადებულნი** |
| **პალასი**<br>1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ. | მხატვრული სურათი<br>**ცხენოსნები დაიძრენ** |
| **რ. ლიუქსემბურგის** სახ. (ყოფ. მინიონი) | კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერგნერი მხატვრულ სურათში<br>**მეჭიანურე ფლორენციიდან** |
| **დარბაზი**<br>1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ. | უკანასკნელად **ზელიმ-ხანი**<br>ცნობილ იუმორისტის და სატირიკოსის ვ. ლ. რაზდოლსკის გასტროლები |

სახელმწიფო ოპერის თეატრი
ქართული დრამის თეატრი **კოტე მარჯანიშვილის** ხელმძღვანელობით
კვირას, 8 ივნისს, ღია წარმოდგენა
პერსი-ბიში შელლი
**ბეატრიჩე**
ორშაბათს, 9 ივნისს,
პირველი აბონემენტის წარმოდგენა
დემნა შენგელაია
**თეთრები**
სალარო ღიაა დილის 12—4 საათ., საღამოს 5—9 საათამდე.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 $\frac{1}{4}$ საათზე.
ყოველ საბონემენტო წარმოდგენაზე ნაწილი ბილეთებისა დატოვებულია გასასყიდათ.
ნ. 831
თეატრის დირექტორი კ. კალაძე.

**გამოვიდა და იყიდება**
ყველა წიგნის მაღაზიებში
პ. მ. საყვარელიძე
**„დუფანტული ფურცლები“**
რომანი რევოლ. მოძრაობის ისტორიიდან.
გვ. 430, ფასი 3 მ. 50 კაპ.
ნ. 830
სახელგამი.

1930 წ. 7 ივნისს, საღამოს 6 საათზე,
ცეკავშირის შენობაში იწყება
**ცეკავშირის**
**აპარატის წვეულა**
ნ. 845 2—2

„თავდაცვა-ავიაქიმი საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი შრომისა და თავდაცვის დასაყრდენია“.

**ყველა მშრომელებს, თავდაცვა-ავიაქიმის ყველა უჯრედებს**

ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმი იუწყება, რომ დღეს, 7 ივნისს, საღამოს 6 საათზე წითელი არმიის ბაღში (პლეხანოვის პრ. № 73),

**მოსდევა თავდაცვა-ავიაქიმის მე-4 სრულიად საკავშირო ლატარიის ამიერ-კავკასიის მე-3 თანრიგის ტირაჟის**

**საზეიმო გახსნა**

(ტირაჟი გასტანს 7 და 8 ივნისს)

შესვლა ყველასათვის თავისუფალია.

დარჩენილი ბილეთები იყიდება სპეციალურად გამართულ კიოსკებში, როგორც ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში, ისე ტირაჟის ადგილას.

თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებო, მოაწყვეთ ექსკურსიები ტირაჟის ადგილის დასათვალიერებლად.

შეიძინეთ ბილეთები, მიიღეთ მონაწილეობა ტირაჟში. განამტკიცეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა.

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმი.

თბილისის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა
**„რაიკრედიტი“**
გადავიდა ახალ ბინაზე, კეცხოველის (ყ. ლორის-მელიქოვის) ქ. № 6.
3041
გამგეობა.

**ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი**
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).

**მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური**

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობ, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო-თერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა

შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.)
ნერვიული და ქალის სნეულებანი.

კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ღამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. დოც. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე

ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.

საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.

ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. სებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ახპისოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. პროფ. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.

ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.

ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიური ანალიზების მიღება.

მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.

25—1 ნ. .819

**თბილისის ქალაქის ლომბარდი**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 8 ივნისს, დილის 10 საათზე განყოფილებაში (პლეხანოვის პროსპ. № 50) დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

განყოფილების ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოკრულია განყოფილების დარბაზში (პლეხანოვის პროსპ. № 50).
ნ. 858

[illegible]
აცხადებს, რომ ა. წ. 8 და 9 ივნისს დილის 11 საათზე, ხაზინის ქ. № 3 (ყოფ. ხაზინის შენობაში), დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

ოლქფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად გაიყიდება: პიანინოები, საყინულეები, ბუფეტის შკაფები, შიფონერკები, მაგიდები და სხვა საოჯახო ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 11 საათიდან. მსურველებს შეუძლიათ წინასწარ დაათვალიერონ

### ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

| | |
|---|---|
| — კავშირის წიგნ. № 3280 ლიუდმილა პავლეს ასული კვერნაძის სახ. | 3036 |
| — მუშკოოპის წიგნაკი № 70791 და საპენსიო წიგნაკი თამარა ხუციშვილის სახელზე. | 3049 |
| — პარტბილეთი № 0855843 სოლომონი სტეფანიშვილის სახელზე. | 3048 |
| — პურის წიგნაკი „ა“ 3 სულის № 10861—იერიკო პორფილეს ძე აბულადიანის სახელზე. | 3044 |
| — პურის წიგნაკი გივი ქიაბერაშვილის სახელზე. | 3043 |
| — პურის წიგნაკი „ბ“ № 435 სალომე ბუზარიაშვილის სახელზე. | 3046 |
| — საბინაო დავთარი № 11734 სახლის მდებარე მესხის ქ. № 9—აბოვიანცის სახელზე. | 3047 |
| — მატრიკული № 3128, გაცემული თბილ. უნივერს. მიერ და მუშკოოპის წიგნაკი—ივანე აბრამის ძე ბიჭინაშვილის სახელზე. | 3040 |
| — საწევრო წიგნაკი № 1145814 ბარბალე ლუარსაბის ასული სიმონიშვილის სახელზე. | 3045 |
| — 9 წლედის დამთავრების მოწმობა, გაცემული ხონის შრომის სკოლის მიერ მიშა ჭავჭანიძის სახელზე. | 3053 |
| — 7 წლედის დამთავრების მოწმობა, გაცემული ხონის მე-2 შრ. სკოლის მიერ ვარლამ ყუფარაძის სახელზე. | |
| — პურის წიგნაკი № 30152 „ბ“ კონსტანტინე ადამიას სახელზე. | |
| — მუშკოოპის წიგნაკი № 717 ელენე ჯიაშვილის სახელზე. | 3060 |
| — მეტრიკული ამონაწერი არტუშა ავეტისოვის სახელზე. | 3057 |
| — 3 სულის რძის ტალონი ალექსანდრე ლებანიძის სახელზე. | 3056 |
| — საპენსიო წიგნაკი № 2853 დავით ილიას ძე აბულაძის სახელზე. | 3055 |
| — მეტრიკული ამონაწერი № 5538—თამარა ალექსანდრეს ასული მერსეიდალის სახელზე. | 3065 |

**სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 306 მუხ. თანახმად, გაერთიანებული სასამართლოს აღმასრულებელი პ. ჭეიშვილი**

ამით აცხადებს, რომ 1930 წ. 12 ივნისს, დღის 2 საათზე ქ. თბილისში, კლარა ცეტკინის ქუჩაზე 17 №-ის სახლში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. გრიგოლ კაჭახიძის ქონებას: ხალიჩა, ხალი ნუხის, იატაკის პალასი, ფაიფურის ვაზა, თოფი სანადირო, ვერცხლის ფინჯანი, შირმა, თეფშები სხვადასხვა ზომის დანა-ჩანგალი და სხვ. ნივთები. ქონება შეფასებულია 705 მან. 80 კ. და გაიყიდება „ზაკტპოს“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქუთაისის მაზრა-ქალაქის სასამართლოსაგან 1928 წ. 3 მაისს №-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.
3054

საქართ. კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა და ი. ტ. ს. რესბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ცენტრალურ გამგეობის წევრის

**ზურაბ პავლეს ძე მეტრეველის**

უდროოთ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის გამზ. № 174. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
3066

დამწუხრებული მეუღლე პასიკო, შვილები: იონა, ბაგრატი, ლადო, ვალიკო, იპოლიტე და მარო ჯიქიები, რძლები: ლუბა და ოლია, ქალიშვილები ბაბილინა ქმრით თომა ცხაკაია და ვაშა კიტუანი შვილებით იუწყებიან, რომ 4 ივნისს გარდაიცვალა საყვარელი

**სიმონ (ბახვა) დავითის ძე**
**ჯიქია**

გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან. დაკრძალვა კვირას, 8 ივნისს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე, 6 საათზე.
3042

### ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

**პ. ს. ფონ-ირტელი** პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედნის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—19

**ი. ვ. ხანდამოვი** იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძმელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

**ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**დ. ს. რიჟინაშვილი** კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

**დ. ლ. თევზაძე** ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

**ნ. კონტოროვიჩი** თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მშამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატების და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათმდე. 25—1

**გ. ნ. ონანოვი** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

**ა. ვ. მიქაბერიძე** პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მახაჟე სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანნები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძმელაძის შესახვევიდან. 25—1

**პ. ი. ჯალალოვი** ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

გულმოკლულნი მშობლები: ლიოლია და დათიკო, ბებია და ბაბუა ნატალია და ჯამულეთი ქანთარიები, თებრონე და კირილე ცაგარეიშვილები აუწყებენ საზოგადოებას

**პაწია რეზიკოს**

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება კვირას, 8 ივნისს, ორჯონიკიძის ქუჩა № 115 დღის 3 საათზე. (ზ)

თავზარდაცემული დედა ელისაბედ, მეუღლე თამარა, შვილი მაკა, ძმა ლევან წერეთლები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

**პეტრე (პეტია) ალექსანდრეს ძე**
**წერეთლის**

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება ტრიბუნალის ქ. 23. დაკრძალვა დღეს, 7 ივნისს, 4-ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3064

კოოპერატიულ არტელის—„სატრიკოტაჟო წარმოების“ გამგეობა, თანამშრომლები და წევრები ინაწილებენ ამხანაგისა და თანამშრომლის თამარ აგიაშვილის მწუხარებას მისი მეუღლის

**პეტრე ალექსანდრეს ძე წერეთლის**

გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს, 7 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე—ტრიბუნალის (ყოფ. სასამართლოს) ქ. № 23, ვერის ახალ სასაფლაოზე. (ე)

ქიათურის შავი ქვის ტრესტის თბილისის კანტორის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თავის საყვარელ თანამოსამსახურის, სპეტაკი მუშაკის

**პეტრე წერეთლის**

უეცრათ გარდაცვალებას. 3051

ქიათურის შავი ქვის ტრესტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მისი ერთგული თანამშრომლის

**პეტრე ალექსანდრეს-ძე წერეთლის**

უეცრათ გარდაცვალებას. 3050

უახლოესი მეგობრები და ამხანაგები: საშა მდივანი, სეიდ იაშვილი, სოლომონ წერეთელი, შალვა შარაშიძე, ცაცა მდივანი, პეტრე ქავთარაძე, იოსებ და გრიშა აბაკელია, პაპუნა აბაშიძე, ვანო ჯაფარიძე, პავლე, ლადიკო და გრიგოლ საყვარელიძეები, საშა კანდელაკი, ლადიკო ლოლუა, დავით მიქელაძე, ირაკლი წერეთელი, კუკური და მიშა ქიქოძე, ვალიკო ხუსკივაძე, ლევან და თარხან ჯაყელი აუწყებენ მეგობრებს და ამხანაგებს დაუვიწყარ

**პეტრე (პეტია) ალექსანდრეს ძე**
**წერეთლის**

უდროოდ გარდაცვალებას. 3061

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფები ბიძია ვლადიმერი, დეიდა რემო შვილებით: ლევან, კოლა, ალიოშა, ლიზა, ვარა, სონა, თამარა, ხანო, ოლია; ობლები: მარო, იულია, ეფროსინე შალიბაშვილი იუწყებიან ბიძაშვილის

**ზაქარია გიორგის ძე შალიბაშვილის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას 4 ივნისს. ნ. 859

ღრმად დამწუხრებული მამიდაშვილი კოლა გიორგის ძე ინაევი, ცოლი თამარა გრიგოლის ასული, დედა სოფიო დიმიტრის ასული იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ

**შაქრო გიორგის ძე შალიბაშვილის**

ტრაღიკულად დაკარგვას. 3062

სამუდამოდ დაჩაგრულნი და ცრემლებშეუშრობელნი მშობლები გოგუცი და ონისიმე, ბებია დარუხანი, დები: გაიანე ბრეგვაძისა შვილებით, ნადია კეკელიასი ქმარშვილით და რაისა, ძმები: შალვა და აკაკი ცოლშვილით, დათუნა და ევგრაფი სანიკიძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას 8 ივნისს სოფ. ჩხენიში (ქუთ. ოლქ.) გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ დაკარგულ სახ. პოლიტ. ინსტიტ. მესამე კურსის სტუდენტის საყვარელ

**გრიშა სანიკიძის**

ხსოვნის აღსანიშნავად.

დამწუხრებული შვილი მიხეილ ანთაძე, მეუღლე ნინა, შვილიშვილები: ვალიუშა, ბიჭიკო და გუგული იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

**დაფინე იესეს ასულ**
**ანთაძე-ხუსკივაძის**

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე. გამოსვენება კვირას, 8 ივნისს, 5 საათზე, ბინიდან—კურსანტების ქ. № 2, ვერის სასაფლაოზე. 3059

ტირაჟი—55.639
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904